საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ვერა ბარდაველიძე

ქართველი ხალხის სულიერი ყოფა და კულტურა

(პროგრამა-კითხვარი)

„მეცნიერება"
თბილისი
1988

63 : 5 (2Г)
ბ 264

ვ. ბარდაველიძის ნაშრომი „ქართველი ხალხის ყოფა და კულტურა" — რელიგიის ისტორიის ერცელი პროგრამა-კითხვარია, აგებული გარკვეულ მეცნიერულ პრინციპებზე და მოიცავს საკითხთა ფართო წრეს. იგი განკუთვნილია ქართულ-ხალხურ სარწმუნოებაში ასახული სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ნივთიერი კულტურის და საზოგადოებრივი წყობილების საყურადღებო მხარეების გასაშუქებლად.

კითხვარს შეუძლია გეგმაზომიერ საველე მუშაობაში დიდი დახმარება გაუწიოს მასალების შემკრებთ; ის საშუალებას მისცემს მკვლევარს წარმოაჩინოს კულტურის დინამიკა როგორც სინქრონულ, იხე დიაქრონულ ჭრილში, რაც შესაძლებელს გახდის მეცნიერულ საფუძველზე დავამყაროთ და უფრო მიზანსწრაფული გავხადოთ ბრძოლა მავნე ტრადიციებთან, ვაზიაროთ ახალი თაობა პროგრესულ ეროვნულ ტრადიციებს.

პროგრამა-კითხვარის საფუძველზე შეკრებილი მასალის ანალიზის შეშვეობით შესაძლებელი გახდება ისეთი მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პრობლემის მეცნიერული დამუშავება როგორიცაა ქართველი ხალხის ურთიერთობა კავკასიურ და წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან.

ახალი კულტურა იქმნება ძველის მიღწევათა გამოყენებით, ამიტომ არც ძველი ტრადიციების აბსოლუტირება იქნება მართებული და არც მათი უარყოფა. ზრუნვა კულტურული მემკვიდრეობისადმი დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი ამოცანაა, რაც კარგად აისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დადგენილებაში.

რედაქტორი — ისტ. მეცნ. დოქტორი ჯ. რუხაძე

რეცეზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ჯალაბაძე
ისტ. მეცნ. კანდ. მ. კანდელაკი

ბ 0503020906
M (607)06—88 165—88

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1988

I SBN 5—520—00169—88

რედაქტორისაგან

ხალხური საუნჯის შეკრება-დაცვის საქმეს საქართველოში დიდი ხანია განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტენდენცია, ხალხური შემოქმედების, ყოფისა და კულტურის მასალების შეკრებისა, XX საუკუნის მოღვაწეებმა ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, უპირველეს მოთხოვნად აქციეს. წინაპართა ანდერძს და ეპოქის მოწოდებას ერთგულად გაჰყვნენ ცნობილი ეთნოგრაფები გიორგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე. მათ ფართო მუშაობა გასწიეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართველი ხალხის მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის— ეთნოგრაფიული მასალის თავმოყრა-დაუნჯებისა და შესწავლისათვის. ველზე სრულფასოვანი მასალის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სწორედ აგებული პროგრამა-კითხვარის შეწევობით. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, ვ. ბარდაველიძემ შეადგინა ვრცელი პროგრამა-კითხვარი, რომლის მიხედვით სულიერი კულტურის შესახებ დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა შეიკრიბა.

ვ. ბარდაველიძე, როგორც მაღალკვალიფიციური ეთნოგრაფი, მის შედგენას განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდა. ეს ღონისძიება მას საშურ საქმედ მიაჩნდა, რადგან ხედავდა, ახალი ცხოვრების ზეგავლენით როგორ სწრაფად ქრებოდა ქართველი ხალხის საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება.

ვ. ბარდაველიძე პროგრამა-კითხვარზე მუშაობის დროს ცდილობდა იგი დაეფუძნებინა ხალხის ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებასა და მის ისტორიულ წარსულზე. ამასთან მას კარგად ესმოდა, რომ ისტორიული მოვლენების გასაგებად აუცილებელია საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლის ცოდნა. ვ. ბარდაველიძეს კითხვარში არ გამორჩენია ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც შეეძლო შეეწყო ხელი რელიგიის ისტორიის კვლევისათვის.

პროგრამა, როგორც ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში აქვს აღნიშნული ვ. ბარდაველიძეს, გამოსაკითხი ანკეტა კი არ არის, არამედ იგი სახელმძღვანელოა მასალების შეკრებათათვის საველე მუშაობის დროს.

თუ როგორი საქმის ცოდნითა და მაღალპროფესიულ დონეზეა შედგენილი ხსენებული პროგრამა-კითხვარი, ცხადყოფს ამ კითხვარით

შეკრებილ მასალაზე დაფუძნებული არაერთი ნაშრომი, რომლებშიც შეჯამებულია ქართველი გლეხის დიდი ცოდნა და გამოცდილება სულიერი და სოციალური კულტურის ყველა სფეროში. ასე შეიკრიბა მეტად ფასეული ეთნოგრაფიული მასალა ხატის ყმობის ინსტიტუტსა და სახატო მიწების შესახებ. ამ მასალის მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგან იგი შეიცავს უმდიდრეს ცნობებს ძველი საქართველოს სოციალური სტრუქტურის შესასწავლად. ასევე სრული და სანიმუშო მასალაა შეკრებილი ჩვეულებით სამართალზე, უძველეს მითოლოგიურ გადმოცემებზე, ღვთაებათა პანთეონზე, დღესასწაულებზე, ხალხურ კალენდარზე. მიცვალებულის კულტზე და სხვ. ამავე მასალის საფუძველზე დაიწერა ვ. ბარდაველიძისა და მისი შემდგომი თაობის ეთნოგრაფთა არაერთი საყურადღებო ნაშრომი.

კითხვარის შექმნის შემდეგ მნიშვნელოვნად გაცხოველდა შემკრებლობითი მუშაობა, გაიზარდა მისი მასშტაბები, შეიქმნა მძლავრი შემგროვებლობითი ბაზები, დაიწყო მასალის შემკრები კადრების გეგმიანი მომზადება. მუშაობაში ჩაბმული კორესპონდენტები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან. დღეს ამ პროგრამა-კითხვარით მოპოვებული მასალა უნიკალურად ითვლება და არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი როლი, რომელიც პროგრამა-კითხვარმა შეასრულა 30-იან წლებში შემუშავე კორესპონდენტებისა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში. ეს იყო უაღრესად რთული პერიოდი, როდესაც გასაკეთებელი ძალიან ბევრი იყო, სპეციალისტები კი ჯერ კიდევ არ გვყავდა. ახლად დაწყებული ეთნოგრაფიული კვლევა მოითხოვდა ბევრ დროს, საქართველოს ყველა კუთხის სისტემატურ შესწავლას, ორგანიზებულ და ხანგრძლივ ექსპედიციებს. ასეთ ვითარებაში კორესპონდენტთა გამოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მთაში (ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, სვანეთი, სამეგრელო, გურია). მუშაობას გარკვეული სიძნელეებიც ახლდა, მაგრამ კორესპონდენტები თვით იყვნენ მისი ყოფის უბადლო მცოდნენი, რაც უადვილებდათ ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერას.

ეთნოგრაფიული მასალის დაუცხრომელი მაძიებლები იყვნენ: ხევსურეთში — ნ. და მ. ბალიაურები, ალ. ოჩიაური, ნ. მაკალათია; თუშეთში — გ. ბოჭორიძე; მთიულეთ-გუდამაყარში — მ. კედელაძე, ხევში — ა. შადური; სვანეთში — ა. ონიანი, ა. დავითიანი, დ. მარგიანი, მ. გუჯეჯიანი, ს. გულედანი; ლეჩხუმში — ფ. გარდაფხაძე; სამეგრელოში — თ. სახოკია; გურიაში — მ. ქიქოძე, გ. ლომთათიძე, აპ. წულაძე, ივ. შილაკაძე და სხვ.

აღნიშნული პროგრამა-კითხვარი განსაკუთრებული ღირებულების მეცნიერული დოკუმენტია, რომელიც მნიშვნელობას არასოდეს არ და-

კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე დიდად გამდიდრდა ჩვენი ეთნოგრაფიის საკვლევი ბაზა, მონოგრაფიულად დამუშავდა პრობლემათა მთელი წყება, რომელიც უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, მით უმეტეს, რომ ზოგიერთს ახლავს ბიბლიოგრაფიული ცნობარი, დაწინაურდა და გაფართოვდა კვლევა-ძიება მშობლიური ქვეყნის ყოფისა და კულტურის შესასწავლ ყველა უბანზე, აღნიშნულ პროგრამა-კითხვარს ახლაც არ დაუკარგავს ოდინდელი მნიშვნელობა, იგი დღესაც ისეთივე სიცოცხლისუნარიანია, როგორიც მრავალი წლის წინათ იყო, დღესაც შეიძლება მისი წარმატებით გამოყენება. კითხვარს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მასალების შემკრებთ გეგმაზომიერი საველე მუშაობის გაშლაში, ის საშუალებას მისცემს მკვლევართ წარმოაჩინონ კულტურის დინამიკა, როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში, რაც შესაძლებელს გახდის მეცნიერულ საფუძველზე დავამყაროთ და უფრო მიზანსწრაფული გავხადოთ ბრძოლა მავნე ტრადიციებთან.

ხალხური დღესასწაულები და დღეობები, როგორც ერის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილი, უარყოფით მხარეებთან დადებითსაც გამოავლენს, ამიტომ მათი შესწავლა არა მარტო დაგვეხმარება მავნე ტრადიციების დაძლევაში, არამედ მოგვცემს საშუალებას ახალი თაობა ვაზიაროთ პროგრესულ ეროვნულ ტრადიციებს.

პროგრამა-კითხვარის საფუძველზე შეკრებილი მასალის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის მეცნიერული დამუშავება, როგორიცაა ქართველი ხალხის ურთიერთობა კავკასიის და წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან.

გარდა რიგი კარდინალური პრობლემის გაშუქებისა, რომელთა კვლევის დიდი ტრადიცია არსებობს საქართველოში, თანამედროვე ეთნოგრაფიის ამოცანას შეადგენს ქართველი ხალხის დღევანდელი ყოფის, ჩვენში მიმდინარე ეთნიკური და კულტურული პროცესების შესწავლა, აგრეთვე ეთნოგრაფიული ატლასისა და ნარკვევების მომზადება, რაც, ცხადია, გულისხმობს ასევე კარგად შედგენილ სათანადო პროგრამების გამოყენებას.

უნდა ითქვას, რომ კითხვარის შესავალ ნაწილში, მოცემულ დასათაურებებში წარმოდგენილი კითხვების შინაარსი ბევრად მეტის მომცველია, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. მაგალითად, შესავალში „რაიონი და მისი მოსახლეობა" მოცემული კითხვები თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ მიგრაციისა და გვარსახელების პრობლემების დამუშავებისას (იხ. კითხვარი, გვ. 20); ანალოგიურია ამავე პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვები, ისინი გასათვალისწინებელია სოციალური სფეროს, სახელდობრ, ქალის სტატუსის (კითხვა 13), ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ჩვეულების (კითხვა

26; 71[1]), საქორწინო წესების (კითხვა 71[2]), მატერიალური კულტურის ნაგებობანი (კითხვა 16), საოჯახო ყოფის (კითხვა 71[3]), ხალხური მედიცინის კითხვები 19,49 და ა. შ.), სისხლმესისხლეობის (კითხვა 71[4]), შესწავლასთან დაკავშირებით. ასევე მცენარეულობისთვის განკუთვნილ განყოფილებაში დასმული კითხვები გასათვალისწინებელია მიცვალებულის კულტის (კითხვები 27; 71[5] და მისთ.) შესასწავლად. კითხვების მთელი წყება რელიგიური სინკრეტიზმის პრობლემას ეხება (კითხვები 45; 46; 47) და სხვ. მრავალი.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პროგრამა-კითხვარი პირველად გამოდის არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მას არ გააჩნია პრეცედენტი მთელს საბჭოთა კავშირში.

პროგრამა-კითხვარი გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების სამეცნიერო არქივიდან.

საჭიროდ იქნა მიჩნეული პროგრამა-კითხვარი წაეკითხათ ეთნოგრაფიის სექციის მეცნიერ თანამშრომლებს: თ. ოჩიაურს, მ. კანდელაკს, ე. ერიაშვილს, ნ. აბესაძეს, დ. გიორგაძეს, ნ. მინდაძესა და ამ სტრიქონების ავტორს. საერთაშორისო სამუშაოებს განსაკუთრებული ღვაწლი დასდო სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელმა ქეთევან ალავერდაშვილმა და მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების ლაბორანტმა ნინო ყიფიანმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

პროგრამა-კითხვარში არ არის შეტანილი არავითარი ცვლილება; კითხვარი იბეჭდება სრული სახით, მისი გამოქვეყნება გ. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძის დიდი ხნის სურვილი იყო. მოხარული ვარ, რომ ეს სურვილი არ რჩება განუხორციელებელი.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ყველა იმ პირს, ვინც დაეხმარა კითხვარის გამოცემაში.

წინასიტყვაობა

ქართველი ტომების სარწმუნოების შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ტომების ისტორიულ-კულტურული საკითხების გასაშუქებლად. ამის საუკეთესო ილუსტრაციას იძლევა აკად. ნ. მარის მდიდარი და მრავალმხრივი მეცნიერული მემკვიდრეობა საგანზე და ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი „ქართველების წარმართობა და უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებები"[1].

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ქართული ხალხური სარწმუნოება მეტად მკვეთრად გამოხატავს აზროვნებისა და კულტის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს. ის წარმოადგენს, თუ შეიძლება ითქვას, იდეოლოგიათა ისეთ ნაერთს, რომელშიც დიდი სიუხვითაა მოცემული მაგიის, ტოტემიზმის, ანიმიზმის (ანიმატიზმის, საკუთრივ ანიმიზმისა და ანთროპომორფიზმის) გადმონაშთების კონკრეტული გამოსახულებანი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე ხალხურ სარწმუნოებაში ასახულია სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ნივთიერი კულტურისა და საზოგადოებრივი წყობილების საყურადღებო მხარეები.

გარკვეული ეპოქისათვის ქართველი ტომების სარწმუნოების მეცნიერულმა ანალიზმა უნდა დააზუსტოს და დააკონკრეტოს ამ ტომების ურთიერთობის საკითხები დანარჩენ კავკასიელ და წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან, იმ ურთიერთობისა, რომლის ნიადაგზე უნდა შექმნილიყო არაერთი საყურადღებო რელიგიური წარმოდგენა და კულტი.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მიმართულებით გაშლილი მუშაობისათვის საჭიროა ეთნოგრაფიული მასალის დაგროვება კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დღემდე. ეს საჭიროა მით უფრო, რომ ქართველი ტომების სარწმუნოების შესახებ წერილობით ძეგლებსა და წყაროებში მეტად ცალმხრივი და სქემატური ცნობები მოიპოვება. ეს საჭიროა აგრეთვე იმიტომაც, რომ მასალების დაგროვების მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშია.

---

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გამ. მე-2, ტფილისი, 1928 წ. გვ. 33—151.

სარწმუნოებრივი გადმონაშთების შეგროვების საქმეს ჩვენში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგრამ იგი არ იყო სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების ხელში და არ ატარებდა სისტემატური და გეგმაშეწონილი მუშაობის ხასიათს. მართალია, მრავალი ძვირფასი ცნობა ხალხური სარწმუნოების შესახებ გამოქვეყნებულია ძველ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ კიდევ უფრო მეტი და, ალბათ, არა ნაკლებ ძვირფასი მასალა, თავის დროზე შეუგროვებლობის გამო, მეცნიერებისათვის სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ბუნებრივია, რომ ახალი ყოფა საოცარი სისწრაფით სპობს ძველ გადმონაშთებს. ამჟამად ხალხური სარწმუნოება, მეტად შებღალული და ფრაგმენტული, უხუცესთა თაობის ტრადიციული ჩვევა-მოქმედების საგანს თუ წარმოადგენს და მათი მომდევნო თაობის ხსოვნაშიღა შემონახულა. ამიტომ რელიგიური გადმონაშთების შეგროვება მეტად საშური საქმეა[2].

დღემდე არ არსებობდა და არც დღეს არსებობს საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან შეფარდებული სპეციალური ხასიათის კითხვარები და პროგრამები ქართულ ენაზე. ერთადერთია ა. ხახანაშვილის ხელმძღვანელობით რუსულიდან ნათარგმნი „ეთნოგრაფიული პროგრამა"[3] და „პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად"[4], როგორც სათაურიდანაც ნათელია, ზოგადი ხასიათის პროგრამებია და რელიგიურ გადმონაშთებს ყველაზე ნაკლებად შეეხება 1930 წ. გამოცემული ჩურსინის „Программа для собирания этнографическихъ матеріаловъ". აგრეთვე ზოგადი ხასიათისა, განზრახვით კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული, ნამდვილად კი მას საფუძვლად უდევს ჩვეულებრივი რუსული პროგრამა, აგებული სლავი და ციმბირის ხალხების ზნე-ჩვეულებათა გათვალისწინებით. ცხადია, ამგვარი პროგრამები ქართული ეთნოგრაფიისათვის ვერ გამოდგება.

ქართული ეთნოგრაფიის ცალკეული დარგებისათვის შედგენილი სპეციალური პროგრამები მასალების შემგროვებლებს აღჭურავს საჭირო იარაღით საველე მუშაობისათვის. ამით ხელს შეუწყობს და დააჩქარებს საჭირო მასალების შეგროვებას და ამ უკანასკნელს გეგმაშეწონილი მუშაობის ხასიათს მიანიჭებს. ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება კერძოდ ჩვენი პროგრამაც, რომელიც შედგენილია ეთნოგრაფიის ერთ-ერთი დარგის, ხალხური სარწმუნოების მასალების

---

2 აწმყო დროში მოცემული ჩვენი პროგრამის კითხვები გულისხმობენ მუშაობას აღნიშნულ თაობებთან. ამას გარდა ხშირ შემთხვევაში შეიძლება კონკრეტულ რეალურ ვითარებასთან შეფარდებით აუცილებელი შეიქნეს ამ დროის შეცვლა წარსულ დროთი.

3 „კვალი", 1895 წ. № 27.

4 „კრებული", 1900 წ. № 2.

შესაგროვებლად და რომელიც ქართველი ტომების სათანადო კონკრეტული მასალის გათვალისწინების ნიადაგზეა აგებული.

მე შევეცადე პროგრამისათვის სისტემატური ხასიათი მიმეცა. პროგრამა იყოფა: შესავალ ნაწილად, შვიდ თავად, პარაგრაფებად და მუხლებად; მას დართული აქვს ანკეტა მასალების შემგროვებელისათვის, რომელიც არკვევს, ერთი მხრივ, უკანასკნელის ვინაობას და, მეორე მხრივ, მის მიერ წარმოებული მუშაობის მეთოდს — უშუალო დამკვირვებელია, თუ მასალებს აგროვებს სხვა პირების საშუალებით.

პროგრამის შესავალი ნაწილი ეხება მასალების შეგროვების ადგილსა და მოსახლეობას; აქ მოცემული რვა მუხლი მიზნად ისახავს მოსახლეობის დღევანდელი რაობისა და ისტორიული წარსულის შესახებ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალების ფიქსირებას.

პროგრამის თავებში დასმულია საკუთრივ ხალხური რელიგიის ძირითადი პრობლემები, სულ შვიდი პრობლემა, თითოეულ თავში თითო. ეს პრობლემა — თავებია: I. სარწმუნოებრივი გადმონაშთები, დაკავშირებული ბუნებრივ გარემოცვასთან, ანუ ბუნებრივი გარემოცვა რელიგიაში. II. სარწმუნოებრივი გადმონაშთები, დაკავშირებული მატერიალურ წარმოებასთან, ანუ მატერიალური წარმოება რელიგიაში. III. სარწმუნოებრივი გადმონაშთები, დაკავშირებული სოციალურ ყოფასთან, ანუ სოციალური ყოფა რელიგიაში. IV. კოსმოგონია. V. ღვთაებები, მათი პანთეონი და ღვთაებათა მსახურება. VI. ხალხური კალენდარი და VII. დღესასწაულები. ვინაიდან ჩვენი პროგრამა ეთნოგრაფიის სპეციალური დარგის — ხალხური რელიგიის — პროგრამაა, რასაც ყველაზე უწინ მისი სათაური ამხელს. ამიტომ შესაძლებლად ვცანი პირველი სამი თავის სათაურები შემემოკლებინა. რათა აცილებული ყოფილიყო ერთი და იგივე ფრაზების და სიტყვების „(სარწმუნოებრივი გადმონაშთები, დაკავშირებული...“ ან „რელიგიაში“) რამდენჯერმე გამეორება. სრულიად აშკარაა, რომ პროგრამაში აღნიშნული თავები გულისხმობენ არა „ბუნებრივ გარემოცვას“, „მატერიალურ წარმოებას“ და „სოციალურ ყოფას“ თავისთავად და დამოუკიდებლად, არამედ ყველაფერს რელიგიასთან დაკავშირებით და რელიგიაში ასახულს, რადგან, ვიმეორებ, ჩვენი პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ რელიგიის საკითხებს შეიცავს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ პირველ თავში („ბუნებრივი გარემოცვა“) გამოყოფილია ცალკე (მეოთხე) თავად „კოსმოგონია“, რადგან ეს უკანასკნელი ცალკე დამოუკიდებელ პრობლემას წარმოადგენს.

პროგრამაში მოცემული თავები, თითოეული ცალკე, — მეშვიდე თავის გარდა, რომლის განსხვავებული სტრუქტურისა და აგრეთვე შინაარსის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი, — ნაწილდება რამდენიმე თემად, რომლებიც აღინიშნებიან ცალკე პარაგრაფებით. ამგვა-

რი თემებია: I თავში ხუთი — მიწა; მცენარეული, მწვერვალები, წყალი და ცეცხლი (§§ 1—5); II თავში თერთმეტი — ნადირობა და მონადირე. ნადირთ პატრონი, გარეული ცხოველები და ფრინველები, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, შინამრეწველობა და წვრილი ხელოსნობა. ხალხური ხელოვნება და მუშაობის წლიური კალენდარი (§§ 6—16); III თავში ჩვიდმეტი — შობიარობა და ბავშვის აღზრდა, ხალხური მკურნალობა, სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაცია, ნიშნობა და ქორწინება. ნათესაობა და ურთიერთდამოკიდებულება, დასაფლავება, სამარხის ტიპები და საფლავის ქვები. მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი დღეები. წარმოდგენა სიკვდილზე და მიცვალებულის სულის შესახებ, საიქიო-სამოთხე და ჯოჯოხეთი, ძილი და სიზმარი, გულის წასვლა, გაშეშება და გაქვავება, ჩრდილი და აჩრდილი, სულიერი და უსულო. ცოცხალი და უსიცოცხლო საგნები და მოვლენები, ძალა და გამოძახილი, ავი ძალის მქონე ადამიანები და მთქნარება, ზმორება, ფურთხი, ნახველი და მისთანანი (§§ 17—33)[5]; IV თავში შვიდი — მიწა, წყალი, ცა, ვარსკვლავები, ზოდიაქო, ცთომილი და მზე და მთვარე (§§ 34—40); V თავში ოთხი — ღვთაებები და წმინდანები, საკულტო შენობები, სახატო მიწები და ხატის მსახურნი (§§ 41—44); VI თავში ათი — თვლის სისტემა, წელიწადი და წლის დრო, თვე, კვირა და დღე, მარხვა, ჭამა-სმისათვის აღკვეთილი დღეები, დადუმების დრო, უცხოსაგან გარედან დაძახებისა და სახლში შესვლის აკრძალვის დღეები, განათხოვრებისათვის აღკვეთილი დღეები. პირის ასახსნელი დღეები და უქმეები (§§ 45—54). ამ თავის ორგანულ ნაწილს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას დღესასწაულები წარმოადგენენ. მაგრამ მათი თავისთავადი მნიშვნელობისა და ამავე დროს მათი აღწერის სირთულის გამო, დღესასწაულები ცალკე პრობლემად გამოვყავი და დამოუკიდებელ თავად დავტოვე. ამრიგად, სულ ექვს თავში მოცემულია 54 თემა-პარაგრაფი.

აღნიშნული პარაგრაფები, თითოეული ცალკე, გაშლილია შესაფერის კითხვებში, რომლებსაც მიჩენილი აქვთ რიგითი ნუმერაცია (№№ 9—475)[6]. ხშირად სხვადასხვა პარაგრაფების კითხვები იმეორებენ ერთმანეთს. მაგრამ, რადგან ისინი სხვადასხვა საგანს ეხებიან, და ამიტომ ამ კითხვაზე მიღებული პასუხები სხვადასხვა შინაარსისა იქნება — ამგვარი განმეორებითი კითხვების იგნორირება შეუძლებლად მივიჩნიე.

როგორც პარაგრაფებს, ისე განსაკუთრებით კითხვებს დავურთე

---

5 პირველი სამი თავის (I—III) თემების სათაურები შეკვეცილია იმავე მოსაზრებით და იმავე მიზნით, როგორც პრობლემათა სათაურები, იხ. გვ. 12.

6 პროგრამის თავებს, პარაგრაფებს და მუხლებს (კითხვებს) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რიგითი ნუმერაცია აქვთ.

სანიმუშო ნახატები და ფოტოგადაღებები მასალების* შემგროვებლის საჭარაუდოდ, რადგან ამ შემგროვებლისაგან პროგრამა მოითხოვს მსგავსი მუშაობის ჩატარებას, ე. ი. შესაძლებლობის ფარგლებში კითხვებთან ნაჩვენები სხვადასხვა რელიგიური ობიექტების ჩახატვას, ან ფოტოგრაფიულად გადაღებას.

ამას გარდა, ზოგიერთ კითხვებთან მოყვანილია ქართველი ტომების რელიგიის მასალებიდან ამოღებული მაგალითები. ამ მაგალითებს მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, თუ მასალების შეგროვება ხდება არა საკუთარი დაკვირვების ნიადაგზე, არამედ მცოდნე პირთა გამოკითხვის საშუალებით. უკანასკნელ შემთხვევაში მაგალითები დახმარებას უწევენ ცნობების გადმომცემს: ერთი მხრივ, მაგალითის საშუალებით მას უადვილდება კითხვის გაგება და მეორე მხრივ, მაგალითი ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს, მეხსიერებაში ანალოგიურ მოვლენებს იწვევს და ამით მეხსიერებას აცხოველებს[7].

პრინციპი, რომლითაც დანაწილებულია ჩვენი პროგრამა, თუ არ ვცდები, ახალი უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც ის დღემდე გამოყენებული არ ყოფილა სათანადო ლიტერატურაში. ნაწილობრივ ამ სიახლის გამო და უმთავრესად კი იმიტომ, რომ წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდა არის ქართველი ტომების სარწმუნოებრივი მასალის შესაგროვებელი სისტემატური პროგრამისა, ის, თავისთავად ცხადია, უნაკლო არ იქნება.

შინაარსის მხრივ პროგრამის აღნიშნულ ნაწილში (თავები I—VI) გათვალისწინებულია ქართველი ტომების სათანადო მასალის გარდა ზოგადი ეთნოგრაფიული პროგრამების მოთხოვნილებები. საკუთრივ II თავის („მატერიალური წარმოება") ზოგიერთი პარაგრაფისა და მუხლის დამუშავების დროს გამოყენებული იქნა ივ. ჯავახიშვილის „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი"[8]. ხოლო IV თავის („კოსმოგონია") დამუშავებისას — საბა ორბელიანის ლექსიკონი და ნაწილობრივ პ. ინგოროყვას — „ძველქართული წარმართული კალენდარი"[9]. უნდა აღინიშნოს, რომ საბა ორბელიანის უაღრესად საყურადღებო ცნობები ძველი ქართული რელიგიური წარმოდგენების შესახებ ჩვენს პროგრამაში მაქსიმალურად იქნა გამოყენებული. ამას გარდა, ლექსიკონის კოსმოგონიური ტერმი-

---

* ნახატები და ფოტომასალა ე. ბარდაველიძის პირად არქივში არ აღმოჩნდა (რედაქტორი).

7 ამ მაგალითების გამოყენება უთუოდ სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა ხდებოდეს იმისათვის, რომ ცნობების გადმომცემმა ისინი არ გაიგოს ისე, თითქოს მისგან მოითხოვდნენ სრულ ინფორმაციის მქონე ფაქტებისა და მოვლენების დასახელებას პროგრამაში დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

8 გაზეთი „საქართველოს მოამბე", 1935 წ. 10 აპრილი, № 9(58).

9 საქ. მუზ. მოამბე, ტ. VI, 1931 წ. და ტ. VII, 1933 წ.

ნოლოგია, საკონტროლო მიზნებით, მათი ხალხში გავრცელებულობის შესამოწმებლად, შეტანილია პროგრამის სათანადო მუხლებში (იხ. მუხ. 361, 364, 372, 381, 390, 393).

სრულიად დამოუკიდებლად, — რამდენადაც მას ლიტერატურაში ანალოგები არ ჰქონდა, — შედგენილია ჩვენი პროგრამის VII თავი „დღესასწაულები". ამ თავს საფუძვლად დაედო ქართველი ტომების, მათ შორის პირველ რიგში სვანების, დღესასწაულების მასალა და მათთან დაკავშირებული საკითხები. ამგვარი პროგრამის შედგენა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ რაც, 1) დადგენილ და აღწერილ იქნა სვანური დღესასწაულების წლიური ციკლი[10], 2) წინასწარი ზოგადი ანალიზის საშუალებით გამომჟღავნდა ამ ციკლის სხვადასხვა დღესასწაულების მთელი რიგი საერთო მაჩვენებლები და 3) უკანასკნელთა მიხედვით ეს დღესასწაულები დანაწილებულ იქნა რამდენიმე ჯგუფად და ქვეჯგუფად. ყოველივე ეს გამოიხატა ჩვენს პროგრამაში. ამრიგად, ჩვენი პროგრამის VII თავი ითვალისწინებს შემდეგი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების დღესასწაულებს:

I ჯგუფი

1. გაზაფხულის დღესასწაულები
2. ზაფხულის დღესასწაულები
3. შემოდგომის დღესასწაულები და
4. ზამთრის დღესასწაულები.

II ჯგუფი

1. მყარი დღესასწაულები, ე. ი. ისეთი დღესასწაულები, რომლებიც მოდიან გარკვეულ თვესა და რიცხვში.

2. მოძრავი დღესასწაულები, ისეთი დღესასწაულებია, რომლებიც გარკვეულ დღესა და რიცხვს კი არ ემთხვევიან, არამედ მოძრაობენ დროის გარკვეულ პერიოდში და მათი დიდი უმრავლესობა გარკვეულ დღეს დაემთხვევა[11].

---

10 სამწუხაროდ, დღემდე ჩვენ არც ერთი ქართველი ტომის დღესასწაულების წლიური ციკლის აღწერილობა არ მოგვეპოვებოდა. სვანური დღესასწაულების წლიური კალენდარი ჩემს მიერ აღწერილია სვანეთში უკანასკნელი რამდენიმე წლის (ზაფხულის) მუშაობის შედეგად და ახლო მომავალში დაიბეჭდება.

აღნიშნული ნაშრომი დაიბეჭდა 1939 წელს (რედ. შენიშვნა).

11 ამგვარად მყარი დღესასწაულის აღწერის დროს აუცილებლად საჭიროა თვითა და რიცხვით დათარიღება, ხოლო მოძრავი დღესასწაულისთვის ამგვარ საჭიროებას წარმოადგენს იმის ფიქსირება თუ საიდან გამოითვლება ეს დღესასწული და რომელ დღეს მოდის.

3. ხანმოკლე დღესასწაულები; ამგვარ დღესასწაულებში იგულისხმება არაუმეტეს ერთდღიანი დღესასწაულებისა.

4. ხანიერი დღესასწაულები, ე. ი. ისეთი, რომლებიც ერთ დღეზე მეტს გრძელდება.

5. წინასწარსამზადისიანი დღესასწაულები. ჩვეულებრივ იშვიათად გვხვდება ისეთი დღესასწაულები, რომელთა გადახდისათვისაც წინასწარი თადარიგის დაჭერა არ იცოდნენ, მაგრამ გარკვეული კატეგორიის დღესასწაულები განსაკუთრებულ წინასწარ სამზადისს მოითხოვენ, ეს სამზადისი იწყება დღესასწაულის წინ გარკვეული დროიდან ან დღიდან, შეიცავს სამზადისის რიგ მომენტებს და მოითხოვს გარკვეული პირების მონაწილეობას, ამიტომ ასეთი დღესასწაულები ცალკე ჯგუფად გამოვყავი და წინასწარსამზადისიანი ვუწოდე[12]. მათი საწინააღმდეგო ცნების შემცველი დღესასწაულები იქნება:

6. უბრალო[13] დღესასწაულები.

7. ღამისთევიანი დღესასწაულები[14], ე. ი. ისეთი, რომელთა დროს ღამისთევა ხდება.

8. უღამისთევო დღესასწაულები, რომლებსაც ღამის თევა არ ახლავს.

სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით დღესასწაულები ნაწილდებიან:

III ჯგუფი

1. სატომო დღესასწაულები, ე. ი. ისეთი, რომლებშიც გაერთიანებულია მთლიანად ტომი.

2. სათემო დღესასწაულები, რომლებშიც გაერთიანებულია თემი.

3. სასოფლო დღესასწაულები, რომლებშიც გაერთიანებულია სოფელი.

4. საძმო დღესასწაულები, რომლებშიაც გაერთიანებულია ერთი გვარის მკვიდრი ნათესავები; გვარით მკვიდრ ნათესაობას სვანები უწოდებენ „ლამხუბ"-ს ანუ „სამხუბ"-ს, რაც საძმოს აღნიშნავს.

5. საოჯახო დღესასწაულები, რომლებიც ცალკეული ოჯახების შიგნით სრულდება.

საოჯახო დღესასწაულები თავის მხრივ შეიცავენ ღია და ფარულ

---

12 პროგრამაში ამ ჯგუფის დღესასწაულებისათვის მოცემულია ცალკე განაკვეთი, რომლის მუხლები მოითხოვენ წინასწარი მომზადების მომენტების დაწერილებით აღწერას.

13 უკეთესი ტერმინი ვერ შევურჩიე.

14 ღამის თევის აღსაწერად პროგრამაში ცალკე განაკვეთია მოცემული.

დღესასწაულებს: 1) ღ ი ა დღესასწაულები ეწოდება ისეთს, რომელთა გადახდის დროს შეიძლება დაესწროს და მონაწილე გახდეს ოჯახისათვის უცხო პირი, ხოლო 2) ფ ა რ უ ლ ი დღესასწაულები ეწოდება ისეთს, რომელთა გადახდის დროს ასეთი პირების დასწრება-მონაწილეობა აღკვეთილია.

6. ქ ა ლ ე ბ ი ს დღესასწაულები: მხოლოდ ქალები იხდიან, კაცების დასწრება-მონაწილეობა ამ დროს სასტიკად აღკვეთილია.

7. კ ა ც ე ბ ი ს დღესასწაულები; მხოლოდ კაცები იხდიან, ქალები ამ დროს ვერ დაესწრებიან.

8. ს ქ ე ს-ა ს ა კ ო ბ რ ი ვ დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ა თ ა დღესასწაულები; კაცებისათვის და ქალებისათვის საერთო ისეთი დღესასწაულები, რომელთა გადახდის დროს მონაწილენი სქესისა და ასაკის მიხედვით ჯგუფდებიან, — მოხუცები ცალკე ასრულებენ სადღესასწაულო წეს-ჩვეულებებს, მანდილოსნები ცალკე, ახალგაზრდობა კიდევ ცალკე და სხვ.

9. დღესასწაულები, რომლებსაც რამდენიმე მ ე ზ ო ბ ლ ა დ მოსახლე მეკომური ერთად იხდის მორიგეობით წელიწადში ერთხელ თითოეული მათგანის ოჯახში; ამ გაერთიანებას სვანურად ეწოდება „ლასკარ“[15].

10. დღესასწაულები, რომელთა გადახდის დროს ხდება ორი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ს ო ჯ ა ხ ი ს (ზოგჯერ სამისაც) შეერთება; მორიგეობით ერთ წელს ერთი ოჯახია მასპინძელი და მეორე მისი სტუმარი, მეორე წელს პირიქით შარშანდელი სტუმარი მასპინძელია და მასპინძელი კი მისი სტუმარი; ამ გაერთიანებას სვანურად ეწოდება „ლეჩედ-მეჩედ“.

11. ხ ა ტ ი ს კ ა ც ე ბ ი ს (სვ. „ლახვამი მარალ“), ანუ ხატის ყმების (ხევს.) დღესასწაულები, ე. ი. ისეთი, რომლებსაც იხდიან გვარის ხატის წარმომადგენლები.

12. ხ ა ტ ი ს მ ს ა ხ უ რ თ ა დღესასწაულები, რომლებშიც ხატის მსახურნი ერთიანდებიან.

13. პ რ ო ფ ე ს ი ულ დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ა თ ა დღესასწაულები, ე. ი. ისეთები, რომლებსაც მხოლოდ გარკვეული პროფესიის წარმომადგენლები იხდიან (მხოლოდ მონადირეები, ან მწყემსები, მჭედლები და მისთანანი)[16].

დღესასწაულები თავისი ხასიათისდა მიხედვით ნაწილდებიან:

---

15 ამ სახის დღესასწაულებს და მათ შემსრულებელ კოლექტივებს ჯერჯერობით ვერ მოვუძებნე სპეციალური ტერმინები და ამიტომ მხოლოდ მათ აღწერილობას ვიძლევი.

16 ხატის მსახურებიც, რა თქმა უნდა გარკვეული პროფესიაა მაგრამ ხატის მსახურთა დღესასწაულები მაინც ცალკე ქვეჯგუფად გამოვყავი და არ მოვათავსე პროფესიულ დაჯგუფებათა დღესასწაულების ქვეჯგუფში, რადგან ეს დღესასწაულები მნიშვნელოვან თავისებურებებს შეიცავენ.

IV ჯგუფი

1. თავის შესაწყალებელი დღესასწაულები, — ისეთები, რომელთა წეს-ჩვეულებები ემსახურება უზენაესი ძალების გულის მოლბობას.

2. საშადლობელო-სასიხარულო ხასიათის დღესასწაულები, ე. ი., რომელთა წეს-ჩვეულებები გამოხატავენ სიხარულსა და მადლობას უმაღლესი ძალებისადმი.

3. თავდაცვა-მოგერიებითი ხასიათის დღესასწაულები, ე. ი. რომელთა წეს-ჩვეულებები ემსახურებიან თავის დაცვას მავნე ძალებისაგან და მათთან შებრძოლებას.

სახელდების მხრივ დღესასწაულები ნაწილდებიან:

V ჯგუფი

1. წმინდანების, ღვთაებების და კეთილისულებების სახელზე განკუთვნილი დღესასწაულები.

2. მიცვალებულთა სახელზე განკუთვნილი დღესასწაულები და

3. ავისულებისა და ძალების საწინააღმდეგო დღესასწაულები.

მიზანდასახულობის მხრივ დღესასწაულები ნაწილდებიან:

VI ჯგუფი

1. დღესასწაულები, რომლებსაც იხდიან საქაო და საიქიო ცხოვრებაში კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

2. დღესასწაულები, რომლებსაც იხდიან სამეურნეო საქმიანობის სასიკეთოდ.

3. მიწის, მცენარეულის, საქონლის, ნადირ-ფრინველის და ადამიანის ნაყოფიერებისათვის განკუთვნილი დღესასწაულები.

4. უამინდობის საწინააღმდეგოდ და კარგი ტაროსის დასაბეჭებლად განკუთვნილი დღესასწაულები.

5. მცენარეულის, საქონლის და ადამიანის ავადმყოფობისაგან დასაცავად განკუთვნილი დღესასწაულები და

6. დღესასწაულები, რომლებსაც იხდიან ყანების, საქონლის, სახლის და ადამიანის დასაცავად სულებისა და ძალებისაგან.

საერთო მაჩვენებლებისა და მათზე დაფუძნებული კლასიფიკაციების გარდა, ჩვენი პროგრამის VII თავი შეძლებისდაგვარად ითვალის-

წინებს ყოველი მნიშვნელოვანი დღესასწაულის წეს-ჩვეულებებს. ეს წეს-ჩვეულებების პროგრამის პარაგრაფებშია მოცემული შემდეგი თემატური ხასიათის სათაურებით: სამსხვერპლო შესაწირავი სახეები, სამსხვერპლოს შეწირვის წინ არსებული წეს-ჩვეულებები (სამსხვერპლოს განბანვა, ერთმანეთთან დაჭიდება, მაგარი სასმელის დალევინება და სხვა), სამსხვერპლოს დაკვლა, სადღესასწაულო ცეცხლი, სამსხვერპლო საკლავის დაჩარექება. მის ნაწილებზე მკითხაობა, სამსხვერპლოს ხორცით საიდუმლო ზიარება, სამსხვერპლოს ხორცის დანაწილება, საჭონლის გაშვება ხატის ან დღესასწაულის სახელზე, საჭონლის დამშვება, საქონლის გადაპარებით კვება, წინასწარ მომარაგებული ხორცის შეწირვა, თევზის შეწირვა, რქების შეწირვა; სადღესასწაულო პურის სახეები, პურის შეწირვა, სადღესასწაულო პურით საიდუმლო ზიარება, პურის შეწირვა მიწისადმი; ხორბლეულით, ფქვილით, ცომით, პურითა და ფაფით მაგიურ-რელიგიური ხასიათის მოქმედებანი; ასეთივე მოქმედებანი პურეულის თავთავებით; მაგიური ნახატების გაკეთება, მარილის კურთხევა. რძისა და რძის პროდუქტების შეწირვა, ზეთის შეწირვა, მაგარი სასმელების შეწირვა, მაგარი სასმელებით დაბეგვრა. წყლისკურთხევა, ცვილისა და სანთელ-საკმეველის შეწირვა, თაფლის შეწირვა, ხილისა და ბოსტნეულის შეწირვა, ველური მცენარეულით და მისი ნაყოფით მაგიურ-რელიგიური ხასიათის მოქმედებანი, ამავე ხასიათის მოქმედებანი ბუნებრივი უსულო საგნებით, ხელოვნური ნივთების შეწირვა, თოვლის ზვინის დადგმა ან თოვლის კოშკის აგება, ხატის თუ დღესასწაულის სახელზე შეთქმა და შეთქმულის შესრულება. ავადმყოფის მკურნალობა დღესასწაულზე; დროშისა და ხატის გამოსვენება, მათი შემკობა და სხვადასხვა მაგიურ-რელიგიური ხასიათის მოქმედებანი ჯვარ-ხატისა და დროშის მიმართ და მეშვეობით, ქადაგად დაცემა, სადღესასწაულო პურობა, მიცვალებულთა სულების გამასპინძლება. სადღესასწაულო გართობები, სადღესასწაულო ბაზრობა, ჰტუშარშასპინძლობა, საზოგადო საქმეებზე ბჭობა და დღესასწაულების ძველებური წეს-ჩვეულებები (იხ. §§ 56—100)[17].

დღესასწაულების ყველა ეს წეს-ჩვეულება თითოეული ცალკე გაშლილია და კონკრეტიზებულია პარაგრაფების რიგ მუხლებში კითხვების სახით. ეს კითხვები მოითხოვენ არა მხოლოდ ყოველი დღესასწაულის წეს-ჩვეულებათა დეტალურ აღწერას, არამედ ყოველი იმ მხარისა და მომენტის ფიქსირებას, რომლებიც ამ წეს-ჩვეულებებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, როდესაც ვსვამთ საკითხს იმის თაობაზე, თუ რომელი ღვთაების ან წმინდანის სახელს ახსენებენ დღესასწაულზე უმთავრესად, ჩვენ მოვითხოვთ, რომ პასუხი შეიცავდეს არა

17 ჩამოთვლილი წეს-ჩვეულებები დადგენილია ქართველი ტომების, პირველ რიგში სვანების, დღესასწაულების ზოგადი ანალიზის შედეგად.

მხოლოდ ამ ღვთაებისა თუ წმინდანის სახელწოდების ფიქსირებას, არამედ დაწვრილებით აღიწეროს მის შესახებ ხალხის წარმოდგენა (იხ. მუხ. 480). ამით ჩვენ ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ ღვთაებათა მშრალი ნუსხების შედგენის საშიშროება და უზრუნველვყოთ დღესასწაულების სრული აღწერილობა ამ მომენტშიც. აღნიშნულ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებულ საკითხებს წარმოადგენენ აგრეთვე: დღესასწაულის შესახებ გავრცელებული თქმულებების ფიქსირება, (მუხ. 487), საზოგადო მიწის დამუშავების წესების აღწერა. (მუხ. 499), სადღესასწაულო სასმელის გამოხდის ადგილი და გამოხდის წესის აღწერა (მუხ. 506), სამსხვერპლოდ გამოყოფილი საქონლის მოლა-კვების წესი (მუხ. 512), და მრავალი სხვა.

ამრიგად, ჩვენი პროგრამის VII თავში მოცემული პარაგრაფები და მუხლები ითვალისწინებენ დღესასწაულების წლიური ციკლის აღწერას. დღესასწაულების სისრულით აღწერისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მათი აღწერა იმ დღიდან იყოს დაწყებული, რომელიც მიჩნეულია ხალხში წლის პირველ დღესასწაულად და შემდეგ მიყოლებით აღიწეროს მომდევნო დღესასწაულები. თითოეული დღესასწაულის აღსაწერად პროგრამაში მოცემულია ოთხი ნაწილი: ა) დღესასწაულის ზოგადი ნაწილი (მუხ. 476—487), ბ) წინასწარი სამზადისი დღესასწაულისათვის (მუხ. 488—526), გ) ღამის თევა (მუხ. 527—551) და დ) დღესასწაულის დღე ან დღეები (მუხ. 552—790). მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ზოგიერთი დღესასწაულის აღსაწერად შესაძლებელია ზედმეტი აღმოჩნდეს ბ) ან გ), ან ორივე ნაწილი ერთად, ვინაიდან ხშირია უღამისთევო დღესასწაულები და აგრეთვე ისეთები, რომლებსაც წინასწარი სამზადისი არ ახლავს.

ხალხური სარწმუნოებრივი მასალის შეკრება, განსაკუთრებით ხალხური დღესასწაულების აღწერა თავისთავად ძნელი და რთული საქმეა. მასალების შემგროვებელს საველე მუშაობის დროს არ უნდა გამორჩეს რელიგიის არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე და მომენტი. კიდევ მეტი, მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს დაწვრილებით აღწეროს მორწმუნის აზროვნებისა და წეს-ჩვეულებათა წვრილმანებიც კი. ამ მოსაზრებების გამო, მე შევეცადე წინამდებარე პროგრამა დეტალური ყოფილიყო და ამიტომ ის საკმაოდ დიდი მოცულობის გამოვიდა. მაგრამ ამ პროგრამის თითოეული თავი და პარაგრაფი ისეა შედგენილი, რომ მასალის შემგროვებელს დროის უქონლობის შემთხვევაში და ან ინტერესების მიხედვით შეუძლია მხოლოდ ერთს მათგანზე იმუშაოს და სისტემატური მასალა დააგროვოს როგორც თემატიკის, ისე საკვლევი რაიონის ფართობის მხრივ, ჩვენი პროგრამა იძლევა მუშაობის წარმოების მაქსიმუმს და მინიმუმს. თემატურად მუშაობის მაქსიმუმს წარმოადგენს პროგრამის ერთი, ან რამდენიმე თავის დამუშავება (ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მასალების დაგროვება ხალხუ-

რი სარწმუნოების ერთი ან რამდენიმე პრობლემის შესახებ; პროგრამის VII თავისათვის კი მაქსიმუმი იქნება დღესასწაულების წლიური ციკლის დამუშავება[18]. საკვლევი რაიონის მხრივ, მაქსიმუმი იქნება ტომის კომპაქტური ბინადრობის არე, ხოლო მუშაობის მინიმუმს თემატურად წარმოადგენს პროგრამის პირველი ექვსი თავისათვის (I—VI) ამა თუ იმ თავის ერთი პარაგრაფის დამუშავება (ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ხალხური სარწმუნოების ერთ-ერთი პრობლემის ერთი თემის შესახებ მასალების დაგროვება), პროგრამის VII თავისათვის კი მუშაობის მინიმუმს წარმოადგენს ცალკეული დღესასწაულების აღწერა. საკვლევი რაიონის მხრივ მინიმუმი იქნება მუშაობის წარმოება ერთი სოფლის ფარგლებში. მაქსიმუმსა და მინიმუმს შუა გრადაციებს წარმოადგენენ — თემატურად: პროგრამის პირველი ექვსი თავისათვის (I-VI) თითოეული თავის შიგნით რამდენიმე პარაგრაფის დამუშავება და პროგრამის VII თავისათვის დღესასწაულების ჯგუფების აღწერა; საკვლევი რაიონის მხრივ მუშაობის წარმოება: რამდენიმე, ან ერთ თემში (ხევში, თუ საზოგადოებაში) და ამა თუ იმ თემის (ხევის, თუ საზოგადოების) რამდენიმე სოფელში.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა თავისი მოცულობით საკმაოდ დიდია, მისი სტრუქტურა საგრძნობლად აადვილებს ამ პროგრამით სარგებლობას. მასალების შემგროვებელი მაქსიმალური მიზნების შესასრულებლად იყენებს ამ პროგრამის ერთ რომელიმე თავს და მასთან დაკავშირებულ პარაგრაფებსა და მუხლებს, ხოლო მინიმალური მიზნებისათვის სარგებლობს პროგრამის რომელიმე თავის ერთ-ერთი პარაგრაფით და მასთან დაკავშირებული მუხლებით[19]. ამავე დროს ეს სტრუქტურა გარკვეულ სისტემატურობას ანიჭებს თვით ამ პროგრამასაც. ამგვარმა პროგრამამ დახმარება უნდა გაუწიოს ხალხური სარწმუნოების გადმონაშთებზე გეგმაშეწონილი მუშაობის წარმოების საქმეს. აქვე უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პროგრამა გამოყენებული უნდა იქნეს არა დასაკითხავ ანკეტად, არამედ მასალების შემგროვებლისათვის სახელმძღვანელოდ საველე მუშაობის დროს.

---

18 აქა თუ იმ ქართველი ტომის დღესასწაულების წლიური კალენდარის სრული სახით დადგენისათვის საჭიროა ამ კალენდრის დეტალური შეჯერება ყოველ თემში (ხევში, თუ საზოგადოებაში). ვინაიდან: ა) ხშირად ერთი და იგივე სახელწოდებით ცნობილი დღესასწაული სხვადასხვა თემებში სხვადასხვანაირად სრულდება, ბ) ერთსა და იმავე დღესასწაულს სხვადასხვა თემებში სხვადასხვა სახელი ეწოდება და ბოლოს, გ) ზოგიერთ თემებში იხდიან ისეთ, დღესასწაულს ან დღესასწაულებს რომლებიც დანარჩენ თემებში ცნობილი არ არის.

19 გამონაკლისს წარმოადგენს VII თავი, რომლის ნაწილებით, პარაგრაფებითა და შესაფერისი მუხლებით სარგებლობისათვის მაქსიმუმსა და მინიმუმს განსაზღვრავს თითოეული დღესასწაულის ხასიათი და წეს-ჩვეულებათა ნაირსახეობა.

ანკეტა

მასალების შემგროვებლისა

1. გვარი, სახელი, მამის სახელი
2. წლოვანება
3. განათლება (უმაღლესი, საშუალო)
4. პროფესია
5. ადგილობრივი ენის ცოდნა
6. მასალების შეგროვების წესი
   (უშუალო დაკვირვების, დაკითხვის გზით, ან ორივე ერთად).[20]
7. მისამართი
8. მასალების შეგროვების თარიღი
   (წელიწადი, თვე, რიცხვი).

---

20 როდესაც მასალების შეგროვება დაკითხვის გზით წარმოებს, საჭიროა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვაჩვენოთ, თუ ვინ არის ამა თუ იმ მასალის მომწოდებელი. ამისი აღნიშვნა შემდეგი კითხვების მიხედვით უნდა მოხდეს — მასალები მომაწოდა: თარიღი, გვარი და სახელი, წლოვანება, პროფესია, სოფელი, რაიონი და მომწოდებლის ცნობებს წყარო.

შესავალი

რაიონი და მისი მოსახლეობა

I

1. მუშაობის ადგილი (ადმინისტრაციული რაიონის სახელწოდება).

2. მოსახლეობის ეთნიკური სახელწოდება და როგორ უწოდებენ თვით თავის თავს.

3. თემის (ხევის თუ საზოგადოების) და მასში შემავალი სოფლების სახელწოდებანი; რამდენ უბნად განიყოფება თითოეული სოფელი; უბნების სახელწოდება.

4. თემში (ხევში თუ საზოგადოებაში) მოსახლე გვარები, რა ეწოდება თითოეული გვარის სისხლით ნათესაურ ჯგუფებს (გვარის განშტოებათა სახელწოდებანი); რომელი გვარი და გვარის განშტოება რომელ სოფელსა და უბანში ცხოვრობს.

თუ შესაძლებელია შეადგინეთ სია გამოსაკვლევი რაიონის კომლთა და სულთა რაოდენობის შესახებ.

5. მოთხრობები და თქმულებები ძველად თუ შედარებით ახლო ხანებში მოსული გვარებისა და მათი ძველი სამოსახლო ადგილის შესახებ.

6. ხომ არ მოეპოვება თემს, სოფელს, გვარს თუ გვარის განშტოებას თავისი სიმბოლო დროშა და სხვა გარკვეული გამოსახულების ნიშნები (დამღები, თაჯები, ხაჩები თუ სხვა, რომლებსაც უკეთებენ ხეებს, საქონელს, კარიბჭეს და სხვ.). — რა სახისაა ეს ნიშნები (ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ მათი სურათები) და რა ეწოდება მათ საერთოდ და თითოეულს ცალკე.

7. თქმულებები მოსახლეობის წარმოშობისა და მისი უძველესი ბინადრობის შესახებ.

8. ისტორიული ხასიათის თქმულებები, ლექსები და სიმღერები.

I. გუნებრივი გარემოცვა

§ 1. მიწა

9. როგორი ეპითეტებით მოიხსენიებენ მიწას („დედამიწა“ და სხვ.).

10. ხომ არ იციან მიწის სახელით დაფიცება, დალოცვა თუ დაწ-

ყევლა; ჩაიწერეთ დაფიცების, დალოცვის თუ დაწყევლის ფორმულები.

11. ხომ არ იციან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლის ან უცხო მხარეში გადასახლების დროს მშობლიური მიწის თან წაღება, — რა მიზნით მიაქვთ ეს მიწა; ხალხის შეხედულება ამის შესახებ.

12. ხომ არ არჩევენ ბედნიერსა და უბედურ მიწას; რომელი მიწა მიაჩნიათ ბედნიერად თუ უბედურად და რატომ (კეთილი ან ავი სულები ფლობენ და სხვა).

13. როგორ მაგიურსა და რელიგიურ წესებს ასრულებენ მიწის მიმართ (მიწაზე დაჯდომის, ადგომის დროს, ქალის მომშობიარების შემდგომ და სხვ.), რა ეწოდება ამ წესებს და რა მნიშვნელობას მიაწერენ მათ შესრულებას.

14. ხომ არ არსებობს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მიწის ამა თუ იმ ნაკვეთს (ველს, ხევს, ღელეს, სახნავ ადგილს თუ სხვას) თავისი პატრონი სული გააჩნია. რა ეწოდება ამ სულებს, როგორია მათი გარეგნობა, როგორი ხასიათი აქვთ, როგორ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან და ადამიანებთან. ჩაიწერეთ ლეგენდები, რომლებიც ბათ შესახებ არსებობს.

15. მოიპოვება თუ არა ისეთი ნაკვეთი მიწისა, რომელსაც არასოდეს არ ხნავენ. რატომ არ შეიძლება, ხალხის შეხედულებით, მათი მოხვნა.

16. რა წესებს ასრულებენ და რას სწირავენ იმ ადგილს, სადაც ხიდს, კოშკს, სახლს და სხვ. შენობას აგებენ, ვინ არის ამ წესის შემსრულებელი, როგორ მნიშვნელობას მიაწერენ და რა ეწოდება ამ წესების შესრულებას. ხომ არ იცოდნენ ძველად სახლის აგების დროს საძირკველში ან კედელში ადამიანის ცოცხლად ჩატანება (ჩაიწერეთ ლეგენდები).

17. მიწის ღვთაება თუ წმინდანი, მისი ადგილობრივი სახელწოდება, სად ცხოვრობს, რა სახისა და სქესისაა, როგორ ხასიათს ამჟღავნებს; საზოგადოდ თქმულებები მიწის ღვთაების თუ წმინდანის შესახებ.

18. ვინ, როდის, სად და როგორ რიტუალს ასრულებს მიწის ღვთაების თუ წმინდანის სახელზე, რას სწირავს და რა მიზნით სრულდება ეს რიტუალი თუ მსხვერპლის შეწირვა, რა ეწოდება ამ რიტუალს თუ რიტუალის შესრულების დღეებს.

19. იციან თუ არა მიწის ჯიშების გამოყენება ხალხურ მკურნალობაში, — რომელ მიწას იყენებენ, რა ეწოდება მას და რის საწინააღმდეგოდ ხმარობენ; მიწის ხმარება ამულეტებად.

20. ვინ ან რამ წარმოშვა მცენარეული — ხე, ბუჩქი, ყვავილი, ბალახი და სხვ.; ხომ არ მფარველობს მცენარეულის თითოეულ სახეს განსაკუთრებული სული თუ ძალა, — რა სახისაა და რა ეწოდება ამ სულს თუ ძალას.

21. ხომ არ მიაჩნიათ საზოგადოდ მცენარეული სულიერ არსებად, თუ ასეთებად სთვლიან მათ გარკვეულ სახეს თუ ჯიშს, რომელია ეს სახეები თუ ჯიშები, ჩაიწერეთ მათი ადგილობრივი სახელწოდება.

22. რა სახის თუ ჯიშის მცენარეულია მავნებელი და რომელი სასარგებლო.

23. მათი მოჭრის, ძირიანად მოთხრის თუ მოგლეჯის დროს ხომ არ ასრულებენ რაიმე რიტუალს, მიმართავენ მათ ლოცვით, თუ გარკვეული სიტყვებით, — აღწერეთ რიტუალი და ჩაიწერეთ მიმართვის ტექსტები; ამ რიტუალის ადგილობრივი სახელწოდება.

24. ხომ არ ასრულებენ რაიმე რიტუალს უნაყოფო მცენარეულის მიმართ (ემუქრებიან ხეს მოჭრით თუ ის ნაყოფს არ მოისხამს და სხვ.), რომელი მცენარეულის მიმართ, ვინ როდის და როგორ რიტუალს ასრულებს; ამ რიტუალის ადგილობრივი სახელწოდება.

25. რომელი ხეები მიაჩნიათ განსაკუთრებული ძალის მქონედ, რა ძალას მიაწერენ მათ (მაგალითად, ამა თუ იმ ხეს მეხი არ დაეცემა და სხვ.) და როგორ დამოკიდებულებას იჩენენ ამგვარი ხეებისა თუ სხვა მცენარეულისადმი.

26. ხომ არ არსებობს ჩვეულება, რომლის ძალითაც ბავშვის დაბადების დროს ხეს დარგავენ; რა ჯიშის ხეს დარგავენ, ვინ დარგავს და როგორ ხსნის ზალხი ამ ჩვეულებას.

27. იციან თუ არა სამარხებზე ხეების გაშენება, — ჯა რიშის ხეებს გააშენებენ, ვინ, როდის და რა მიზნით დარგავს, ან რა მიზეზის გამო არ არის მიღებული სამარხებზე ხეების გაშენება.

28. რა სახის მცენარეები იხმარება ხალხურ მკურნალობაში, — თითოეული მათგანის ადგილობრივი სახელწოდება. რომელ მათგანს რა ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ ხმარობენ და როგორი სახით. აღწერეთ მცენარეულისაგან წამლების დამზადების წესი და აღნიშნეთ რა რიტუალი სრულდება ამ დროს.

29. ხომ არ იციან ავადმყოფობის გადატანა თუ გადალოცვა ხეებზე, რა ჯიშის ხეს რომელ ავადმყოფობას გადაულოცავენ და როგორ სრულდება ეს წესი.

აღწერეთ სახატო ან საგვარო მიწები და მათ მოვლა-დამუშავებასთან დაკავშირებული წესები.

30. არსებობს თუ არა წარმოდგენა ტყის სულების შესახებ, — რა და რა სახის ტყის სულები არსებობენ, რა სახით ევლინებიან ადამიანს

და რა ეწოდება თითოეულ მათგანს (მაგალითად, ტყის-კაცი, ალი, მეგრული— „ტყაში-ბაფა“, „ოჩიკოჩი“, სვანური — „დაუ“, „ქაჯ“, „გუეფ“, „შათხაფ“, „მექუნიად“, „პაჟუ“, „აუკანჭიან“, „ნალანდ“ და სხვ.), რა ძალა აქვთ მათ და რისი ან ვისი ეშინიათ.

31. რა სახის ავადმყოფობას მოაგლენენ ადამიანზე და როგორ, ან ვისი საშუალებით თუ მეშვეობით იგებენ ამას (მკითხავის თუ სხვ.).

32. როგორ ცხოვრებას ეწევიან ტყის სულები, რა ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან, — ჩაიწერეთ ხალხში გავრცელებული თქმულებები მათ შესახებ.

33. ვინ მფარველობს საზოგადოდ მცენარეულს და კერძოდ ამა თუ იმ ჯიშის ხეს, ხევნარს თუ ტყეს, — რომელი ღვთაება, წმინდანი, თუ სხვ.; რა ეწოდება მას, რა სახისაა, საზოგადოდ რა თქმულებები არსებობს მცენარეულისა და მათი მფარველი ღვთაების თუ წმინდანის შესახებ.

34. რა ჯიშის წმინდა ხეები, ბუჩქები, ხევნარები თუ ტყეები არსებობს თემის (ხევის თუ საზოგადოების), ფარგლებში და რა ეწოდება თითოეულ მათგანს. სად მდებარეობენ ისინი (ეკლესიის გალავანში, ნიშთან, გორაკის წვერზე, რომელიმე მოსახლის ეზოში, კალოში, ყანაში, თუ სხვაგან) და რა ეწოდება ამ ადგილს.

35. არსებობს თუ არა ხატის ან რომელიმე გვარის თუ გვარების ტყე, — რა ჯიშის ხეებისაგან შედგება, სად მდებარეობს, რომელ ხატს თუ გვარს ეკუთვნის და რა ეწოდება ამ ტყეს თუ ხევნარს.

36. როგორი თქმულებებია გავრცელებული სახატო თუ საგვარო ტყეების წარმოშობის, ძალისა და მნიშვნელობის შესახებ.

37. ხომ არ იციან წმინდა ხის, ბუჩქის, ხევნარის თუ ტყის შემორაგვა, — რით შემორაგვავენ (წნელით, ქვებით თუ სხვ.), ვინ შემორაგვავს (თემი, სოფელი თუ გარკვეული გვარის წარმომადგენლები, ან ხატის მსახურნი თუ სხვა პირები), რა მიზნით, თუ მიზეზით შემორაგვავენ და როგორ წესებს იცავენ, ან რა რიტუალს ასრულებენ ამ დროს.

38. ხომ არ იციან წმინდა ხეების შემკობა, ან მათ სახელზე რისამე შეწირვა, — ვინ, როდის და რა მიზნით, თუ მიზეზით ასრულებს ამ წესებს, რომელ ხეს რითი ამკობენ, ან რას სწირავენ (აღნიშნეთ შეწირულების თუ სამკაულის ადგილობრივი სახელწოდება) და როგორ სრულდება ეს წესები, რა რიტუალს ასრულებენ, რა ლოცვებს წარმოსთქვამენ, ან რა სიტყვებით მიმართავენ, სანთლებს დაუნთებენ, ან ანთებული სანთლებით ხეს გარშემო უვლიან თუ სხვ.).

39. კიდევ რა რიტუალი სრულდება წმინდა ხეებთან, ხევნარებსა თუ ტყეებში (აღწერეთ დაწვრილებით თითოეული მათგანი 38-ე მუხლში დასმული კითხვების გათვალისწინებით).

40. როგორი თქმულებებია გავრცელებული წმინდა ხეების, ხევნარების, ტყეებისა და მათი წარმოშობის, ძალისა და მნიშვნელობის შესახებ.

§ 3. მთა, მწვერვალი, უღელტეხილი, გორაკი, კლდე და ქვა

41. თქმულებები მთის, მწვერვალის, უღელტეხილის, გორაკის, კლდისა და ქვის ჯიშების წარმოშობის შესახებ, ვინ, ან რა ძალამ წარმოშვა ისინი.

42. ხომ არ იცავს თითოეულ მათგანს განსაკუთრებული სული, რა სახისაა ეს სული, სად ბინადრობს, როგორ ცხოვრებას ეწევა, რა ეწოდება და სხვ.

43. მიუთითეთ თემის (ხევისა თუ საზოგადოების) ფარგლებში არსებული წმინდა მთები, მწვერვალები, უღელტეხილები, გორაკები, კლდეები და ქვები და დაასახელეთ მათი ადგილობრივი სახელწოდებანი და ეპითეტები.

44. რა მიზეზით მიაჩნიათ ისინი წმინდად და პატივსაცემად:

1) შეუვალნი არიან; წვიმას, ქარბუქს, ზვავებს იწვევენ; ჩამოზვავდებიან ხოლმე თუ სხვა.

2) ხომ არა აქვს მნიშვნელობა მათ გარეგნულ მოყვანილობას. — რა სახისანი არიან (ადამიანის ან ცხოველის სახისა დ. ამიტომ გაქვავებულ არსებად მიაჩნიათ, ფალოსის ფორმისა და ამიტომ ხომ არ შესთხოვენ მათ შვილიერებას, საქონლის გამრავლებას და საზოგადოდ ნაყოფიერებას და ბარაქას თუ სხვ.).

3) ხომ არ მიაჩნიათ ისინი ცოცხალ არსებებად, რომლებიც იზრდებიან, ჭრაველდებიან და სხვ.

4) ხომ არ არსებობს ხალხის წარმოდგენით ამ წმინდა ადგილებზე რომელიმე ღვთაებას თუ წმინდანის, ან პირიქით, უწმინდურის ნაკვალევი ადგილები.

45. ხომ არ არის წმინდა ადგილებზე ეკლესიის ნანგრევი, ნიში, ან სხვა რამ ნაგებობა ან ქვის ხროვა თუ სხვ. და რა ეწოდება თითოეულ მათგანს (საჭიროა მათი ფოტოფიქსირება).

46. ხომ არ არსებობს ხალხის წარმოდგენით ამ ადგილების პატრონი თუ მფარველი ანგელოზი, წმინდანი ან ღვთაება, — რა ეწოდება თითოეულ მათგანს, რა სახისანი არიან, როგორ ხასიათს ამჟღავნებენ და საზოგადოდ, რა თქმულებები არსებობს მათ შესახებ.

47. რითი და როგორ გამოხატავს ხალხი ამ წმინდა ადგილებისადმი თავის დამოკიდებულებას:

1) ხომ არ იციან გარკვეულ დღეებში მათ სახელზე რიტუალის შესრულება, — რომელი მათგანის სახელზე, როდის, რა ადგილას და ვინ

როგორ რიტუალს ასრულებს, რა ლოცვებს წარმოსთქვამენ და რა შესაწირავებს შესწირავენ.

2) გზად მიმავალი ხომ არ სტოვებს მათთან რაიმე შესაწირავს ან ახსენებს მათ სახელს, — რას სწირავს (ტოტს, ბალახს, ჭსოვილის ნაჭერს თუ სხვას) და რა სიტყვებით მიმართავს (ჩაიწერეთ ტექსტი).

3) ხომ არ ფიცულობენ მათ სახელს, — რა შემთხვევაში რომელი მათგანის სახელს ფიცულობენ, — ჩაიწერეთ დაფიცების ფორმულები.

4) ხომ არ იციან ბროლის ქვების, ან გახვრეტილი ბრტყელი კენჭების ხატში შეწირვა, ან წყაროს, სახლის სახურავის თუ კერიის თავზე დადება და ან ფქვილის თუ ხორბლეულის კიდობანში ჩატანება, — როდის ხდება ეს, რა მიზნით თუ რა მიზეზით, ვინ ასრულებს ამ ჩვეულებას და რა ეწოდება ამგვარ ბროლის ქვებს თუ კენჭებს.

5) ხომ არ აკრავენ ბრტყელ კენჭებს საკულტო შენობების კედლებზე, — როდის სრულდება ეს ჩვეულება, რა მიზნით და ვის მიერ.

48. ხომ არ იციან გახვრეტილი ქვების, რიყის კენჭების თუ სხვა სახის ქვების ამულეტებად ხმარება, — რის საწინააღმდეგოდ იხმარება თითოეული მათგანი, ვინ ამზადებს ამგვარ ამულეტებს, რასთან ერთად იხმარება, ვის, სად და როგორ გაუკეთებენ, რამდენი ხნით ატარებენ მათ და რა ეწოდება თითოეულ ამგვარ ამულეტს (თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ ეს ამულეტები).

49. რა და რა სახის სამკურნალო ქვები (ღუთო ანუ ხვითო და სხვ.) არსებობს თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში, რა ეწოდება თითოეულ მათგანს, რა და რა ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ ხმარობენ, ვინ წამლობს ხვითოებით, როგორ ხმარობენ (წყალში გაქნიან და იარაზე დაადებენ, დამწვარ ადგილზე წაუსვამენ, თუ სხვ.); ხალხის შეხედულება მათი წარმოშობისა და ძალის შესახებ.

50. როგორ ძალას მიაწერენ ფერად და ძვირფას ქვებს და რა სახით ხმარობენ მათ (ღილად, ყელსაბამად, ბეჭდის თუ სამაჯურის თვლებად და სხვ. — თუ შესაძლებელია ჩახატეთ ამგვარი ქვები).

4. წყალი — მდინარე, წყარო, ნაკადი, ღელე, ტბა

51. თქმულებები წყლის (მდინარის, ტბის და სხვათა) წარმოშობის შესახებ.

52. ხომ არ მიაჩნიათ მდინარე, ნაკადი, წყარო, ღელე, ტბა სულიერ არსებად; როგორი თქმულებები არსებობს ამის შესახებ.

53. ხომ არ არსებობს წყლით განბანა-განწმენდის წესი, — ვინ, როდის, რა მიზეზით და როგორ ასრულებს ამ წესს, რა ძალას მიაწერენ წყლით განწმენდას.

54. იციან თუ არა წყალზე მკითხაობა, — ვინ, როდის, რა მიზეზით და როგორ მკითხაობს; ჩაიწერეთ მკითხაობის ტექსტების ნიმუში.

55. როგორი თქმულებები არსებობს წყლის სულების შესახებ, — რა ეწოდება თითოეულ მათგანს, რა სახისაა, სად ბინადრობს, როგორ ცხოვრებას ეწევა, რა ურთიერთობაშია სხვა სულებთან და ადამიანებთან და სხვ.

56. რომელი მათგანია მიჩნეული წმინდად და თაყვანისცემის საგნად, შეადგინეთ წმინდა ტბების, ნაკადების, მდინარეების, წყაროების სია ადგილობრივი სახელწოდების აღნიშვნით და ჩაიწერეთ მათთან დაკავშირებული თქმულებები.

57. რა ძალას მიაწერენ წმინდა ტბას, წყაროს თუ მდინარეს, ხომ არ ჰკურნავს რაიმე სენისაგან, წველას ხომ არ უდიდებს მეწველ საქონელს თუ სხვ.; დაასახელეთ რომელი სენის სამკურნალოდ როგორ ხმარობენ წმინდა წყალს.

58. ხომ არ ჰყავს წმინდა ტბას, მდინარეს, ნაკადს თუ წყაროს თავისი მფარველი ღვთაება თუ წმინდანი, — რა ეწოდება თითოეულ მათგანს და როგორი თქმულებებია გავრცელებული ამ ღვთაებების თუ წმინდანების შესახებ.

59. ხომ არ იციან წმინდა ტბის, წყაროს და მისთანათა სახელზე ან მათი მფარველი ღვთაებისა თუ წმინდანის სახელზე რაიმე მაგიურ-რელიგიური წესის შესრულება, მსხვერპლის შეწირვა, ლოცვა-ვედრება და სხვ., — ვინ ასრულებს ამ წესებს, სად, როდის, რა შემთხვევებში, რა მიზნით თუ მიზეზით, როგორი მაგიური თუ რელიგიური წესი სრულდება და რა ეწოდება ამ წესს თუ მისი შესრულების დღეს (მაგალითად, სვანეთში გვალვიანობის დროს მოსახლეობა ირჩევდა ერთ-ერთ პირს და გზავნიდა ე. წ. „თელ-ტობზე“, რომელიც წმინდა ტბად მიაჩნდათ და რომელშიც ხალხის წარმოდგენით ღვთაება დალი ბანაობდა ხოლმე, ამორჩეულს თან მიჰყავდა კატა ან რაიმე ჭუჭყიანი ძონძი, — უფრო ხშირად ტყავეული მიჰქონდა: წმინდა ადგილთან მისული, ტბის პირად კატას დაკლავდა და მის სისხლს ტბაში ჩააწვეთებდა, ან უწმინდურ საგანს ტბაში ჩააგდებდა. მოსახლეობას სწამდა, რომ ამგვარი საქციელის გამო ტბა განრისხდებოდა, მოიღუშებოდა და წვიმას წამოუშენდა. ერთ-ერთი წმინდა ტბის სახელზე, რომელსაც „ჩახამეჰ“-ს უწოდებდნენ, განსაკუთრებული დღესასწაული იყო დაწესებული, რომელსაც მთელი მესტიის საზოგადოება იხდიდა ხოლმე და სხვ.).

§ 5. ცეცხლი

60. როგორი შეხედულება არსებობს ცეცხლის შესახებ, ხომ არ მიაჩნიათ იგი ცოცხალ არსებად; არსებობს თუ არა წარმოდგენა ზეციური და ქვეციური ცეცხლის შესახებ; ზეციური, ქვეციური და საზოგადოდ ცეცხლის ადგილობრივი სახელწოდება.

61. თქმულებები ცეცხლის წარმოშობის შესახებ, ვინ გააჩინა ან შოიტანა ზეციური თუ ქვეციური ცეცხლი, ვინ ასწავლა ხალხს ცეცხლის ხმარება და სხვ.

62. რაში გამოიხატება ცეცხლისადმი პატივისცემა, — ცეცხლში არ ჩააფურთხებენ, ნაგავს არ მიაყრიან, ავი სიტყვებით არ მოიხსენიებენ და სხვ.

63. ცეცხლით დაფიცება, დაწყევლა, გადაცემა და სხვ. (ჩაიწერეთ მათი ფორმულები).

64. საწვავი მასალის რომელი სახე თუ ჯიში იხმარება წმინდა ცეცხლის ასანთებად და რომელი მათგანი არ გამოდგება რელიგიურ წესებში ცეცხლის ასანთებად; რატომ ითვლება ესა თუ ის საწვავი მასალა წმინდად ან უწმინდურად.

65. ხომ არ იციან კერაში თუ ბუხარში ცეცხლის მუდმივად შენახვა; ვის ევალება ეს საქმე, რა მნიშვნელობას მიაწერენ ამ ჩვეულებას; მიაჩნიათ თუ არა ცუდ ნიშნად, როდესაც კერაში თუ ბუხარში ცეცხლი ჩაქრება, — რის მომასწავებელია ხალხის შეხედულებით ასეთი შემთხვევები.

66. ხომ არ იციან გარკვეულ დროს (დღეს) ძველი ცეცხლის ჩაქრობა და ახლის დანთება, — როდის სრულდება ეს ჩვეულება, ვის მიერ, რა მიზნით, თუ მიზეზით.

67. განზრახ ცეცხლის ჩაქრობის დროს, როდესაც მას წყალს დაასხამენ ან სხვა საშუალებით აქრობენ, — რა სიტყვებს წარმოსთქვამენ (ჩაიწერეთ ტექსტები) და რა მიზნით.

68. როგორ შემთხვევებში და რა დღეებში არ გასცემენ სახლიდან ცეცხლს და რატომ.

69. რომელი ღვთაება, წმინდანი, თუ სული მიაჩნიათ ცეცხლისა და კერის თუ ბუხრის მფარველად, — რა ეწოდება მას, რა სახისაა, როგორ ხასიათს და ძალას იჩენს, სად ცხოვრობს, თქმულებები ამ ღვთაების თუ წმინდანის შესახებ.

70. როგორ მაგიურ თუ რელიგიურ წესებს ასრულებენ მის სახელზე, როდის, სად, რა მიზნით და ვის მიერ სრულდება ეს წესები, რას სწირავენ, როგორ ლოცვებს წარმოსთქვამენ და სხვ.

71. ცეცხლის მნიშვნელობა და მისი გამოყენების სახეები მშობიაროზის, ქორწინების, დასაფლავების და სხვ. საოჯახო-საზოგადოებრივი წესების შესრულების დროს:

1) მშობიაროზის რომელ მომენტში როგორ იყენებენ ცეცხლს, ვინ ასრულებს ამ დროს ცეცხლთან დაკავშირებულ რიტუალს, რა მიზნით სრულდება ეს რიტუალი, რა მნიშვნელობა აქვს ცეცხლის დანთებას თუ არ დანთებას სახლში, სადაც ახლად მომშობიარებული ქალი და ბავშვია და სხვ.

2) ხომ არ იციან საქორწილო წესების შესრულების დროს კერასა და ნაჭასთან რაიმე რიტუალის ჩატარება, — როგორია ეს რიტუალი, ვის მიერ და ქორწილის რომელ მომენტში სრულდება, რა მნიშვნელობას მიაწერენ და რა ეწოდება ამ რიტუალს (ნეფე-დედოფლის კერის გარშემო შემოტარება, ნაჭაზე ხმლებისა და ხანჯლების დარტყმა და სხვ.).

3) რა მნიშვნელობას მიაწერენ ცეცხლს ოჯახის გაყრის დროს, იციან თუ არა კერასთან და ნაჭაზე დაფიცება და სხვ.

4) ცეცხლის მნიშვნელობა მოსისხლეობის საქმეში. იციან თუ არა მოსისხლე მტრებმა კერია-ნაჭას ერთმანეთისათვის წართმევით დამუქრება, მათი შერიგების დროს კერასთან დაფიცება და სხვ.

5) ანთებენ თუ არა ცეცხლს მიცვალებულთან, მის სამარხზე, როდის ხდება ეს, ვინ ანთებს ცეცხლს და რა მიზნით სრულდება ეს წესი.

72. რომელ დღეებში დაანთებენ ცეცხლის კოცონს, ზედ ახტებიან ან ანთებულ მუგუზლებს ზემოთ ისვრიან, ცეცხლს გარშემო უვლიან, ცეკვავენ, მღერიან, — ვინ ანთებს ამ ცეცხლს, როგორი წესით ანთებენ მას (სულს არ შეუბერავენ, გარკვეული ჯიშის ხეს ხმარობენ ცეცხლის ასანთებად და სხვ.), ვინ არიან მის სახელზე რიტუალის შემსრულებლები, რა მიზნით სრულდება და რა ეწოდება ამ რიტუალს; ხომ არ ერეკებიან ანთებული მუგუზლებით ავ სულებს, — როდის ხდება ეს, ვის მიერ, რა მიზნით და რა ეწოდება ამ წესს თუ მისი შესრულების დღეს.

73. ხომ არ იციან გარკვეულ დღეებში კერის ალება, სხვა ადგილზე გადადგმა, ან კერის წინ თუ მახლობლად ხორცის თუ სხვა სასმელ-საჭმელის ჭამა-სმის აღკვეთა, — როდის სრულდება ეს წესი, ვინ ასრულებს მას (გარკვეული ოჯახები, თუ ოჯახის გარკვეული წევრები, გვარი თუ სხვა), რა მიზნით, რა ეწოდება ამ წესის შესრულებას, თუ მისი შესრულების დღეებს.

74. ცეცხლის ანთებული მუგუზლების, ნაკვერჩხალის, ნახშირის, ნაცრის, მურის და კვეს-აბედის გამოყენება ხალხურ მკურნალობაში და ამულეტებად, — რომელი სენის საწინააღმდეგოდ რომელ მათგანს რა სახით იყენებენ, ვინ მკურნალობს და რა ეწოდება ამგვარი მკურნალობის სახეებს (ჩაიწერეთ ლოცვის თუ შელოცვის ტექსტები და სხვადასხვა სახის ამულეტების ადგილობრივი სახელწოდებანი).

II. მატერიალური წარმოება

§ 6. ნადირობა და მონადირე

75. რამდენად გავრცელებულია თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში ნადირობა და როგორი წონა აქვს მას ეკონომიკაში.

76. ჯგუფურად ნადირობენ თუ ინდივიდუალურად; დაასახელეთ განთქმული მონადირეები.

77. რომელ ცხოველებზე და ფრინველებზე ნადირობენ უმთავრესად (არჩვზე, ჯიხვზე, კურდღელზე, კაკაბზე და სხვ.).

78. რომელ ცხოველებზე და ფრინველებზე არ შეიძლება, ან მიღებული არ არის ნადირობა და რა მიზეზით.

79. ხომ არ არსებობს ჩვეულება, რომლის ძალითაც გარკვეული გვარი (თუ გვარები)არ ან ვერ მოკლავენ რომელიმე ნადირს ან ფრინველს, ან ვერ შეჰამენ ნადირის ან ფრინველის ხორცს (ან მის გარკვეულ ნაწილებს), ვერ მოიხმარენ ნადირის ან საქონლის ტყავს. ჩამოთვალეთ ამ ჩვეულების შემსრულებელი გვარები, ნადირის თუ ფრინველის ჯიში და ნადირის ხორცის აღკვეთილი ნაწილები; თქმულებები ამ ჩვეულების მნიშვნელობისა და წარმოშობის შესახებ.

80. ნადირობისათვის დაწესებული დრო და აღკვეთილი ვადები, — რომელ ნადირსა და ფრინველზე რა დროს შეიძლება ნადირობა და რა დროს არა და რატომ.

81. რა წესებს იცავს მონადირე სანადიროდ წასელის წინ — „წმინდაობს“ (ე. ი. სწყვეტს სქესობრივ კავშირს), წინასწარ ნადირობის შედეგების გაგების მიზნით მკითხაობს (აღწერეთ დაწვრილებით როდის, სად, რა ადგილას, რა საშუალებებით და როგორ მკითხაობს), თუ სხვა.

82. რა მიაქვს თან სანადიროდ მიმავალს (რა სასმელ-საჭმელი, როგორი ჭურჭლით, რა იარაღი, ბადე-მახეები, ძაღლით ნადირობს თუ არა და სხვ.), როგორ წესებს იცავს გზაში (როდის გამოდის სახლიდან, ფარულად მიდის რომ არავინ გაუგოს გამგზავრების მიზანი და არავინ შეხვდეს, უკან არ მოიხედავს, გზაში დამხვდურს ხმას არ გასცემს, გარკვეულ ადგილზე ლოცულობს თუ სხვ.) და რა ნიშნები მიაჩნია ავის თუ კეთილის მომასწავებლად (რომელიმე ფრინველის ჩხავილის გაგონება, ძაღლის ღმუილი თუ სხვა).

83. როგორ წესებს იცავს მონადირე ნადირობის დროს, — აღკვეთილია ხმამაღლა ლაპარაკი, ლანძღვა-გინება, ჩხუბი და სხვა თუ არა; ხომ არ არსებობს მონადირეთა საიდუმლო ენა, — შეადგინეთ ნადირობის დროს ხმარებული საიდუმლო სიტყვების ლექსიკონი და აღწერეთ განსაკუთრებული ნიშნები (ხელის მოძრაობის და სხვ.), რომელთა შემწეობით მონადირე ცდილობს ნადირი არ დააფრთხოს ან მიიახლოვოს.

84. როგორ რიტუალს ასრულებს მონადირე ნადირის თუ ფრინველის მოკვლის ან დაჭერის შემდეგ, — ვის მიმართავს, რა ლოცვას იტყვის, ნადირის თუ ფრინველის რომელ ნაწილს იქვე შეწვავს და შესწირავს და სხვ.

85. ნანადირევის დანაწილების წესები მონადირეთა და უშუალოდ ნადირის მომკვლელთა შორის; უნაწილებენ თუ არა ნანადირევს

გზაში შეხვედრილ პირს, ან მეზობლებს, ქალებს, გვარს, სოფელს და სხვ.; რომელ ნაწილს ვის არგუნებენ.

86. ხომ არ ასრულებენ მონადირეები ცალკე განსაკუთრებულ საიდუმლო რიტუალს, — როდის, სად, როგორ სრულდება ეს რიტუალი, რა მნიშვნელობას მიაწერენ და რა ეწოდება მას.

87. როგორ აფასებს ხალხი მონადირეს; თქმულებები, სიმღერები და ლექსები მონადირეების შესახებ, ვინ იყო პირველი მონადირე და სხვა.

§ 7. ნადირთ პატრონი, ნადირისა და მონადირეთა მფარველი ღვთაება თუ ჯინდანი

88. ვინ ასწავლა ხალხს ნადირობა, ვინ არის ნადირთ პატრონი, რა ეწოდება მას, ხომ არ ითვლება ნადირთ პატრონი ღვთის მონაწილედ.

89. კიდევ რომელი წმინდანები თუ ღვთაებები ითვლებიან ნადირობის, ნადირ-ფრინველისა და მონადირეთა მფარველად.

90. რა სახისა და სქესისანი არიან ისინი (მაგალითად, სვანების ნადირთ პატრონი დალ'ი მდედრობითი სქესისაა, ხოლო აფსათ'ი მამრობითი სქესისა).

91. სად ცხოვრობენ და რა ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, მრავლდებიან თუ არა და სხვ.

92. როგორ დამოკიდებულებაში არიან სხვადასხვა სულებთან, რისი ან ვისი ეშინიათ, რომელი სულები მტრობენ მათ განსაკუთრებით (მაგალითად, დალის დიდი მტერია სვანების წარმოდგენით დაუ).

93. როგორ ექცევა ნადირთ პატრონი ქალებს და დანარჩენ მოსახლეობას.

94. როგორ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენს ის, ერთი მხრივ, ნადირის მიმართ და, მეორე მხრივ, მონადირისადმი, — როგორია საკითხთან დაკავშირებული მოთხრობები და თქმულებები.

95. ვინ, როდის, სად და როგორ რიტუალს ასრულებს მონადირეობის მფარველი ღვთაების თუ წმინდანის მიმართ, რას სწირავენ, რა მიზნით სრულდება და რა ეწოდება ამ რიტუალს თუ შეწირულებას ან მათი შესრულების დღეს.

§ 8. გარეული ცხოველები და ფრინველები

96. როგორი თქმულებები არსებობს გარეული ცხოველებისა და ფრინველების და მათი წარმოშობის შესახებ; სად მიფრინავენ ზამთრობით ფრინველები, — რა ეწოდება იმ ადგილს თუ ქვეყანას; რომელ გარეულ ცხოველს და ფრინველს არ მოჰკლავენ და რატომ; ხომ არ

იციან ცხოველებმა და ფრინველებმა ერთმანეთთან საუბარი, ხომ არ არიან ისეთი პირები, რომელთაც ესმით მათი ენა; როგორია ეს ენა; ხომ არ გაუგონიათ ადამიანის ცხოველად ან ფრინველად ან, პირიქით, მათი ადამიანებად გადაქცევის შესახებ მოთხრობები და სხვ.

97. რისი (ავის თუ კარგის) მომასწავებელი ნიშანია ამა თუ იმ (და სახელდობრ რომელი) ცხოველის და ფრინველის დანახვა, თავზე გადაფრენა თუ გზაში შეფეთება, ღმუილი, მგლის ან მელას, თუ სხვა. ნადირთა სოფელში შეჭრა, ყვავის დაჩხავლება, მერცხლის მიერ სახლში ბუდის გაკეთება და სხვ. მსგავსი მოვლენები.

98. ხომ არ სრულდება მაგიური თუ რელიგიური წესი გარეული ცხოველებისა და ფრინველების სახელზე, მათი გულის მოსაგებად ან მათ საწინააღმდეგოდ, — სად, როდის, ვის მიერ, რომელი ცხოველის თუ ფრინველის მიმართ, როგორი წესი სრულდება (მაგალითად, ფრინველთა „დაძლევა", ჩიტის ფაფის შეწირვა, ნადირის „პირის შეკვრა" და სხვ.).

99. რომელი ღვთაება თუ წმინდანი ითვლება გარეული ცხოველისა და ფრინველის მფარველად და რა ეწოდება მას.

100. ვინ, როდის, სად და როგორ რიტუალს ასრულებს და რა შესაწირავს სწირავს ამ ღვთაებასა თუ წმინდანს.

101. ხომ არ ხმარობენ ხალხურ მკურნალობაში და ამულეტებად გარეული ცხოველებისა და ფრინველების ნაწილებს (ნადირის კბილს, ყურს, თათს, ბალანს, ქონს, ფრინველის ბრჭყვალებს, ნისკარტს, ფრთას, ბუმბულს, განავალს და სხვ.) და რის საწინააღმდეგოდ იხმარება თითოეული მათგანი.

102. როგორი ცრურწმენებია დაკავშირებული შინაურ და გარეულ მწერებთან, ხომ არ იციან გარკვეულ დღეს რწყილის „გადალოცვა", საზოგადოდ, როგორი მაგიური წესები სრულდება ამა თუ იმ მწერის მიმართ, სად ასრულებენ მას, ვინ არის შემსრულებელი, რა ვიზნით სრულდება და რა ეწოდება ამ წესს თუ მისი შესრულების დღეს.

103. როგორი თქმულებები არსებობს მწერებისა და მათი წარმოშობის შესახებ; ხომ არ უკავშირებენ პეპელას ადამიანის სულს; რატომ არ შეიძლება ობობას მოკვლა და სხვ.

104. რომელი ქვეწარმავალის სახელს არ ახსენებენ, რა მიზეზით და სახელის მაგიერ რა სიტყვებით მოიხსენიებენ მას.

105. ხომ არ მიაჩნიათ ზოგიერთი ქვეწარმავალი, ბაყაყი, თაგვი და სხვ. წმინდა და სათაყვანებელ ცხოველად, — როგორი საბისაა ხალხის წარმოდგენით ამგვარი ცხოველი, სად ცხოვრობს, როგორი ძალა აქვს: ხომ არ ასრულებენ მის მიმართ რაიმე რელიგიურ თუ მაგიურ წესებს, — სად, როდის, ვინ, როგორ რელიგიურ თუ მაგიურ წესებს ასრულებს და რა მიზნით (მაგალითად, მორწმუნე სვანის წარმოდგე-

ნათ არსებობს ოჯახის მფარველი განსაკუთრებული სახის გველი, ხვლიკი, ბაყაყი, თაგვი და სხვ. ცხოველები, რომლებიც სვანის ოჯახში ცხოვრობენ და რომლებსაც მორწმუნე სვანი „მეზირს“ უწოდებს. მეზირისათვის განკუთვნილ რიტუალს ასრულებენ მხოლოდ ოჯახის მანდილოსნები ფარულად, კერასთან ან მარანში წლის განმავლობაში გარკვეულ დღეს. ეზირი მიაჩნიათ დიდი ძალის მქონე წმინდა ცხოველად, რომლის რისხვა მომასწავებელი იყო პირველ რიგში ოჯახის უფროსი მანდილოსნის და შემდეგ მთელი ოჯახის სრული განადგურებისა).

106. რა შედეგებს გამოიწვევს ხალხის აზრით ბაყაყის ან რომელიმე (სახელდობრ რომელი) ქვეწარმავლის მოკვლა.

107. როგორი თქმულებებია გავრცელებული ბაყაყის, თაგვისა და ქვეწარმავალთა შესახებ; ყურადღების გამახვილებას მოითხოვს განსაკუთრებით თქმულებები „ნატრის თვალის“, გველის რქების, გველის ტყავის, ფერისა და ბაყაყის ნაყოფიერების შესახებ.

108. იხმარება თუ არა გველის ტყავი ან შხამი, ბაყაყი თუ სხვა, ან გველის, ბაყაყის თუ სხვათა გამოსახულება ამულეტად, თუ ხალხურ სამკურნალო საშუალებად. რომელ მათგანს რა ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ ხმარობენ და რა სახით.

§ 9. მეთევზეობა

109. როგორია მეთევზეობის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკაში.

110. ხომ არ იციან განსაკუთრებული რიტუალის შესრულება სათევზაოდ წასვლის დროს და თევზაობიდან დაბრუნებისას; — როგორ წესებს და რიტუალს ასრულებენ, — აღწერეთ დაწვრილებით.

111. რომელი ღვთაება თუ წმინდანი ითვლება მეთევზეობისა და თევზის მფარველად, აღნიშნეთ მისი ადგილობრივი სახელწოდება, ხალხის წარმოდგენა მისი გარეგნობისა და ძალის შესახებ.

112. რა მაგიურ წესებს მიმართავენ თევზის გასამრავლებლად და იმისათვის, რომ მეთევზემ თევზი უხვად დაიჭიროს, — სად სრულდება ეს წესი, ვის მიერ და რა ეწოდება მას ან მისი შესრულების დღეს.

113. ხომ არ მოიპოვება ისეთი გვარები, რომლებსაც აკრძალული აქვთ თევზის ჭამა, — დაასახელეთ ეს გვარები და აკრძალვის მიზეზი.

114. ხომ არ არსებობს ცოცხალი თევზის კულტი, — ვინ ასრულებს სათანადო წესებს და როგორ.

115. ხომ არ არსებობს თემში (ხევში თუ საზოგადოებაში) თევზის გამოსახულება, — როგორია ეს გამოსახულება, რა მასალებისგან არის გაკეთებული, რა ეწოდება მას, ვინ სცემს მას თაყვანს, რაში გამოიხატება ეს თაყვანისცემა და რა მიზნით თუ მიზეზის გამო სცემენ

მათ თაყვანს; ხომ არ მიაჩნიათ თევზი ან მისი გამოსახულება ნაყოფიერების მომცემად.

116. ხომ არ არსებობს თევზის მსხვერპლად მიტანის ჩვეულება, — სად, როდის, ვის მიერ, როგორ და რა მიზნით სრულდება ეს ჩვეულება.

117. რა ჯიშის თევზეულის დაკურთხება იციან და რა სახით (მოხარშული, შემწვარი თუ სხვ.), რასთან ერთად აკურთხებენ, როდის ხდება ეს კურთხევა, როგორ სრულდება და რა მიზნით.

118. ხომ არ იციან თევზის გამოყენება ხალხურ მკურნალობაში, — რომელ ავადმყოფობას მკურნალობენ, როგორი სახით მოიხმარება ეს საშუალება და ვინ არის მკურნალი.

119. ხმარობენ თუ არა თევზის ნაწილებს ან მის გამოსახულებას ამულეტებად, — რომელ ნაწილებს ხმარობენ და რის საწინააღმდეგოდ თუ რა მიზნის მისაღწევად; თუ შესაძლებელია ჩახატეთ თევზისა და მისი ნაწილებისაგან გაკეთებული ამულეტები.

120. როგორი თქმულებები არსებობს მეთევზეობისა და თევზის წარმოშობის შესახებ.

§ 10. მეფუტკრეობა

121. რამდენად გავრცელებულია თემში (ხევში თუ საზოგადოებაში) მეფუტკრეობა; ფუტკრის ჯიშისა და საფუტკრის სახელები.

122. როგორი რწმენა-წარმოდგენებია გავრცელებული და რა სახის მაგიურ თუ რელიგიურ წესებს ასრულებენ ფუტკრის მიკვლევასთან დაკავშირებით, გაშენების დროს, როცა მისი შერჩევა-შეგროვება და დაბინავება ხდება, დაზამთრების დროს, თაფლის გამოღების დროს და სხვ. — სად და ვის მიერ სრულდება ეს წესები და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

123. როგორ უვლიან ფუტკარს და რითი იცავენ მას ავადმყოფობისა და ფუტკრის მავნებლებისაგან, ავი თვალისაგან და სხვ.

124. როგორი თქმულებებია გავრცელებული ფუტკრისა და მეფუტკრეობის წარმოშობის შესახებ.

125. რა ეწოდება მეფუტკრეობის ღთაებას თუ წმინდანს; როდის, რა შემთხვევებში, როგორი ლოცვა-ვედრებით თუ შესაწირავებით მიმართავენ მას, როგორ სრულდება ეს რიტუალი და რა ეწოდება მას.

126. როგორი სახით ხმარობენ ცვილს, ფიჭას და თაფლს რელიგიური წესების შესრულების დროს; ხომ არ იციან ცვილისაგან გაკეთებული ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებათა შეწირვა; რა ეწოდება ამგვარ გამოსახულებას, ვინ, როდის და რა მიზნით სწირავს მას.

127. ცვილი და თაფლი ხალხურ მკურნალობაში; რა და რა სახის ამულეტებს აკეთებენ ცვილისაგან, როგორ ამზადებენ მათ, ვინ ამზადებს და რის საწინააღმდეგოდ იხმარება ამგვარი ამულეტები; თუ შესაძლებელია ჩახატეთ ეს ამულეტები.

§ 11. მეაბრეშუმეობა

128. რამდენად გავრცელებულია მეაბრეშუმეობა თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში.

129. როგორი რწმენა-წარმოდგენები და რა სახის მაგიური წესების შესრულებაა დაკავშირებული აბრეშუმის თესლთან, ჭიასთან, ჭიის მოვლასთან, პეპლის გამოსვლასთან და თესლის შეგროვებასთან, აბრეშუმის ძაფისა და ყაჭის ყოველგვარ დამუშავებასთან, საღებავების დამზადებასთან, ძაფის შეღებვასთან, საზოგადოდ მეაბრეშუმეობასთან.

130. აბრეშუმის ჭიის სხვადასხვა ავადმყოფობის განკურნების საშუალებანი.

131. თქმულებები მეაბრეშუმეობის წარმოშობის შესახებ.

132. მეაბრეშუმეობის მფარველი ღვთაება თუ წმინდანი; მიმართავენ თუ არა მას ლოცვა-ვედრებით, შეწირულებით და სხვ.; ვინ, როდის, სად, როგორ და რა მიზნით ასრულებს ამ რიტუალს, რა ეწოდება მას თუ მისი შესრულების დღეს.

§ 12. მესაქონლეობა

133. რა და რა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოშენებას მისდევენ (ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი) და რა ეწოდება თითოეულ მათგანს მისი სქესისა და წლოვანებისდა მიხედვით.

134. საძოვრების სახელები და მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

135. რა სახის მაგიურ თუ რელიგიურ წესებს ასრულებენ საკვებ ბალახთან და საქონლის გამოკვება-მოვლასთან დაკავშირებით, — ვინ ასრულებს ამ წესებს (მეხრე, მწყემსი, მეცხვარე ან ოჯახის უფროსი თუ სხვ.), სად ასრულებენ და რა ეწოდება ამ წესებსა თუ მათი შესრულების დღეს.

136. აღწერეთ დაწვრილებით ხურაობის, მოდოლებისა და სხვადასხვა საქონლის ნაშიერის გამოზრდის დროსთან, ცხენის გახედნასთან, მხედრობასთან და მსგავს მოვლენებთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური წესები. აღნიშნეთ ვინ არის მათი შემსრულებელი, სად სრულდება ეს წესები, რა მიზნით და რა ეწოდება თითოეულ წესს.

137. როგორ უვლიან, რით წამლობენ და რა სახის მაგიურ საშუალებებს მიმართავენ საქონლის ავადმყოფობის დროს; არის თუ არა მეცხვარე ან მენახირე საქონლის მკურნალი, — აღწერეთ დაწვრილებით მისი წამლობის ხერხები, დაასახელეთ სამკურნალო ბალახები და სადოსტაქრო და სხვა სახის სამკურნალო იარაღები.

138. რა საშუალებას მიმართავენ გათვალვის საწინააღმდეგოდ — წველის, დღეების თუ ყველის ამოღების დროს, როცა მეწველ საქონელს რძე გაუშრება, საქონლის დაკოდვის დროს, ცხვრის გაკრეჭის დროს, უშობელას რომ ხბო შეეძინება, როცა ძროხას პირველად მოწველიან, ან ძროხის პირველი წველისაგან კარაქს შედღვებავენ, თუ ყველს ამოიღებენ და სხვ.

139. საქონლის მოწველასთან, რძის პროდუქტების მომზადებასთან (ნაღების მოხდა და არაჟანის დამზადება, მაწვნის შედედება. ყველისთვის კვეთის მიცემა და სხვ.), მათ შენახვასთან და რძის საწველ პროდუქტების შესამზადებელ და შესანახ იარაღ-ჭურჭელთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და მაგიურ-რელიგიური წესები; ვინ, რა მიზნით ასრულებს ამ წესებს და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

140. როგორი რწმენა-წარმოდგენებია დაკავშირებული და რა სახის მაგიურ თუ რელიგიურ წესებს ასრულებენ ფარეხთან, ბოსელთან, თავლასთან, საღორეებთან და საზოგადოდ საქონლის სადგომებთან დაკავშირებით. — ვინ, როდის, რა მიზნით და სად ასრულებს ამ წესებს და რა ეწოდება თითოეულ ამ წესს თუ მის შესრულებას ამჟამად.

141. როგორი მაგიურ-რელიგიური წესები სრულდება გაზაფხულზე საქონლის საძოვრად გამოყვანის, მთაში არეკვის, ან შემოდგომაზე მისი ჩამორეკვის დროს, — ვინ, სად და რა მიზნით ასრულებს მათ; თითოეული ამგვარი წესის ადგილობრივი სახელწოდება.

142. ხომ არ იციან საზამთროდ რძის პროდუქტების დამზადების პროცესში შეამხანაგება, ერთმანეთის დახმარება „ხანულობა", — აღწერეთ ეს წესი. აღნიშნეთ ამ წესის და მის შემსრულებელთა ადგილობრივი სახელწოდება და ჩაიწერეთ ამ წესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

143. მესაქონლეობის მფარველი ღვთაება თუ წმინდანი, რა ეპითეტებით მოიხსენიებენ მას, როგორი თქმულებები არსებობს ამ ღვთაების თუ წმინდანის გარეგნობის, საცხოვრებელი ადგილის, სხვა ღვთაებებთან თუ წმინდანებთან ურთიერთობის შესახებ და სხვ.

144. რა რიტუალს ასრულებენ მის სახელზე, როდის და რას სწირავენ, ვინ არის შემწირველი, სად ხდება ეს შეწირვა და რა ეწოდება ამ რიტუალს თუ რიტუალის შესრულების დღეს.

145. რა და რა ჯიშის საქონელს რომელი ღვთაება თუ წმინდანი მფარველობს, რა თქმულებები არსებობს ამ ღვთაებათა თუ წმინდანების შესახებ, რა სახისანი არიან, როგორ ცხოვრებას ეწევიან, რა ძალას იჩენენ და სხვ.

146. რა სახის რიტუალს ასრულებენ თითოეული ამ ღვთაების თუ წმინდანის სახელზე — ვინ ასრულებს მას, როდის, რა ადგილას, რა მიზნით და რა ეწოდება ამ რიტუალს თუ მისი შესრულების დღეს.

147. საქონლის რომელ ბუნებრივ ნიშნებს მიაწერენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას (ფერს, ხალს, ხორცმეტს თუ სხვ.), — როგორია თითოეული მათგანის მნიშვნელობა თუ ძალა და რას უწოდებენ ამ ნიშნებს.

148. რა ხელოვნურ ნიშნებს უკეთებენ საქონელს (სხვადასხვა სახის დაღებს, მატყლს შეუღებავენ ცხვარს ან რქას ხარს თუ სხვ.); რას უწოდებენ ამ ნიშნებს, რა მნიშვნელობას ანიჭებენ მათ, ვინ უკეთებს ამ ნიშნებს და როდის.

149. რა და რა შინაური ფრინველის მოშენებას მისდევენ თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში და რა ეწოდება თითოეულ შინაურ ფრინველს ცალკე სქესისა და წლოვანებისდა მიხედვით.

150. რა რწმენა-წარმოდგენებია დაკავშირებული შინაურ ფრინველებთან, მათ კვება-მოვლასთან, გამრავლებასთან და სხვ.; ხომ არ იციან განსაზღვრული სიტყვების წარმოთქმა ან რაიმე მაგიური წესების შესრულება კრუხის დასმის დროს, როდესაც წიწილები იჩეკება, ქათმებს რომ ჭირი დაერევა და სხვ.; აღწერეთ წესები და ჩაიწერეთ სიტყვიერი ფორმულების ნიმუშები.

151. რომელ შინაურ ფრინველს რომელი წმინდანის თუ ღვთაების სახელზე შესწირავენ; რა მნიშვნელობა აქვს შინაური ფრინველის სქესს, ასაკს და ფერს თუ ნიშანს მისი შეწირვის ან მსხვერპლად მიტანის დროს.

152. რომელი ღვთაება თუ წმინდანი მიაჩნიათ შინაური ფრინველების მფარველად; როგორი თქმულებები არსებობს ამ ღვთაების თუ წმინდანის შესახებ.

153. რა რიტუალს ასრულებენ ამ ღვთაების თუ წმინდანის სახელზე, როდის და სად ხდება მისი შესრულება, რას სწირავენ, რა ლოცვებს წარმოსთქვამენ ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტი), ვინ რა მიზნით ასრულებს ამ რიტუალს და შეწირულებას; რიტუალის ან მისი შესრულების დღის ადგილობრივი სახელწოდება.

154. როგორი თქმულებები არსებობს ცხოველებისა და ფრინველების მოშინაურების შესახებ.

155. აღწერეთ დაწვრილებით როგორი რწმენა-წარმოდგენები და რა სახის მაგიურ-რელიგიური წესებია დაკავშირებული:

1) სხვადასხვას საქონლისა და შინაური ფრინველის დაკვლასთან, გატყავება-ბუმბულის გაცლასთან, ასო-ასო დაჭრასთან, ტყავის გამოყვანასთან, ტყავისა და ბუმბულის შენახვა-გამოყენებასთან, დასაკლავ იარაღებთან და ხორცის შესანახ ჭურჭელთან.

2) შაშხის, ლორის, აპოხტის, კუპატის, ძეხვის, მანძილოს. (სვანური „ნალძიორ“ და აგრეთვე „ზისხორას“) შერჩევა-შემზადებასა, გაკეთება-გამოყვანასა და შენახვასთან.

3) წველასთან, ხორცეულისაგან საჭმელების დამზადებასა, შემზადება-გაკეთებასა და შენელება-სანელებლებთან.

4) სამზარეულოსა და მის მოწყობილობასთან.

156. იყენებენ თუ არა შინაური ცხოველებისა და ფრინველების ნაწილებს (რქა, ჩლიქი, კბილი, ფრთა, ნისკარტი, ბუმბული და სხვ.), მთლიანად მათ, თუ ცხოველის ან ფრინველის გამოსახულებას მაგიური ან რელიგიური წესების შესრულების დროს (რომელ მათგანს როგორ და ვის ან რის სახელზე იყენებენ), ან ხმარობენ ხალხურ მკურნალობაში და ამულეტებად (რომელ მათგანს რა სახით, რომელი სენის საწინააღმდეგოდ ხმარობენ).

§ 13. მიწათმოქმედება

157. თემში (ხევში თუ საზოგადოებაში) არსებული სოფლის მეურნეობის კულტურა, მეურნეობის დარგები და სათესი მარცვლეულის სახეები (ხორბლეული, ქრთილეული, ფეტვნაირი, სიმინდი. ბრინჯი, სელი, კანაფი, ბამბა, პარკოსანი მარცვლეული და სხვ.), მიწათმოქმედების წონადობა ეკონომიკაში.

158. ახოს გაკაფვასთან, სახნავი მიწის, საბოსტნე, საბაღე და საველახე ადგილებ-ს შერჩევა-შემზადება-გაკეთებასთან, სასუქის დაყრასთან, რუს გათხრასა, წყლის გამოყვანასა და მორწყვასთან, ხვნა-ბარვასთან, ხორბლეულისა და ბოსტნეულის თესვასთან, ხეხილის დარგვასთან, ვენახის გაშენებასთან, ხეხილისა და ვაზის გადარგვა-დამყვნასთან, გასხვლასთან, ასარვა-შეკონვა-ახვევასთან და მოწამვლასთან, საზოგადოდ ხორბლეულის, ბოსტნეულის, ვაზ-ვენახისა და ხილეულის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და მაგიურ-რელიგიური წესები, მათი სახელწოდება, შესრულების ადგილი, შემსრულებელი (ვინ ასრულებს) და ხალხის წარმოდგენა ამ წესების ძალისა და მნიშვნელობის შესახებ.

159. რომელ დროს, დღეს და როგორ მთვარეზე იწყებენ ჩვეულებრივ თითოეული სახის სამუშაოს; როგორი რიტუალია დაკავშირებული ხარის პირველად უღელში ან გუთანში შებმასთან და სხვ.

160. რა წესებს იცავს ის პირი, რომელიც პირველად იწყებს ხვნა-თესვას და სხვა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის საქმიანობას; გუთნის-

დედის, შეხრისა და მისთანათა რიტუალი, ამ რიტუალის შესრულების ადგილი, დრო, მიზანი და სახელწოდება.

161. ხომ არ იციან თესვის დროს სათეს მარცვლეულში რისამე გარევა და ისე დათესვა, — რას გაურევენ და რა მიზნით (მაგალითად, სვანეთში ახალწლის წინა საღამოს გამომცხვარ და სათესლე გოდორზე ჩამოკიდებულ კვერს, რომელსაც „კირკადუ“ ეწოდება, თესვის დროს წვრილად დაფშვნიდნენ, სათესლე ხორბალს შეურევდნენ და მასთან ერთად დათესავდნენ, — ხორბლის ბარაქა იციხო).

162. ხომ არ იციან წინასწარ რომელიმე გარკვეულ დღეს, ვიდრე ზვნა-თესვას შეუდგებოდნენ, მარცვლეულის დათესვის სიმულაციის შოწყობა, — როდის ხდება ეს, ვინ აწყობს მას, რა ჯიშის მარცვლეულს თესავენ ამ დროს, როგორ, სად, რა მიზნით სრულდება და რა ეწოდება ამ სიმულაციას.

163. ხომ არ არსებობს ფარული საშუალებანი მცენარეულის ზრდის და განაყოფიერების დასაჩქარებლად, — როგორია ეს საშუალებანი და ვინ ასრულებს მათ.

164. რა სახის მაგიურ თუ რელიგიურ წესებს ასრულებენ პურეულის, ბოსტნეულის, ხეხილისა და ვენახის დაცვისათვის — ჭია რომ არ გაუჩნდეს, ავი თვალი არ მიეკაროს და სხვ., — გააკეთებენ თუ არა ყანაში. ბოსტანში, ბაღში, ვენახში საფრთხობელებს, ან სხვაგვარ საცავ ნიშნებს, ჩამოკიდებენ თუ არა ღობეებზე ან საგანგებოდ გაკეთებულ სარებზე საქონლის თავის ქალას და სხვ., — როგორ საფრთხობელას. რა სახის საცავ ნიშანს, რომელი ცხოველის თავის ქალას გააკეთებენ ან სხვაგვარ დასაცავ საშუალებას მიმართავენ, რა ეწოდება თითოეულ ამგვარ საცავ საშუალებას, ვინ აკეთებს მას და რის საწინააღმდეგოდ.

165. რა წესებს ასრულებენ გვალვის, სეტყვის, წვიმიანობის თუ სხვაგვარი უამინდობის თავიდან ასაცილებლად, — ვინ ასრულებს ამ წესებს (მთლიანად თემი, მის მიერ ამორჩეული პირები, ხატის მსახურნი, კერძო ოჯახები თუ სხვა). სად, რა ადგილას, რომელ დღეს და ვის სახელზე ასრულებენ ამ წესებს, უკანასკნელთა ადგილობრივი სახელწოდება.

166. ხომ არ იციან გარკვეულ დღეებში მუშაობის აღკვეთა მოსავლიანობის სახელზე, — ვინ (გარკვეული გვარი, თუ მთლიანად თემი, სოფელი ან ცალკეული ოჯახები) რა დროის განმავლობაში, რომელ დღეებს დაიუჭმებს და რა ეწოდება დროის ამ მონაკვეთს, თუ აღკვეთილ დღეებს.

167. ხომ არ იციან ამ აღკვეთილი დროის განმავლობაში თუ აღკვეთილ დღეებში მაგიური ან რელიგიური წესების შესრულება, — როგორ სრულდება ეს წესები, რა დღეს და დღის რომელ მომენტში

ასრულებენ, ვინ არის მათი უშუალო შემსრულებელი, ვინ ეწვრება ამ დროს, ვის სახელზე ასრულებენ ამ წესებს, რას სწირავენ, როგორ ლოცვებს წარმოსთქვამენ (ჩაიწერეთ ტექსტები), რა მიზნით სრულდება თითოეული წესთაგანი და რა ეწოდება მას.

168. პურეულისა და ბოსტნეულის აჯეჯილებასთან, ბაღ-ვენახის გაფურჩქვნასთან და ნაყოფის დამწიფება-შემოსვლასთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური წესები, მათი სახელწოდება, შესრულების ადგილი, დღე და შემსრულებელი.

169. თიბვასთან, მკასთან, რთველთან და საზოგადოდ მოსავლის აღებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და მაგიურ-რელიგიური წესები, მათი სახელწოდება, შესრულების დღე, ადგილი, შემსრულებელი და ხალხის წარმოდგენა ამ წესების ძალისა და მნიშვნელობის შესახებ.

170. ხომ არ არსებობს წარმოდგენა ავი ძალის თუ სულის შესახებ. რომელიც იტაცებს ხორბლეულს ერთი ოჯახიდან მეორე ოჯახში, — რა სახისაა ეს სული თუ ძალა, ვის ემორჩილება და რა ეწოდება მას (მაგალითად, სვანეთში ასეთი ძალის მჭონედ მიჩნეული ჰყავდათ ე. წ. „ლაჯუარ“ — ბაყაყის ან სხვა ცხოველის და ფრინველის გამოსახულების ლითონის ნივთი, რომლის შესაკუთრე ხალხის წარმოდგენით მდიდრდებოდა ლაჯუარის მიერ ნადავლი ხორბლეულით, რომელსაც ის შეზობელი ოჯახებიდან იტაცებდა).

171. როგორ ლოცვებს, დალოცვებს, შელოცვებსა და სიმღერებს ამბობენ მკის, თიბვის, რთველის და საზოგადოდ მოსავლის აღების დროს (ჩაიწერეთ ტექსტები).

172. ხომ არ იციან გარკვეული სახის რიტუალის შესრულება „ნადის“, „მამითადის“ და სხვ. სახის კოლექტიური დახმარების დროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, —როგორია ეს რიტუალი, როდის, სად, ვის მიერ, რა მიზნით სრულდება და რა ეწოდება მას.

173. ხომ არ იციან გარკვეულ დღეს მკის, თიბვის, რთველის და მისთანათა სახელზე დღესასწაულის გამართვა, ან ხვნა-თესვის, მკის თიბვის, ლეწვის, რთველის და სხვ. სამეურნეო ხასიათის საქმიანობის გარკვეული დღესასწაულით დაწყება ან დამთავრება — როგორ ტარდება ეს დღესასწაული, ვინ მართავს მას, სად და რომელ დღეს იმართება, რა შესაწირავებს სწირავენ ამ დროს, როგორ ლოცვებს წარმოსთქვამენ (ჩაიწერეთ ტექსტები), ვის სახელზე და რა მიზნით სრულდება ეს დღესასწაული, რა ეწოდება მას ან მისი შესრულების დროს.

174. რომელ ცრურწმენას უკავშირებენ და რა მნიშვნელობას მიაწერენ პირველად დადგმულ ზვინს, ძნას, პირველ ხელეურს, აკიდოს და სხვ.. — რას უწოდებენ მას, სად, როგორ და როდემდე ინახავენ და როგორ და რაზე გაიხმარებენ პირველ ხელეურს, კონას ან აკიდოს;

ხომ არ სრულდება მათ მიმართ რაიმე მაგიური წესი, — როგორია ეს წესი, ვინ ასრულებს მას, რა მიზნით და რა ეწოდება ამ წესის შესრულებას.

175. წისქვილის, ბეღლის, სასიმინდის, მარნის და სხვა სამეურნეო ხასიათის შენობებთან, მათ დადგმა-აგებასთან, მარან-ქვევრების შემზადებასთან, საწნახელის მომზადება-რეცხვასთან, სხვადასხვა იარაღებთან და შესანახ მოწყობილობასთან დაკავშირებული ცრურწმენები და მაგიურ-რელიგიური წესები, — მათი სახელწოდება, შესრულების დრო და ადგილი, შემსრულებელი და ხალხის წარმოდგენა ამ წესების ძალისა და მნიშვნელობის შესახებ.

176. ხომ არ სრულდება გარკვეული სახის რიტუალი მოსავლის ლეწვისა და დაფქვის, ყურძნის დაწურვის, ტკბილის, მაჭრის და ღვინის დაყენების, არყის, ლუდის და სხვ. მაგარი სასმელის გამოხდის და შენახვის დროს, — როგორია ეს რიტუალი, რა ეწოდება მას, ვინ. სად, როდის და რა მიზნით ასრულებს მას.

177. ბოსტნეულისა და ხილის გახმობასთან, გალებად დაწვნასთან, ჯაგნების გაკეთებასთან, დაჩირვასთან, ტყლაპის, მაშარაბის, მურაბის ფელამუშისა და ჩურჩხელების გაკეთება-შენახვასთან და აგრეთვე ბოსტნეულ-ხილეულის ჯიშების შემზადების პროცესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და მაგიურ-რელიგიური ხასიათის წესები, მათი სახელწოდება, შესრულების ადგილი, დრო და მიზანი.

178. რწმენა-წარმოდგენები და მაგიურ-რელიგიური წესები, დაკავშირებული პურის ფქვილის გაცრასთან, ცომის მოზელასთან (უხაფუვროდ და საფუვრიანად), მოსაზელ ჭურჭელთან, საფუარის მასალასთან და შემზადებასთან, ცომის დაგუნდავებასთან, ფურნის. თონის, კეცის გახურებასთან, გუნდის ჩაკვრა-გამოცხობასთან. ფქვილის საცერელ, საზელ, ცომის საფხვნელ და პურის საცხობ სხვადასხვა იარაღებთან და სხვადასხვა სახის პურების გამოცხობასთან (შოთი, ლავაში, კვერი, ბრიალი, გომეჯი, ღვეზელი, ქადა, ხაჭაპური ნაზუქი და სხვ.): ხომ არ ითვლება ცოდვად პურის გადაგდება, მისი უკუღმა პირით დადება და სხვ., — რატომ მიაჩნიათ ეს ცოდვად.

179. რა ჯიშის ხორბლეულისაგან აცხობენ რიტუალურ პურებს და აკეთებენ რიტუალურ ფაფას; რა ჯიშის მცენარეულს და ხორბლეულს რომელ ღვთაებას თუ წმინდანს სწირავენ და რატომ.

180. როდის, რომელ დღეს, როგორ მთვარეზე იწყებენ ახალი მოსავლის ხარჯვას და რატომ ხდება ამ საქმის გარკვეულ დროსთან თუ მთვარესთან დაკავშირება.

181. რა რიტუალი სრულდება ხორბლეულის თუ ფქვილის კიდობნის, ღვინის ქვევრის, ან სხვა ახალი მოსავლის ჭურჭლის გახსნის დროს, — ოჯახის რომელი წევრი ასრულებს იმ რიტუალს, რა მონა-

წილეობას იღებდნენ დამწვრენი, სად, რა დროს, როგორ სრულდებოდა ეს რიტუალი, რა მნიშვნელობა და ძალა აქვს და რა ეწოდება მას.

182. რა თქმულებები არსებობს მიწათმოქმედების და სამეურნეო იარაღების წარმოშობის შესახებ.

183. მიწათმოქმედების მფარველი ღვთაება თუ წმინდანი, წარმოდგენა მისი გარეგნობის, სქესის, საცხოვრებელი ადგილისა და ძალის შესახებ.

184. ჰყავს თუ არა თავთავისი მფარველი ღვთაება თუ წმინდანი მარცვლეულის სხვადასხვა ჯიშებს, ხეხილს, ვენახს და მაგარ სასმელებს (ღვინო, ლუდი, რანგი, არაყი და სხვ.), — როგორი თქმულებები არსებობს მათ შესახებ და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

185. მიმართავენ თუ არა მათ ლოცვა-ვედრებით, შეწირულებით, ან მათ სახელზე ასრულებენ თუ არა გარკვეულ მაგიურ-რელიგიურ წესებს, — ვინ, როდის, სად, რა შემთხვევაში, რას სწირავს, რა ლოცვა-ვედრებას წარმოსთქვამს, რა წესებს ასრულებს და რა ეწოდება ამ წესებს თუ მათი შესრულების დღეს.

§ 14. შინამრეწველობა და ფვრილი ხელოსნობა

186. ხელოსნობის სხვადასხვა დარგები — მშენებლობა, ხის, ძვლის, ქვის, ტყავის, ნაბდის, საქსოვი მასალის, დამუშავება, თიხის გამოწვა, მჭედლობა და სხვ.; მათი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სახეები თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში.

187. ხის რომელი ჯიშის მასალისაგან აკეთებენ და რას უწოდებენ:

1) სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (თოხს, ბარს, ნიჩაბს. ფიწალს, ორთითს. არნალს, კაბდოს, კევრს, კავს, გუთანს, საზოგადოდ ყოველნაირ სახვნელს, ტაბიკებს, უღელს და სხვ.) და მათ ნაწილებს.

2) გადასაზიდ საშუალებებს (ურემს, მარხილს, ჯინს და სხვ.) და მათ ნაწილებს.

3) სხვადასხვა ავეჯეულს (სკამს, სკამლოგინს, სავარძელს, საკურცხილს, მერხს, საწოლს, კიდობანს, კარადას, ბოყეს, ზანდუკს, აკვანს, საგოგავს და სხვ.).

4) სხვადასხვა ხის ჭურჭლეულს (ტაბაკს, გობს, ხონჩას, კუტალს, კოდს, კათხას, ჯამსა და სხვ.).

5) საკრავებს (ბუკს, საყვირს, სალამურს, სტვირს, ფანდურს, ჩონგურს, ჭიანურს, დაფს და სხვ.) და მათ ნაწილებს.

6) საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის ნაგებობათა ნაწილებს (კარ-სარკმელს, ბოძებს, სვეტებს, რიკულებს, დედაბოძს და სხვ.).

188. რა მნიშვნელობას მიაწერენ ამ ჯიშის ხის მასალას. ხომ არ იცავს ის მუშა საქონელს, მოსავალს, ავეჯეულს და ჭურჭელს, საკრავებს, ბავშვს, სახლს თუ მის ამა თუ იმ ნაწილს და სხვ. ავი სულისა ან ავი თვალისაგან და სხვ.

189. როგორი რწმენა-წარმოდგენებია დაკავშირებული სამეურნეო იარაღების, გადასაზიდ საშუალებათა, სამშენებლო (ხე-ტყის, ქვის, სილის და სხვათა), ავეჯეულ-ჯამ-ჭურჭლის, საკრავებისა და საქსოვი მასალის მოზიდვა-მოტანასთან და დამზადება-შემზადებასთან.

190. სრულდება თუ არა რაიმე სახის მაგიური თუ რელიგიური წესები სამეურნეო იარაღების კეთების, საცხოვრებელი ბინების, ხიდებისა და სამეურნეო ხასიათის შენობათა აგების, ბაჯისა და კირის გამართვა-გაწყობის, ცეცხლის შეკეთებისა და გამოწვის, გამომწვარი კირისა და ბაჯის გამოღება-გამოყენების, ალიზის, აგურის და კრამიტის შეშზადება-გაშრობა-გამოწვის, სხვადასხვა ავეჯეულის, ჯამ-ჭურჭლის და საკრავების კეთების, ნადირისა და საქონლის ტყავის დამუშავების და მათი შენახვა-გამოყენების, ნაბდისა და ქეჩის შეთელვის, საქსოვი მასალის (მატყლის, ხელის, კანაფის და სხვათა) შერჩევა-დახარისხების, დართვის, გამართვა-გაშლის, ქსოვილის გაბმის, სადა და სახიანი სხვადასხვა ქსოვილის (შალის, ღაზლის, ძაძის, ტილოს, მოვის, ნარმის, ფარდაგის, ჯეჯიმის, მაფრაშის და სხვათა) კეთების, ძაფისა და ქსოვილების შეღებვის, საღებავების შემზადების, ქარგვა-მოქარგვის, სხვადასხვა ტანისამოსის, თავსახურავის, ფეხსაცმლის და ფეხსაბმის გამოჭრა-შეკერვის და მოქსოვა-მოქარგვისას და სხვა მსგავსი საქმიანობის დროს, — როგორია ეს წესები, ვინ ასრულებს თითოეულ მათგანს, სად სრულდება და რა მიზნით, რა ძალას მიაწერენ და რას უწოდებენ ამ წესებს.

191. ხომ არ ფლობს წისქვილს, მიტოვებულ სახლს, ციხეს, კოშკს, ძველ ნანგრევებს, საზოგადოდ საცხოვრებელ ბინას (სახლს, დარბაზს, ჭერხოს, პალატს, ოდას, ფაცხას და სხვ.) და მათ ცალკეულ ნაწილებს (ბუხარს ან კერიას, საკვამლეს, ერდოს, დილეგს, კარიბჭეს და სხვ.) და სამეურნეო ხასიათის ნაგებობებს (ბოსელს, თავლას, ფარეხს, საღორეს, საქათმეს, ბეღელს, საბძელს, სახილეს, სასიმინდეს, მარანს, „სარძიეს“ და სხვ.) ავი თუ კეთილი სული, ან რომელიმე სხვა უხილავი ძალა, — თქმულებები ამ სულის თუ სხვა უხილავი ძალის შესახებ. რატომ ეპატრონება ის ამგვარ შენობებს და ადგილებს და სხვ.

192. ხომ არ არსებობს ისეთი ნაგებობა, რომლის აგებასაც გოლიათებს მიაწერენ. თქმულებები ამგვარ ნაგებობათა წარმოშობისა და მათი მშენებლობის შესახებ.

193. თქმულებები სამეურნეო იარაღების წარმოშობის შესახებ.

194. მჭედელი, მისი ადგილობრივი სახელწოდება: როგორ დახმარებას უწევს ის მოსახლეობას, — ხომ არ უჭედავს ან შეუკეთებს

სამეურნეო იარაღებს უსასყიდლოდ და სხვ., — რითი უნაზღაურებს მოსახლეობა მას ამგვარ დახმარებას.

195. ხომ არ არსებობს მჭედლის მიწების კოლექტიურად მოხვნის წესი გარკვეულ დღეებში, ან ხომ არ ეხმარებიან მას მკის დროს თუ სხვა სამუშაოს შესრულებისას; არსებობს თუ არა წესი, რომლის ძალითაც გარკვეულ სახალხო დღესასწაულებზე ყოველ მოსახლეს მიაქვს მჭედლისათვის შესაწირავი და შეწირვის შემდეგ მას მჭედელს გადასცემს, — რას შეიცავს ეს შესაწირავი და რა ეწოდება მას.

196. როგორ აფასებს მოსახლეობა მჭედელს; რა მოვალეობა აქვს დაკისრებული მჭედელს საზოგადოებრივი და საოჯახო წესების შესრულების დროს, — ქორწილში, ავადმყოფთან მისი წამლობის საქმეში, რაიმე რიტუალის შესრულების დროს და სხვ.

197. ხომ არ არის გავრცელებული თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში ოქრომჭედლობა: ვინ არის ოქრომჭედელი, ქალი ხომ არ არის; როგორ აფასებს მას მოსახლეობა და სხვ.; ხომ არ გამოდიან მჭედლები გარკვეული გვარიდან, — დაასახელეთ ასეთი გვარები.

198. ხომ არ მიაჩნიათ სპილენძი, თითბერი, ბრინჯაო, ოქრო, ვერცხლი, რკინა, საზოგადოდ ლითონი და მისი ნაჭრები, იარაღი თუ სხვა საგნები მაგიური ძალის მქონედ; ლითონის საგნების გამოყენება საქორწილო და მშობიარობასთან დაკავშირებულ წესებში, დაფიცების დროს, რკინის ნაჭერი თუ ნალი სახლის კარიბჭეზე თუ სხვა ადგილას ავი თვალის საწინააღმდეგოდ და სხვ.

199. ხომ არ იციან გარკვეულ დღეებში ლითონის იარაღის ხმარების აკრძალვა, — როდის ხდება ეს, რა მიზნით თუ მიზეზით იკრძალება მათი ხმარება და რა ეწოდება ამ აკრძალვას თუ აკრძალვის დღეს; ლითონის იარაღით ცეკვა და ხალხის შეხედულება ამგვარ ცეკვაზე.

200. ხომ არ არსებობს პარასკევობით გრდემლზე კვერის დაკერის ჩვეულება, — თქმულებები ამ ჩვეულებისა და მისი წარმოშობის შესახებ.

201. სამჭედურის, გრდემლის, უროსა და სხვა იარაღების კულტი, — სამჭედურში თუ გრდემლთან ლოცვა, მსხვერპლის მიტანა, სანთლის ანთება და სხვ., ვინ ასრულებს ამ რიტუალს, როდის და რა მიზნით ასრულებენ. რიტუალის ადგილობრივი სახელწოდება.

202. რა სახის ლოცვები, დალოცვები, შელოცვები, ლექსები და სიმღერებია რკინეულთან და საზოგადოდ ლითონთან დაკავშირებული, — ჩაიწერეთ ტექსტები.

203. მჭედლების, სამჭედლოს და მჭედლობის მფარველი ღვთაება თუ წმინდანი, — რა ეწოდება მას, რა სახისაა, სად ცხოვრობს, როგორი ძალა აქვს და სხვ.

204. ვინ, როდის და რა შემთხვევებში, როგორ და რა მიზნით თუ რა მიზეზით მიმართავს ამ ღვთაებას თუ წმინდანს ლოცვა-ვედრებით, შეწირულებით და აპრულებს სხვადასხვა სარწმუნოებრივ წესებს.

205. რა თქმულებები არსებობს ლითონის, მჭედლობისა და საზოგადოდ ხელოსნობის წარმოშობის შესახებ, — ვინ ასწავლა ხალხს იარაღების კეთება, შენობების აგება, ტანსაცმლის, ჯამ-ჭურჭლისა და სხვათა დამზადება, ვინ იყო პირველი მჭედელი, ხომ არ უკავშირებენ რკინას და საზოგადოდ ლითონს ცას, ელვას თუ სხვა ციურ მოვლენას და სხვ.

206. რკინეულისა და საზოგადოდ ლითონის გამოყენება ხალხურ მკურნალობაში, ამულეტები და ex-voto (ისრის წვერის, სამაჯურის, ყელსაბამის, ღილისა და სხვა სამკაულის, აკვნის და სხვ. რკინის მასალისაგან დამზადებული მოდელების შეწირვა, ადამიანის და მისი სხვადასხვა ნაწილების გამოსახულებათა შეწირვა და სხვ.); თუ შესაძლებელია ჩახატეთ ამულეტები და ex-voto.

§ 15. ხალხური ხელოვნება

207. ტატუირება, მისი ადგილობრივი სახელწოდება; რამდენად გავრცელებული იყო ტატუირება, სად იკეთებდნენ მას (ხელზე, შუბლზე, საზოგადოდ სახის სხვადასხვა ადგილას თუ სხვაგან). ვის უკეთებდნენ (მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს თუ სხვა,) რა ასაკში. რომელ დღეებში იცოდნენ ტატუირების გაკეთება (ახალ მთვარეზე, წლის გარკვეულ დროს, განსაზღვრულ რიცხვებსა და დღეებში). რისგან და როგორ აკეთებდნენ მას (დაასახელეთ ტატუირებისათვის ხმარებული წამლები და იარაღები), რა სახის ტატუირება იყო გავრცელებული, რა მნიშვნელობას მიაწერდნენ მას, გადმოცემები ტატუირების წარმოშობის შესახებ; თუ შესაძლებელია ჩახატეთ ტატუირების სახეები.

208. ორნამენტების ნიმუშები ხეზე, ქვაზე, რქაზე, ძვალზე, ტყავზე, თიხაზე, ქსოვილებზე და ლითონზე, — დაწვრილებით აღწერეთ და ჩახატეთ მათი სახეები და ფერები, აღნიშნეთ საგანი თუ ნივთი, რომლებზეც გამოსახულია ეს ორნამენტები (სახლის და სხვა შენობების სხვადასხვა ნაწილებზე (დედაბოძი, სხვენის ფიცარი, კარ-სარკმელი და სხვ.), დგამ-ჭურჭლის, იარაღების, ტანისამოსის, ფეხსაცმლის, ფეხსამოსის, თავსაბურავების ნაწილებზე, სხვადასხვა სამკაულებზე (ადამიანის, ცხენის და სხვ.), ჯეჯიმებზე, ხალიჩა-ფარდაგებზე, ხურჯინებზე, ბოხჩებზე, მაფრაშებზე, ჩახსაკრავებზე, წვივსაკრავებზე და სხვ.).

209. როგორი სცენებია გამოსახული და საზოგადოდ როგორ არის გააზრებული ხალხის მიერ ორნამენტში წარმოდგენილი კომპოზიციები; აღნიშნეთ თითოეული ორნამენტისა და მისი შემადგენელი ელემენტების ადგილობრივი სახელწოდებანი.

210. ვინ არის ორნამენტების მოხელე (ქალი, კაცი), ყველას შეუძლია მათი კეთება თუ ამისათვის სპეციალური მოხელეები არსებობენ; რა მიზნით აკეთებენ ამა თუ იმ საგანზე გარკვეული სახის ორნამენტებს (უბრალო სამკაულად, ავი თვალის წინააღმდეგ თუ სხვ.).

211. ხომ არ აკეთებენ ამა თუ იმ (და სახელდობრ რომელი) ორნამენტს გარკვეულ დღეებში, ან გარკვეული მაგიური თუ რელიგიური წესების დაცვით, — რომელ დღეებში აკეთებენ მათ და რა ეწოდება ამ დღეებს, როგორ წესებს იცავენ თუ ასრულებენ მათი კეთების დროს (მოხელე „წმინდაობს", მარხულობს, ან რაიმე ლოცვას წარმოსთქვამს და სხვ.).

212. ხომ არ იციან (ან იცოდნენ) ისეთი ორნამენტების გაკეთება, რომლებიც წარმოადგენენ მაგიურ ან სიმბოლურ გამოსახულებას საქონლის, ნადირის, ხორბლეულის და სხვათა გამოსახულებანი ოჯახში მათი გამრავლების მიზნით, ან იმისათვის, რომ მონადირემ ბევრი ნადირი დახოცოს, ან შიცვალებულთა სულების პატივსაცემად თუ სხვა). ჩახატეთ ამგვარი ორნამენტები, აღნიშნეთ მათი შინაარსი და ადგილობრივი სახელწოდება, ორნამენტების კეთების დრო, მხატვრის პიროვნება და სხვ.

213. ვინ არის ხალხის წარმოდგენით მხატვრობისა და საზოგადოდ ხელოვნების მფარველი ღვთაება თუ წმინდანი, რა სახის და რა სქესისაა, სად ცხოვრობს, როგორ დამოკიდებულებაშია სხვა ღვთაებებთან და ხალხთან, როგორი ეპითეტებით მოიხსენიებენ მას და რას უწოდებენ: თქმულებები ამ ღვთაების შესახებ.

214. თქმულებები მხატვრობისა და საზოგადოდ ხელოვნების წარმოშობის შესახებ.

§ 16. მუშაობის წლიური კალენდარი

215. შეადგინეთ მოსახლეობის მუშაობის კალენდარი მთელი წლის განმავლობაში წლის დროებისა და თუ შესაძლებელია თვეების მიხედვითაც. კალენდრის შედგენის დროს გაითვალისწინეთ ცალ-ცალკე კაცის, ქალის, მოხუცის, საშუალო ხნის ადამიანის, ახალგაზრდისა და ბავშვის მუშაობა.

§ 17. მშობიარობა და ბავშვის აღზრდა

216. როგორ აფასებს ხალხი უშვილო ქალს და მის ოჯახს; რა საშუალებას მიმართავენ უშვილობის წინააღმდეგ — მკითხაობენ, შვილის (განსაკუთრებით ვაჟიშვილის) შეძენის მიზნით ხატს შეუთქვამენ რაიმეს, გარკვეულ შესაწირავს სწირავენ, ან ამა თუ იმ მაგიურ თუ რელიგიურ წესებს შეასრულებენ და სხვ., აღწერეთ დაწვრილებით ვის აკითხავებინებენ და როგორ სრულდება ეს მკითხაობა (ჩაიწერეთ მკითხაობის სანიმუშო ტექსტები), ჩვეულებრივ რომელ ხატს რას აღუთქვამენ ან შესწირავენ; რა ადგილას, როდის (რომელ დღეს და დღის რომელ მონაკვეთში) ვინ, როგორ მაგიურ თუ რელიგიურ წესებს ასრულებს; ჩამოთვალეთ და თუ შესაძლებელია ჩაბატეთ შეწირულებათა სახეები (აკვნის მოდელი, თოჯინა, ბამბის ფთილა თუ სხვ.), მათი და აგრეთვე მაგიურ-რელიგიური წესების ადგილობრივი სახელწოდება.

217. რა საშუალებას მიმართავს ქალი, თუ მას სურს, რომ შვილი არ ეყოლოს (უნაყოფო ხის ქვეშ დაწვება, კანაფის თესლს წყალში დააყენებს და ამ წყალს სვამს თუ სხვა).

218. რა საშუალებას მიმართავს ქალი, რომ მას ვაჟი ან, პირიქით, ქალი შეეძინოს (ვაჟის მოსურნე გარკვეული ხნის განმავლობაში მრავალ ვაჟიშვილებიანი დედის პერანგს ატარებს, სხვისაგან დაფარულად თავის ძუძუს სხვის ძუძუშწოვარა ბიჭს ჩაუდებს პირში, მრავალ ვაჟიშვილებიანი ქალის ნაჯდომ ადგილზე დაჯდება და სხვ.; ქალის ყოლის მიზნით ხორცის ჭამას აღკვეთავს, ერიდება ისეთ ოჯახს დაუნათლიმირონდეს, რომელსაც ბევრი ვაჟიშვილი ჰყავს, ცდილობს იაროს ძუძუმწოვარა გოგონას დედის ნაკვალევზე, ხელში ვაჟს არ აიყვანს და სხვ.).

219. როგორი შეხედულებისაა ხალხი ორსულ ქალზე: როგორ საქმეს ვერ გააკეთებს ორსული ქალი (ცეცხლს ვერ გაეკარება, პურს ვერ გამოაცხობს, ძროხას ვერ მოწველის თუ სხვ.), შეუძლია თუ არა მას წმინდა ადგილების მახლობლად გავლა, საოჯახო და საზოგადო დღესასწაულებზე და საზოგადოდ ყოველგვარი რიტუალის შესრულებასა და შეწირულებაში მონაწილეობის მიღება. თუ არ შეუძლია, — რატომ. ხომ არ ითვლება ორსული ქალი უწმინდურად, ხომ არ ეტანებიან მას ავი სულები, რითი იცავს თავს ამ ავი სულებისაგან — აღწერეთ და დაასახელეთ ორსული ქალის ამულეტებისა და სხვა თავის დასაცავ საშუალებათა ადგილობრივი სახელწოდება.

220. რა ნიშნების მიხედვით იგებენ ქალს ბიჭი შეეძინება თუ გოგო (თუ ორსულობაში ქალი მძიმედ დადის, ბევრი სძინავს, მალე იღ-

ლება, ხმა ეცვლება — მაშინ ვაჟი შეეძინება; ხოლო თუ ის პირიქით ადვილად იტანს ორსულობას, სახის ფერი და ხმა არ შეეცვლება, ძუძუ ადრე გაევსება, მაშინ მას ქალი შეეძინება და სხვ.).

221. ხალხის შეხედულება მელოგინე ქალზე — შიაჩნიათ თუ არა მელოგინე ქალი უწმინდურ არსებად და რატომ; რომელი ავი სული ეტანება ყველაზე მეტად მელოგინე ქალს, რა სახისანი არიან ეს სულები, სად ცხოვრობენ, როგორ ევლინებიან და რით ვნებენ მელოგინეს, რა ეწოდება ამ სულებს და რა საშუალებებით იცავენ მელოგინეს, ამ ავი სულისაგან (გარშემო შემოუწყობენ ნამგალს, შავტარიან დანას და ლითონის სხვაგვარ საგნებს, ტყემლის ტოტს, ნიორს, ნახშირს, ბადეს, საჩეჩელს, სახნისს და სხვ., ამულეტებს გაუკეთებენ და სხვ.).

222. რა წესებს ასრულებენ მშობიარობის დროს, — ხომ არ გაჰყავთ ქალი მოსამშობიარებლად საცხოვრებელი ბინიდან, სად გაიყვანენ (თუ ცალკე სამშობიარო ჭოხი არსებობს, აღწერეთ და ფოტოგრაფიულად გადაიღეთ ეს შენობა მისი ადგილობრივი სახელწოდების ჩვენებით), ან ხომ არ სტოვებენ ამ დროს ბინას ოჯახის წევრები (ვინ, ოჯახის რომელი წევრები მიდიან ბინიდან), ვინ ესწრება ქალის მშობიარობას, ვინ როგორ დახმარებას უწევს მშობიარეს და რა ეწოდება ამ პირს თუ პირებს (მაგალითად, ქართლში ასეთი პირებია „ბებია", „მუხლში მჯდომი" და სხვ.). რაზე დააწვენენ ქალს მოსამშობიარებლად (ჩალაზე, მიწაზე თუ სხვ.), ხომ არ იციან მშობიარობის მომენტში „ნამგლით მომკა", — ვის მიერ და როგორ სრულდება ეს წესი. რა საშუალებას მიმართავენ გაძნელებული მშობიარობის დროს (მშობიარის მახლობლად თოფს დასცლიან, ბანიდან სამშობიარო ოთახში უმ კვერცხს ჩამოაგდებენ და თან გარკვეულ სიტყვებს იტყვიან, დამწვრენი ტანისამოსზე ღილებსა და კვანძებს დაიხსნიან. — დაკეტილ დგამ-ჩურჩელს გააღებენ და სახურავებს ახდიან თუ სხვ.).

223. რა მნიშვნელობას მიაწერენ ბავშვის დაბადების დღეს, ხომ არ იციან განსხვავებული წესების შესრულება, როდესაც ბავშვი მაგალითად, „კუდიანობა ღამეს" (დიდხუთშაბათის წინა ღამეს) დაიბადება.

224. რა ნიშნების მიხედვით არკვევენ თუ რა ხასიათი დაჰყვება და როგორი მომავალი ექნება ახალდაბადებულს (თუ ყმაწვილს დაბადების დროს ხელები დამუშტული გამოჰყვა — ძუნწი იქნება და პირიქით, თუ ის ხელგაშლილი დაიბადა — გულღია, უხვი და სტუმართმოყვარე გამოვა და სხვ.).

225. რა შეხედულებისა არიან ბავშვის პერანგისა და ჰიპის შესახებ, რა არის „ქუდ-ბედი". რას უშვებიან მათ. ხომ არ დამალავენ ბავშვის პერანგს და ჰიპს ყანაში, კერიასთან მიწაში — ხვნა-თესვა ან ოჯახი ეყვარებაო, ან ხომ არ ჩაფლავენ სასუქში — კარგი მესაქონლე გამოვაო, ან ჰიპს შეინახავენ და ბავშვის ავადმყოფობის დროს წამლად

ხმარობენ. ვინ დაფლავს მათ, რა დროს (დღის რომელ მომენტში) და სად, რა ადგილას, რა სახით და როგორი ავადმყოფობის წინააღმდეგ ხმარობენ ჭიპს (მაგალითად, ქართლში ბავშვს რომ მუცელი ასტკივდებოდა, ჭიპს დედის რძეში გაულესავდნენ და ისე დაალევინებდნენ).

226. რა წესები სრულდება ქალის მოშშობიარების შემდეგ, — ხომ არ იციან იმ ადგილზე, სადაც ქალმა მოილოგინა, მიწისათვის მსხვერპლის შეწირვა; ვინ არის ამ წესის შემსრულებელი, რას სწირავენ მიწას, რა ლოცვები წარმოითქმის ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტი), რა მიზნით სრულდება ეს წესი და რა ეწოდება მას (მაგალითად, გურიაში ამ წესს „მიწის გაჯერიება“ ერქვა); ხომ არ იციან შემდეგი წესის შესრულება: ის პირი, რომელიც პირველად გავა მელოგინის ოჯახიდან, სახლის ბანიდან ერთ მუჭა მიწას ჩამოიღებს, მელოგინესთან შებრუნდება და მას თავთით დაუყრის, — რატომ სრულდება ეს წესი და რა ეწოდება ამგვარ წესებს.

227. რა სამშელ-საქმელით კვებავენ მელოგინეს, რისი ჭამა-სმა აქვს აღკვეთილი და რატომ.

228. რა არის „მუხლის პური“, რას უწოდებენ „ძეობას“ და როგორ სრულდება ეს წესი; ვის (ქალის მშობლებს, ოჯახის ნათესავებს, მეზობლებს და სხვ.) როგორი „ლოგინის ძღვენი“ მიაქვს მელოგინესთან და საზოგადოდ რა სახის მისალოცებს შეიცავს „ლოგინის ძღვენი“ ჩვეულებრივ.

229. რამდენ ხანს გრძელდება „ლოგინობის პერიოდი“ და რა წესების შესრულებით მთავრდება; ხომ არ იციან ქალისა და ბავშვის განწმენდის მიზნით მათი გაბანვა, შელოცვა, ცეცხლზე გადატარება თუ.სხვა, — რა ეწოდება ამ განწმენდის წესებს (მაგალითად, ქართლში მიღებული იყო მელოგინის და ახალშობილის „ნამჯის ულოზე“ გადატარება: დააგროვებდნენ თავთავებიან თივის ღეროებს, ზედ თოფის წამალს გადააყრიდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ, ასეთ ცეცხლზე მელოგინე თავისი ახალშობილი ბავშვით გადააბიჯებდა; ხევსურეთში ამგვარი განწმენდის რამდენიმე სახე არსებობს და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული სახელი ჰქვია).

230. რა და რა წესები სრულდება აკვნის ბავშვის მიმართ (მაგალითად, ქართლში, როცა ბავშვი ჯერ კიდევ მოუნათლავი იყო, მზის ჩასვლის შემდეგ მოსულ სტუმარს სახლის კარის საჭუსლეზე ცეცხლს და რკინეულს დაუყრიდნენ, რომლებსაც სტუმარი გადააბიჯებდა: სახლში მოშორებით დაჯდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას ბავშვთან ახლო მისვლა; ან როცა ხურჯინიანი სტუმარი შევიდოდა სახლში, ძუძუმწოვარა ბავშვს ხურჯინზე შეაყენებდნენ — არ დაილახებაო, ე. ი. არ დაკუტდებაო და სხვ.).

231. ხომ არ არსებობს ბავშვის ბერად შეყენების წესი, — როგორ შემთხვევებში შეაყენებენ ბავშვს ბერად, სად, როდის, ვის მიერ და

როგორ სრულდება ეს წესი; ბერად შეყვანების აღგილობრივი სახელწოდება.

232. რა და რა წესებს ასრულებს ახლად დაბადებული ბავშვის ოჯახი ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამ ოჯახს შვილი არ რჩება, — ხომ არ აწყობენ ბავშვის გაყიდვის თუ გაცვლის სიმულაციას, უცვლიან მას სახელს, სწირავენ მის სახელზე ხატს თეთრ ტანისამოსს თუ სხვა რაიმეს, ხატში მას „გულის ბეჭედს“ ამოუღებენ, თუ სხვა: ვინ ასრულებს ამ წესებს, როდის (დღის რომელ მონაკვეთში), სად (ხატში, სახლში, თუ სხვაგან), როგორ სრულდება, რა შესაწირავებს სწირავენ და რა ეწოდება ამ შესაწირავებს და წესებს თუ წესების შესრულების დღეებს.

233. რა წესებს ასრულებენ ბავშვის პირველად აკვანში ჩაწვენის დროს (მაგალითად, ქართლში ბავშვის ჩაწვენამდე ჩააწყობდნენ თავბოლოზე ორ-ორ პურს, იქვე ჯამით ფქვილს, ერთ სამარილე მარილს, ერთ ბოთლ ღვინოს და ერთ ლიტრა წყალს დადგამდნენ, შეილოცებოდნენ, შემდეგ შეწირულ პურს ამოაწყობდნენ და აკვანში ბავშვს ჩააწვენდნენ; წყალი, ღვინო და ერთი პური დედას უნდა შეესვა და შეეჭამა — რძეს არგებსო, ხოლო მარილი და ერთი პური ბებიას მიჰქონდა), რატომ არ შეიძლება ცარიელი აკვნის დარწევა და სხვ.

234. აღწერეთ ბავშვის აკვანი და ამულეტები, რომლებსაც ბავშვს და აკვანს უკეთებენ; აღნიშნეთ მათი ადგილობრივი სახელწოდება. თუ შესაძლებელია, ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ ეს ამულეტები და ადგილობრივი აკვნის ტიპი.

235. რომელი ამ ამულეტთაგანი რის საწინააღმდეგოა; ხომ არ არსებობს წარმოდგენა, რომ ბავშვს, მის აკვანსა და ბავშვის დედას გარკვეული სახის ავი სულები ემტერებიან, — რა სახისა და სქესისანი არიან ეს სულები, სად ცხოვრობენ, როგორ ზიანს აყენებენ ბავშვს და მის დედას, რითი იცავენ თავს ამ სულებისაგან და რა ეწოდებათ ამ სულებს (მაგალითად, ხევსურეთში ასეთ სულებად მიჩნეული ჰყავდათ ე. წ. „დობილები“).

236. რა წესებს ასრულებენ ბავშვის პირველად გაბანვის დროს, პირველად თმის გაკრეჭის დროს (შეინახავენ თუ არა ამ თმას, სად ინახავენ და რა მიზნით, ვინ გაკრიჭავს და როდის), პირველად ფეხის ადგმისას, კბილის ამოსვლისას, ძუძუს გაშვებინების დროს, კბილების დაცვლისას (სად და რა მიზნით ინახავენ თუ გადააგდებენ დაცვლილ კბილებს). რას უზამენ ბავშვის პირველად მოჭრილ ფრჩხილებს — ცეცხლში ხომ არ დაწვავენ (ვინ დაწვავს, რა დროს და რისთვის) და სხვ.

237. ხომ არ არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ძველად ქალის მშობიარობის დროს მისი ქმარი თავს მოიავადმყოფებდა, ლოგინში წვებოდა, გარკვეული საჭმლის ჭამას აღკვეთავდა და სხვა, — რას უწოდებდნენ ქმრის ამგვარ საქციელს.

238. ვინ ითვლება მშობიარობის მფარველ ღვთაებად თუ წმინდანად, — რა სახისაა, ან რა სახით ეცნობება ის მშობიარეს, რა წესები სრულდება მის სახელზე, როდის ასრულებენ ამ წესებს, ვინ არის მათი შემსრულებელი, რა ეწოდება ამ ღვთაებას თუ წმინდანს (მაგალითად, სვანეთში მას „ლაბლაბ"-ი ერქვა) და მის სახელზე შესრულებულ წესებს, როგორი თქმულებები არსებობს მშობიაროზის მფარველი ღვთაების, წმინდანისა და აგრეთვე ბედისწერის შესახებ.

239. რომელი ღვთაება თუ წმინდანი ითვლება შვილიერებისა და კერძოდ ვაჟების მფარველად, — რა სახისა და სქესისაა, სად სუფევს, როდის, სად და ვის მიერ როგორი წესები სრულდება მის მიმართ, რა ეწოდება ამ ღვთაებას თუ წმინდანს და მის სახელზე შესრულებულ წესებს თუ ამ წესების შესრულების დღეებს.

240. აღწერეთ სხვადასხვა სახის საბავშვო თამაშობანი გოგონებისათვის და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე, აღნიშნეთ ამ თამაშობათა და სათამაშოების ადგილობრივი სახელწოდებანი და თუ შესაძლებელია ჩახატეთ საყმაწვილო სათამაშოების სახეები.

§ 18. ხალხური მკურნალობა

241. რა შეხედულება არსებობს მუცლის წახდენის და მკვდარი ან მახინჯი ბავშვის დაბადების თაობაზე; ხომ არ ფიქრობენ, რომ მახინჯი ბავშვი ალის ან ქაჯის შვილია, რომელიც ბავშვის დედასა ჰყვარობდა; ჩაიწერეთ ამ საკითხთან დაკავშირებული მოთხრობები და თქმულებები.

242. ხომ არ არსებობს რწმენა იმის თაობაზე, რომ ავი სულები სტაცებენ ჩუმად მშობლებს მათ ბავშვებს და მახინჯ ბავშვებში გამოუცვლიან, — რა ეწოდებათ ამგვარ სულებს, რითი ატყობენ ბავშვის გამოცვლას: ან ხომ არ სწამთ, რომ ბავშვის მოტაცება მთვარემ იცის ხოლმე. ჩაიწერეთ ამ საკითხთან დაკავშირებული თქმულებები.

243. ხომ არ არსებობს ბავშვის ავადმყოფობის დროს ძისი სახელის გამოცვლის ჩვეულება, როგორ ხსნის ხალხი ამ ჩვეულების არსებობას; ჩამოთვალეთ თემში (ხევში თუ საზოგადოებაში) გავრცელებული ქალისა და კაცის სახელები.

244. რა მნიშვნელობას მიაწერენ იმას, რომ სიზმარში ბავშვი იცინის ტირის, ან კივის; როგორ საშუალებებს მიმართავენ ბავშვის ამ სენის თავიდან ასაცილებლად.

245. რა წარმოდგენა არსებობს ქუნთრუშის, წითელასა და ყვავილ-ბატონების შესახებ: აღწერეთ მაგიური და რელიგიური წესები და სხვადასხვა სახის თამაშობანი, რომლებსაც ასრულებენ ამ სენის დასაამებლად და გასაქარწყლებლად, აგრეთვე სიმღერები (იავნანა და სხვა) და ლოცვა-შელოცვები (ჩაიწერეთ მათი ტექსტები); რომელ

ღუთაებას თუ წმინდანს მიმართავენ ამ წესების, ლოცვა-შელოცვების და სიმღერა-თამაშის დროს; ვის უწოდებენ „ბატონების მამიდას"; ვინ ასრულებს ამ წესებს და ვინ იღებს მონაწილეობას სიმღერა-თამაშში, აღნიშნეთ სიმღერა-თამაშის, საკრავების, ლოცვა-შელოცვებისა და მაგიურ-რელიგიური წესების ადგილობრივი სახელწოდებანი.

246. რა ეკრძალებათ შინამყოფელებს, როდესაც ოჯახში ბატონებით ავადმყოფი ჰყავთ (ცეცხლის დანთება, გარკვეული საჭმლის დამზადება, გლოვა-ტირილი თუ სხვ.), რით ამკობენ ავადმყოფის ოთახს და რით კვებავენ ავადმყოფს.

247. კიდევ რომელი ავადმყოფობა მიაჩნიათ გადამდებ სენად, როგორ ეყურებს ხალხი ამ ავადმყოფობით დასნეულებულს, რით და როგორ იცავენ თავს ამგვარი სენისაგან და ვინ როგორ წამლობს მას; ხომ არ იციან ამ ათუ იმ (და სახელდობრ რომელი) გადამდები ავადმყოფობის გადალოცვა — ვინ ასრულებს და როგორ სრულდება გადალოცვის წესი.

248. ხომ არ იციან ჭლექისაგან შთამომავლობის დაცვის მიზნით, მისმა სისხლით ნათესავებმა, ჭლექიანი ავადმყოფის გულის ამოღება და მისი ჭამა; დაასახელეთ ამგვარი შემთხვევების მაგალითები.

249. კიდევ რა სახის ავადმყოფობა არის გავრცელებული თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში, — შეადგინეთ სია მათი ადგილობრივი სახელწოდებების აღნიშვნით; აღწერეთ დაწვრილებით ჩამოთვლილ ავადმყოფობათა მკურნალობის წესი, ხმარებული წამლები, რომელ ხატს რომელი ავადმყოფობის დროს მიმართავენ, ვინ მკურნალობს, გარდა სოფლის მკურნალისა კიდევ ვინ ითვლება ავადმყოფის მკურნალად (დედისერთა, თუ დედის პირველი შვილი, გარკვეულ მთვარეზე დაბადებული თუ სხვ.).

250. როგორი შეხედულება არსებობს სულით ავადმყოფის, ავზნიანის და დამბლადაცემულის შესახებ, — რით ხსნიან ამგვარ ავადმყოფობას და რა საშუალებებით წამლობენ მას.

251. რა სახით ჰყავთ წარმოდგენილი თითოეული ავადმყოფობა (მოზრდილი ადამიანის, ბავშვის, ცხოველის თუ სხვ.), რა ატრიბუტები ამკობს მათ, სად ცხოვრობენ, ვინ აგზავნის მათ, რომელი ავადმყოფობა როდის არის გაჩენილი, ვინ გააჩინა და რა მიზეზით, — ჩაიწერეთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული თქმულებები.

252. აღწერეთ და თუ შესაძლებელია ჩახატეთ სხვადასხვა ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ ხმარებული ამულეტები მათი ადგილობრივი სახელწოდების ჩვენებით.

253. ჩაიწერეთ შელოცვების ტექსტები (როცა მელოგინეს მუცელი წაუხდება, როცა ის მძიმე მშობიარობის გამო ჭკუიდან ირყევა, როცა ბავშვი ძილში ტირის; ფალარათის, სიცხის გამოსანელებე-

ლი, საყმაწვილო, სირსვილისა (ქეციხა), სატტბურასი, მუნის, შეშინებულის, თვალნაკრავის, მოხვედრილის (როცა თვალში ან სხვაგან რამე მოხვდება), ავქარის, ქარსურავანდის, ელქუნასი, ბედნიერის, დამწვრის, უქმურის, დასუნთქულის, „მცურავის“ დაგლეჯილის, თვალის ტკივილის, შაკიკის, დაჭრილის, თიაქრის, გულისა და კბილის ტკივილის საწინააღმდეგო, აგრეთვე ბნედისა. საჭიროა რომ პირი გაუჩნდება (ძროხას მუცელი შემოებერება, ღორს ხოკი გაუჩნდება და სხვ.). სასურველია ჩაიწეროთ აგრეთვე ისეთი შელოცვები, რომლებიც იხმარება ავადმყოფობის გარეშე სხვადასხვა შემთხვევების გამო: ძაფის კვანძის გამოსახსნელად, დაკარგული ნივთის საპოვნელად, მგლის პირის შესაკრავად და სხვ.).

254. აღწერეთ დაწვრილებით სამკურნალო ბალახების სახეები და სახელწოდებანი, მათი დაკრეფა-დამზადების დრო და ხმარების წესები — მექანიკური, ქირურგიული, გაბანვა და სხვ. თუ შესაძლებელია ჩახატეთ წამლების დამზადების დროს ხმარებული და ქირურგიული იარაღები და დაასახელეთ მათი ადგილობრივი სახელწოდებანი; სასურველია აგრეთვე აღწერილ იქნას „ღუთოების“ (იმერულად „ხვითო“) ხმარების წესი და სხვ. ორგანული თუ არაორგანული წარმოშობის და ხელოვნური ნივთების (ავგაროზი, სვანური „გირგედ“, საბარება და სხვ.) გამოყენების წესი ხალხურ მკურნალობაში.

255. თქმულებები ქამოსა და ქამიანობის შესახებ.

§ 19. სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაცია

256. რა ტერმინით აღინიშნება ამა თუ იმ ასაკის ადამიანი.

ხომ არ არსებობს (არსებობდა) ასაკობრივი დანაწილება და ასაკთა აღმნიშვნელი ტერმინები: „ჩვილი“ — ბავშვი ხუთ წლამდე, „უსუარი“ — ხუთი წლიდან ათ წლამდე, „ნინველი“ — ათი წლიდან თხუთმეტ წლამდე, „ყრმა“ — თხუთმეტი წლიდან ოც წლამდე“, „ჰაბუკი“ — ოციდან ოცდაათ წლამდე, „მოხუცებული“ — ოცდაათიდან ორმოცდაათ წლამდე და „ბერი“ — ორმოცდაათი წლის შემდეგ.

257. ხომ არ იციან რაიმე წესების შესრულება ამა თუ იმ ასაკში ჩადგომის აღსანიშნავად, — რომელ დღეს, სად, ვის მიერ და როგორ სრულდება თითოეული ამგვარი წესთაგანი, რა ეწოდება მას, ან მისი შესრულების დღეს.

258. მიაჩნიათ თუ არა თვიურში მყოფი ქალი უწმინდურად, ხომ არ გადის ამ დროს ქალი საცხოვრებელი ბინიდან, — სად მიდის (აღწერეთ შენობა, რომელშიაც რჩება ქალი თვიურის გათავებამდე და აღნიშნეთ ამ შენობის ადგილობრივი სახელწოდება), რა საქმის გაკეთება ეკრძალება და შეუძლია თუ არა დაესწროს ან მონაწილეობა

მიცვალის რელიგიური წესების შესრულებაში, შევიდეს ან ახლოს გაიაროს წმინდა ადგილებთან და სხვ.

259. ხომ არ არსებობს საგანგებო დღესასწაული თუ გართობა-თამაშობანი, რომლებიც განკუთვნილია ქალ-ვაჟთა დასაახლოებლად, სად და როდის იმართება ასეთი დღესასწაულები თუ გართობა-თამაშობანი, ვინ როგორ მონაწილეობს ამ დროს, აღნიშნეთ დღესასწაულის თუ გართობა-თამაშობათა ადგილობრივი სახელწოდება.

260. რა საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რომ ქალმა ვაჟს, ან პირიქით, ვაჟმა ქალს თავი შეაყვაროს (ბაყაყს მოკლავენ, გაახმობენ, დანაყავენ და სიყვარულის საგანს გადააყრიან, თუ სხვ.).

261. რა საშუალებით ცდილობს საქორწილო ქალ-ვაჟი თავისი მომავალი ბედის გამოცნობას, ხომ არ იციან გარკვეულ დღეებში თავის დაშვება, საღამოს ძილის წინ მარილიანი „ბედის კვერების“ ჭამა იმ მიზნით, რომ სიზმარში საბედო გამოიცნონ, რადგან ის მათ ამ დროს წყალს დაალევინებს, ან წყალზე თუ სარკეში მკითხაობა და სხვ., — რომელ დღეებში მკითხაობენ ბედ-იღბალზე და რა ეწოდება ამ მკითხაობას თუ მკითხაობის დღეს.

262. რა შეხედულება არსებობს განბანა-განწმენდისა და საზოგადოდ „წმინდაობის“ შესახებ, რომელ დღეებში იციან „წმინდაობა“ და რა შემთხვევების გამო.

§ 20. ნიშნობა და ქორწინება

263. რა შეხედულებისაა ხალხი უცოლოდ და გაუთხოვრად დარჩენილების შესახებ.

264. რომელ დღეებში აწყობენ ნიშნობას და რატომ ირჩევენ ამ დღეებს.

265. რა სახის მაგიურ თუ რელიგიურ წესებს ასრულებენ ქალ-ვაჟის გასინჯვის და დანიშვნის დროს, — აღწერეთ დაწვრილებით ეს წესები მათი შესრულების თანამიმდევრობის დაცვით და აღნიშნეთ გასინჯვის, დანიშვნისა და აღნიშნული წესების ადგილობრივი სახელწოდებანი.

266. სხვადასხვა მაგიურ-რელიგიური წესების შესრულება ნეფე-დედოფლის მიმართ ქორწილის წინ, — მათი განბანის დროს, როცა ნეფე თმას იპარსავს, მზითვის დამზადებისა და ვაჟის ოჯახში გაგზავნისას, საპატარძლო და სანეფო ტანისამოსის შეკერვის დროს და სხვ.; აღნიშნეთ ქორწილის, ნეფე-დედოფლის, მაყრებისა და დასახელებული წესების ადგილობრივი სახელწოდებანი.

267. წლის რომელ დროს და რა დღეს იციან ქორწილის გადახდა, რომელი დღიდან იწყებენ საქორწილო პურების ცხობას და სხვა

სამზადისს ქორწილის სუფრისათვის და რამდენ დღეს გრძელდება ჩვეულებრივ ქორწილი.

268. რა წესით სრულდება საქორწილო პურების გამოცხობა. ვინ აცხობს მათ, რა ეწოდებათ პურების მცხობლებს, როგორი რიტუალი სრულდება ამ დროს. რიტუალის ადგილობრივი სახელწოდება, რა სახისა და ფორმის საქორწილო პურებს აცხობენ, ხომ არ იციან „ჯვრის პურის“ და „უხას“ გამოცხობა, ვის სახელზე აცხობენ თითოეულ მათგანს, რა მნიშვნელობას მიაწერენ მას, აღწერეთ დაწვრილებით საქორწილო პურების სახეები და ფორმა, თუ შესაძლებელია ჩახატეთ და აღნიშნეთ მათი ადილობრივი სახელწოდება.

269. რა ნიშნების მიხედვით არკვევენ ნეფე-დედოფლის მომავალი ცხოვრების ავკარგიანობას და რა საშუალებას მიმართავენ ნიშნების თავიდან ასაცილებლად.

270. როგორ და რა საშუალებით იცავენ ნეფე-დედოფალს ავი თვალისა და ავი სულებისაგან.

271. რა რიტუალს ასრულებენ ნეფე-დედოფლის საქორწილო ტანისამოსში გამოწყობის დროს; ვინ გამოაწყობს თითოეულ მათგანს, ვინ ასრულებს ამ დროს მათ მიმართ ამა თუ იმ (და სახელდობრ რომელ და როგორ) მაგიურ თუ რელიგიურ წესებს და სხვ.

272. დედოფლის დაშვილდობების რიტუალი მშობლებთან და მშობლიურ კერასთან. როგორ მაგიურ ან რელიგიურ წესებს ასრულებენ დედოფლის წაყვანის დროს ნეფის ოჯახში, გზაში (ჩაიწერეთ მაყრების სიმღერის ტექსტები), ნეფის ოჯახში შეყვანისას, ვინ რას მიაგებებს დედოფალს, როგორ სრულდება მისი ზიარება ქრის კერის კულტთან. მაგიური წესები ახლად ჯვარდაწერილებისათვის (პატარძალს კალთაში ბიჭს ჩაუგორებენ, ან მის დასაჯდომზე ჯერ ბიჭს დასვამენ და სხვ.), ვინ როგორ დალოცავს ნეფე-დედოფალს (ჩაიწერეთ დალოცვის ტექსტები) და სხვ.

273. ქორწილი დედოფლისა და ნეფის სახლში, — აღწერეთ ცალკე ქალისა და ცალკე ვაჟის სახლში საქორწილო სუფრა საშმელ-სასმელის ადგილობრივ სახელწოდებათა დასახელებით, სუფრის მომსახურენი და მათი სახელწოდებანი, სუფრის წესები და მათი შესრულების თანამიმდევრობა, ჩაიწერეთ ლოცვა-დალოცვის, სადღეგრძელოების, გაშაირებისა და სიმღერების ტექსტები, საქორწილო თამაშობანი და მათი ადგილობრივი სახელწოდება.

რა არის ე. წ. „ნეფის განადირება“, ქორწილის რომელ დღეს და რომელ მომენტში სრულდება ეს წესი, ვინ ახლავს ნეფეს ამ დროს. სად მიემგზავრებიან (ეკლესიაში, სასაფლაოზე, ვის სამარხთან და სხვ.), ვინ ეგებება გზაში ნეფეს და მის ამალას, რით უმასპინძლდება მათ: აღწერეთ ნეფის და მისი ამალის მოქმედება სასაფლაოზე, ეკლესიასა და გზაში.

იციან თუ არა ქორწილზე „სტუმრების დაბმა“, — ქორწილის რომელ დღეს და რომელ მომენტში სრულდება ეს წესი და რა მიზნით.

სვანური საქორწილო წესების გამორკვევის დროს აღწერეთ დაწვრილებით ე. წ. „ჰაჟილარ“-ი, ანუ „ლიჭაჟი“ და აღნიშნეთ თუ რა მნიშვნელობას მიაწერენ ამ წესების შესრულებას.

274. რით და როგორ ბოლოვდება ქორწილი. როდის და რა წესით ახდიან ნეფე-დედოფალს გვირგვინს, იციან თუ არა „ნეფიძველას“ ცემა, რა შემთხვევაში სცემენ მას, ვინ რა სიტყვებით მიმართავს პატარძალს გვირგვინის ახდის დროს (ჩაიწერეთ მიმართვის ნიმუშები; ეს ტექსტები შეიცავენ უთავრესად დარიგებას, თუ როგორ უნდა მოექცეს პატარძალი ქმრის ოჯახის წევრებს).

ხომ არ იციან ქორწილის ბოლოს „საღმრთოს“ გადახდა, — რომელ და როგორ სამსხვერპლოს დაკლავენ ამ დროს, ვინ დაკლავს, რა სიტყვებით შესწირავენ სამსხვერპლოს, რა ლოცვები და დალოცვები წარმოითქმის ამ დროს (ჩაიწერეთ მათი ტექსტები), ვინ იღებს უშუალო მონაწილეობას და ვინ ესწრება „საღმრთოს“ გადახდას, სად, რა ადგილას მართავენ „საღმრთოს“, რა მნიშვნელობას მიაწერენ ამ წესს და სხვ.

სვანური ქორწილისათვის: რას უწოდებენ „საყიანს“, როგორ სრულდება იგი, არის თუ არა განსხვავება „საყიანსა“ და „საყანს“ შორის, როდის სრულდება თითოეული მათგანი, ქორწილის გარდა კიდევ რა შემთხვევაში იციან „საყიანი“, თქმულებები „საყიანის“ და „ჰაჟილარის“ ანუ „ლიჭაჟის“ წარმოშობის შესახებ.

275. ხომ არ სრულდება რაიმე მაგიური წესი ახლად ჯვარდაწერილთა შეუღლების პირველ ღამეს, ან მეორე დღეს, — ვინ ასრულებს ამ წესს, როგორია ეს წესი და რა ეწოდება მას.

276. ხომ არ იციან რაიმე მაგიური თუ ოლიგიური წესების შესრულება, როდესაც პატარძალი პირველად იწყებს ქმრის ოჯახში საქმიანობას, — სახელდობრ როგორი წესები სრულდება, ვის მიერ და რა ეწოდება ამ წესებს.

277. რა დრომდე არ შეუძლია რძალს საოჯახო კულტისა და განსაკუთრებით საიდუმლო საოჯახო რიტუალის შესრულებაში მონაწილეობის მიღება და რატომ.

278. რომელი რიტუალის შესრულებისას, თუ დღესასწაულის გადახდის დროს როგორ სამსხვერპლოს სწირავს რძალი თავისი საკუთარი ქონებიდან და რა ეწოდება მის შესაწირავს.

279. ხომ არ არსებობს ისეთი რიტუალი თუ დღესასწაული, რომელსაც იხდიან მხოლოდ რძლები, — როდის მოდის ამგვარი რიტუალის გადახდის დღე თუ დღესასწაული, როგორ სრულდება ის, სად ასრულებენ და რა ეწოდება მას.

280. ხომ არ სრულდება რაიმე განსაკუთრებული მაგიურ-რელი-

გიური წესები ზედსიძედ შესვლის, ან მეორე ცოლის მოყვანის, თუ მეორედ გათხოვების დროს, — აღწერეთ ეს წესები და აღნიშნეთ მათი ადგილობრივი სახელწოდება.

§ 21. ნათესაობა და ურთიერთდამოკიდებულება

281. სისხლით ნათესაობისა და დამოყვრებით დანათესავების გარდა კიდევ რა სახის ნათესაობა იციან (გვარის ყიდვა, სხვის გვარში შეკედლება, მეგრული „ხატიშ მინდობილი", შვილობილად აყვანა, მეგრული „სქუალაფური"-ს დაძმობილება, სვანური „ლინთურალ", ხევსურული „სწორფრობა", ფშაური „წაწლობა" და სხვ.) და რა წესები სრულდება თითოეული ამგვარი დანათესავებისათვის. — აღწერეთ დაწვრილებით, ჩაიწერეთ ლოცვა-ვედრების, შეფიცების, სიმღერებისა და სხვ. ტექსტები, აღნიშნეთ ხელოვნურად დანათესავების საბუებისა და მისთვის შესრულებული წესების ადგილობრივი სახელწოდებანი: აღწერეთ აგრეთვე დასაჩუქრების წესი, საჩუქრების სახეები და სახელწოდებანი.

282. ხომ არ იციან რაიმე რელიგიური წესების შესრულება ოჯახის გაყრის დროს, — როგორ წესებს ასრულებენ, სად, ვის სახელზე, როგორ და რა მიზნით, რა ეწოდება ამ წესის შესრულებას.

283. აღწერეთ დაწვრილებით სისხლის აღებასთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური წესები, ჩაიწერეთ წყევლა-გადაცემის, ლოცვა-ვედრებისა და ფიცის ტექსტები და აღნიშნეთ ამ წესების ადგილობრივი სახელწოდებანი.

284. რა მნიშვნელობას მიაწერენ დედ-მამის, და-ძმის, ახლო ნათესავების, სოფლის თუ თემის დალოცვას ან წყევლა-გადაცემას: ჩაიწერეთ ლოცვებისა და წყევლა-გადაცემათა ფორმულები.

285. ხომ არ იციან რიმე მაგიურ-რელიგიური წესების შესრულება გაცვლა-გამოცვლისა და ყიდვა-გაყიდვის დროს, აღწერეთ ეს წესები და აღნიშნეთ მათი ადგილობრივი სახელწოდება.

286. როგორ ატარებს თავისუფალ დროს ხალხი, სად იკრიბება, რა ეწოდება შეკრების ადგილს, აღწერეთ და დაასახელეთ ამ დროს ყველა გართობათა სახეები.

287. ჩაიწერეთ ჩვეულებრივი მისალმების ფორმულები და ამ დროს ხმარებული ჟესტები.

288. თქმულებები სასაუბრო ენის წარმოშობის შესახებ, ვინ ასწავლა ხალხს ლაპარაკი, ხომ არ არსებობდა ძველად სხვაგვარი საშუალებები ერთმანეთისათვის აზრის გადასაცემად და სხვ.

289. ხომ არ არსებობს განსხვავებული ენა ღვთაებებთან და წმინდანებთან სასაუბროდ, ვინ იცის და როგორია ეს ენა; ჩაიწერეთ ამ ენის ლექსიკონი.

290. როგორ ექცევიან მომაკვდავს, ხომ არ გაჰყავთ ის სახლიდან გარეთ, ან ხომ არ დააწვენენ მას მიწაზე და რა მიზეზის გამო თუ რა მიზნით სრულდება ეს წესები.

291. ხომ არ იციან გამოცნობა მომაკვდავის სულის აშოხდის მიხედვით, თუ რა მოელის მის ოჯახს ახლო მომავალში, ან წლის განმავლობაში, — როგორ იგებენ ამას.

292. სად ათავსებენ გარდაცვალებულს, — კერიის მახლობლად, თუ პირიქით, მოშორებით; რაზე და როგორ მოათავსებენ, ხომ არ აღებენ მას სახეზე საცერს, გულზე ან საცერზე პურს; უნთებენ თუ არა ჩირაღდანს; ხომ არ დასდებენ იმ ადგილზე, სადაც ადამიანი გარდაიცვლა, ცულს, ნაჯახს, ქვას თუ სხვ.; ხომ არ დააბნელებენ სახლს კარ-სარკმელს და რა მიზნით სრულდება ეს წესები.

293. ვინ განბანს მიცვალებულს, რა ეწოდება ამ პირს. როგორი აზრისანი არიან ასეთი პირების შესახებ (უწმინდურად ხომ არ მიაჩნიათ), სად ხდება მიცვალებულის განბანვა; ხომ არ ანთებენ ცეცხლს იმ ადგილზე, სადაც მიცვალებულს განბანენ და რა მიზნით ხდება ცეცხლის ანთება.

294. მიცვალებულს კუბოთი მარხავენ თუ საკაცით, ვინ არის კუბოს თუ საკაცის მკეთებელი, რომელი ჯიშის ხისაგან აკეთებენ კუბოს, ჩაიწერეთ კუბოს თუ საკაცის ადგილობრივი სახელწოდება.

295. რას ჩააცმევენ მიცვალებულს, — აღწერეთ დაწვრილებით, აღნიშნეთ სამოსლის ფერები და ადგილობრივი სახელწოდებანი.

ხომ არ იციან მიცვალებულზე ტანისამოსის საკინძეების თუ ღილების შეხსნილად დატოვება, აგრეთვე შეუკრავი ზორტების და სხვ. (რა ძალას მიაწერენ საზოგადოდ ნასკვებს, მაგალითად. რას ნიშნავს როცა ძაფი გაინასკვება, ან აიბურდება). — რა მიზნით სრულდება ეს წესები, ხომ არ შეგრაგნიან მიცვალებულს, — რაში ახვევენ (მასალა, ფერი), რა ეწოდება ამ გრაგნილს, რა მიზნით ახვევენ მასში მიცვალებულს და სხვ.

296. რას ატანენ კუბოში თუ საფლავში მიცვალებულს (ჩამოთვალეთ დაწვრილებით და აღნიშნეთ ამ საგნებისა და სასმელ-საჭმელის ადგილობრივი სახელწოდება).

297. რამდენ დღეს ტოვებენ მიცვალებულს დაუმარხავად, რომელ დღეებში მარხავენ, შუადღემდე დამარხავენ თუ პირიქით, რა მნიშვნელობა აქვს ხალხის თვალში ამ ჩვეულებას.

298. რა ატრიბუტებს ატარებენ გლოვის ნიშნად პირისუფლები და განსაკუთრებით ახლობელი პირისუფლები, — ქალები თმას იშლიან, ან ჩიხტას დააშავებენ, მას თავის ქინძისთავს ააცლიან, ლეჩაქს არ-შიას შემოხსნიან, შაებში შეიმოსებიან, ან ტანსაცმელს უკუღმა გა-

დაბრუნებულს ჩაიცვამენ და სხვ., მამაკაცები წვერს მოუშვებენ, შუბლზე შავ ნაჭერს გაიკრავენ და სხვ. (აღწერეთ დაწვრილებით სამგლოვიარო ტანისამოსი — მისი თარგი, მასალა, ფერი და სამგლოვიარო სქმის ადგილობრივი სახელწოდება).

299. იციან თუ არა ჭირისუფლებმა მარხულობა — საჭმელს რა დრომდე აღკვეთავენ; რამდენ ხანს გრძელდება გლოვის პერიოდი.

300. აღწერეთ დაწვრილებით მიცვალებულის ტირილის წესი ცალკე ჭირისუფლების, ნათესავების, მეზობლების, სოფლის და თემის (ხევის თუ საზოგადოების) მამაკაცებისა და ქალებისა ცალკე; იციან თუ არა „ზარი", როგორ სრულდება და ვინ ასრულებს მას, იციან თუ არა მომტირალთა დაქირავება — დაქირავებულ მომტირალთა დატირების წესები. მათი სახელწოდება, რა არის „ასაბია". მისი მოსვლისა და დატირების წესები, რას უწოდებენ „დალაის" თუშეთში, როგორ ხდება მისი შესრულება; თუ შესაძლებელია ჩაიწერეთ ტირილის სანიმუშო ტექსტები და აღწერეთ მომტირალთა ჟესტიკულაცია, მოქმედებანი და ატრიბუტები.

301. იციან თუ არა მიცვალებულის ცხენის შეკაზმვა, ვინ შეკაზმავს მას, ვის მიჰყავს დასაფლავების დროს: ხომ არ არბოლებენ მას უზომოდ იმ მიზნით, რომ ცხენი გასკდეს, ან ხომ არ გადასცემენ მას მიცვალებულის სახელზე ვისმეს, — ვის აჩუქებენ და როგორ უვლის მიცვალებულს ცხენს მისი ახალი პატრონი, შეუძლია თუ არა მას ამ ცხენის გაყიდვა, რა ფასში გაყიდის და სხვა.

302. ხომ არ არსებობენ განსაკუთრებული პირები. რომელთაც ევალებათ მიცვალებულისათვის ანდერძის აგება და დასაფლავების დროს წინ გაძღოლა და რა ეწოდებათ ამ პირებს (ხევსურების „სულის ხუცი").

303. როგორ წესებს ასრულებენ მიცვალებულის სახლიდან გატანის დროს, ვინ გაიტანს მას, რით მიაჭვეთ (საკაცით თუ კუბოთი), რომელი კარიდან გაიტანენ, ვინ გავა კუბოს წინ და რას გაიტანს, როგორ მაგიურ საშუალებებს მიმართავენ იმისათვის, რომ სახლი ახალი მიცვალებულისაგან დაიცვან (გასვენების დროს უკან არ მოიხედავენ, კუბოს სახლის კარზე სამჯერ მიარტყამენ თუ სხვ.).

304. ხომ არ იციან ძუძუმწოვარა ბავშვების ფეხზე დაყენება, როდესაც მკვდარს მიასვენებენ, ან ბავშვების მიცვალებულზე შეყენება, როდესაც მეზობლად ან სოფელში ვინმე მოკვდება. რა მიზნით სრულდება ეს წესები.

305. რა მნიშვნელობას მიაწერენ მიცვალებულის პროცესიის გზაში შეფეთებას, ცუდს ხომ არას მოასწავებს ეს მგზავრისათვის, სახელდობრ რას მოასწავებს.

306. ვის ევალება საფლავის გათხრა და რა ეწოდებათ ამ პირებს;

მიჰყვებიან თუ არა ქალები გასვენების დროს საფლავამდე და თუ არ მიჰყვებიან — რა მიზეზის გამო; იციან თუ არა ჭირისუფლებმა საფლავში ჩახტომა და იქ ტირილი; ვინ ასრულებს ამ წესს (დედა, ცოლი თუ სხვაც); ხომ არ არის მიღებული ცოლის მიერ საფლავზე თმის მოკრა და სამარხში ჩატანება; ვინ მიაყრის პირველად მიცვალებულს საფლავში მიწას, ხომ არ იციან დამარხვის შემდეგ საფლავზე ცეცხლის ანთება, — რა მიზნით ანთებენ ცეცხლს, როგორია ხალხის შეხედულება ამის თაობაზე.

307. ხომ არ მართავენ დამარხვის დროს დოღს, ნიშანში თოფის სროლას ან სასაფლაოზე ცეკვა-თამაშს; როგორი განსხვავებული წესები არსებობს ახალგაზრდა ვაჟის, ქალის, მოხუცი კაცის, ქალის თუ ბავშვის დამარხვის დროს.

308. ხომ არ ასრულებენ რაიმე წესს სასაფლაოდან დაბრუნებისას განწმენდის მიზნით (მაგალითად, ქართლში „ბოღლიწოს“ დაამზადებენ და სასაფლაოდან დაბრუნებულებს შეაჭმევენ).

309. რა ცრურწმენები არსებობს მიცვალებულის ძვლების შესახებ, ხომ არ იციან მათი გამოყენება გვალვის ან წვიმიანობის დროს.

310. როდის იმართება ქელეხი, — დასაფლავების წინ თუ შემდეგ, რას აწყობენ ქელეხის სუფრაზე — სამარხვო საჭმელს თუ სახსნილოს, როგორ მონაწილეობას იღებენ ქელეხის ხარჯში ნათესავები და მეზობლები, თუ სოფელი და თემი.

311. ხომ არ არსებობს განსხვავებული დამარხვის წესები მდიდარსა და ღარიბებს შორის, ან ხატის მსახურთა, ქადაგის, „მესულთანის“, „სულის ხუცის“, „მჭედლის“, მონადირის, ან თვითმკვლელის, მოუნათლავის, სხვისი ხელით მოკლულის, წყალში დამხრჩვალის, ამა თუ იმ (და სახელდობრ რომელი) სნეულებისაგან მკვდარის, ზვავისაგან თუ მეხისაგან დაღუპულის მიმართ, — როგორია ეს წესები, აღწერეთ დაწვრილებით.

312. ხომ არ იციან უცხო ადგილას თუ მხარეში დაღუპულის სულის ძებნა და გადმოსვენება, — როგორ სრულდება ეს წესი და რა ეწოდება მას (სვანური „ქუნეშ ლიტხე“), ხომ არ არსებობს პროფესიონალი სულის გადმომსვენებელი და რა ეწოდება მას.

313. ჩაიწერეთ მისამძიმრების ფორმულები თუ ტექსტების ნიმუშები.

§ 23. სამარხის ტიპები და საფლავის ქვები

314. თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში ხომ არ არსებობს საგვარო ან გვარის განშტოებათა საერთო სასაფლაოები; ხომ არ იციან ეზოში ან სახლში მიცვალებულის დამარხვა, ვის დამარხავენ (ოჯახის უფროსს, მოუნათლავ ბავშვს თუ სხვას).

315. რა სახის საფლავის ქვებს დგამენ სამარხებზე, რა ფორმის და რა მასალისაგან, როგორი გამოსახულებებია ზედ ამოკვეთილი, ხომ არ უკეთებენ საფლავის ძეგლებს საგვარო დამღებს (თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ ეს ძეგლები და მათზე გაკეთებული გამოსახულება-ორნამენტები), კიდევ რითი რთავენ სამარხებს, შემოღობავენ თუ არა, ფარდულებს ხომ არ აკეთებენ და სხვ.

§ 24. მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი დღეები

316. რა წესებს ასრულებენ წლის განმავლობაში ყოველდღიურად მიცვალებულის სახლში, ხომ არ იციან ერთი წლის ან სხვა ვადის განმავლობაში მიცვალებულის სახელზე დილა-საღამოს სუფრის დადგმა ან მისი სულის მოსახსენიებლად საშველ-სასმელის დაკურთხება, სამარხვო საშველს უკურთხებენ თუ ჩვეულებრივ იმ სასმელ-საშველს, რომელსაც თვით შეექცევიან ყოველდღიურად; რა ეწოდება ამგვარი წესის შესრულებას.

317. რომელ დღეებში, ვის მიერ როგორი წესები სრულდება მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად — აღწერეთ დაწვრილებით შვიდი, ორმოცი, პირის ახსნა, წლისთავი, აღდგომის მეორე დღე (სვანური „ლიფანე“ ანუ „ლიჯგრი დეშდიშ“), ფერისცვალება. სულიწმინდის მოფენა, მარხვა, დაურწყების დღეები, სვანეთისათვის — „ლაფანა ლიკდალ“. „კონჩხარა“, „ლაგვან“ და სხვ.

318. სად იხდიან ამ წესებს; რა საკურთხს ამზადებენ, რა საკლავებს დაკლავენ. იციან თუ არა მიცვალებულის გამოსახულების გაკეთება. — როდის და როგორ აკეთებენ მას, ვინ გააკეთებს, რას უწოდებენ ამ გამოსახულებას (სვანური „ნახაზ“), როდის იციან ტანისამოსზე დატირება, რომელ მოსაგონარ დღეს გამართავენ მიცვალებულის სახელზე დოღს, მიზანში თოფის სროლას და სხვა გართობებს: როდის და ვინ დატირებს მიცვალებულის ტანისამოსზე; ხომ არ იციან ამ ტანისამოსის გაჩუქება, როდის გააჩუქებენ და ვის მისცემენ, რომელი ნათესავი როგორ შესაწირავს მოიტანს ამა თუ იმ (და სახელდობრ რომელ) მოსაგონარ დღეებში: სად აკურთხებენ საფლავს და შესაწირავს. ვინ აკურთხებს, ვის მოიწვევენ ამ დროს, რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი; როგორ და ვის მიერ ნაწილდება საკურთხი და შესაწირავი საკლავის ხორცი: ვის როგორ ულუფას არგუნებენ, სახლებში მიაქვთ ეს ულუფა თუ იქვე სუფრაზე შეექცევიან; სად გაშლიან სუფრას (სახლში, ეზოში, სასაფლაოზე თუ სხვაგან).

319. ხომ არ იციან სიცოცხლეში სულის მოსახსენიებელის გამართვა, — რა შეხედულება არსებობს ხალხში საკურთხის შესახებ, რა სახით მიუდის საკურთხი მიცვალებულთა სულებს და სხვ.

320. რა ნიშნების მიხედვით იგებენ, რომ ჭირისუფლის ოჯახში კიდევ მოკვდება ვინმე (მკვდარს რომ თვალები ღია დარჩება თუ სხვ.).

321. ხომ არ არსებობს სიკვდილის წინათგრძნობა, — როგორია ეს წინათგრძნობა ან სხვა ნიშნები, რომლის მიხედვითაც იგებენ სიკვდილის მოახლოებას (გარკვეული სიზმრის ნახვა და სხვა).

322. ხომ არ არის გავრცელებული აზრი თითქოს სიკვდილი გამოწვეული იყო ავი სულების ზეგავლენით.

323. რა თქმულებები არსებობს სიკვდილის შესახებ, — რა სახისა და სქესისაა, სად ცხოვრობს, საიდან მოდის, ვინ გზავნის მას. როგორ ამოართმევს ადამიანს სულს, რით განსხვავდება ადამიანის სიკვდილი ცხოველთა სიკვდილისაგან და სხვა.

324. რა ნიშნების მიხედვით არკვევენ, რომ ადამიანი მართლაც მკვდარია და რა ზომებს იღებენ, რომ ცოცხალი არ დამარხონ.

325. რა თქმულებები არსებობს სიკვდილთან ბრძოლის შესახებ, რა საშუალებებით ცდილობენ შეუმსუბუქონ მომაკვდავს სულის ამოხდომა.

326. გრძნობს და განიცდის რაიმეს მიცვალებული კუბოში, თუ არა — ხალხს შეხედულება ამის შესახებ.

327. რა საშუალებებს მიმართავენ დამარხვის წინ, დამარხვის დროს თუ უფრო გვიანაც იმისათვის, რომ მკვდარი არ წამოდგეს.

328. რა სახისაა სული, ვიდრე ის ადამიანის სხეულშია, ხომ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კაცისა და ქალის სულები, ან დიდის, მოზარდის და ბავშვის სულები; ამ საკითხებთან დაკავშირებული თქმულებები.

329. მოსახლეობის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ადამიანის სხეულის რომელ ნაწილშია მოთავსებული სული, საიდან და რა სახით ამოხდება ადამიანს.

330. წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა სახეს იღებს სული, როცა ის ადამიანის სხეულს სტოვებს; უკვდავია სული თუ არა; განსხვავდება თუ არა ადამიანის სული ცხოველების სულებისაგან და რა სახისანი არიან უკანასკნელნი.

331. ხომ არ არსებობს გადმოცემა იმის თაობაზე, რომ ძველად სულებს ლაპარაკი შეეძლოთ და ადამიანთათვის ხილულნი იყვნენ, რა მიზეზით აღკვეთეს ლაპარაკი და გახდნენ უჩინარნი.

332. სად მიდის სული მას შემდეგ, რაც ადამიანის სხეულიდან გამოვა; სად ცხოვრობს პირველ დღეებში ადამიანის სიკვდილის შემდეგ; ხომ არ გადადის ზოგიერთი ადამიანის სული ცხოველებში ან იქცევა ცხოველის სულად და დაისადგურებს ცხოველში, — ჩაიწერეთ საკითხთან დაკავშირებული თქმულებები.

333. რა სახეს იღებს და სად დაისადგურებს მოუნათლავი ბავშვის, ან წყალში დამხრჩვალის, მეხით თუ ტყვიით მოკლულის, ზვავში მოყოლილის და სხვა მსგავსი სიკვდილით დაღუპულების სულები.

334. თუ მიცვალებული არ დაიმარხა, მაშინ სად იმყოფება მისი სული; ხომ არ ფიქრობენ, რომ ასეთი სულები უგზო-უკვლოდ დახეტიალობენ დედამიწაზე.

335. როგორი მოთხოვნილებები აქვთ სულებს ხალხის წარმოდგენით, — ისეთივე როგორც ცოცხალ ადამიანებს (ჭამა-სმისა და სხვა ადამიანური მოთხოვნილებებისა), თუ არა.

336. მიდიან თუ არა სულები ცოცხლების ოჯახებში, — ვისთან მიდიან, რომელ დღეებში (ამ დღეების სახელწოდება), რა სახით ეწვევიან, როგორ ხვდებიან და რითი უმასპინძლდებიან მათ ცოცხლები, ღამით შემოვლენ თუ მზის სინათლეზე; რატომ შემოდიან ღამით, გაივლიან ისინი ადამიანის ნაკვალევზე თუ არა; რატომ არ გაივლიან და სხვ.

337. თქმულებები იმაზე, თუ ვის მიჰყავს გარდაცვლილი ადამიანის სული საიქიოში, რა განსაცდელს გადაიტანს სული გზაში, ვინ ან რა ხვდება მას ამ დროს გზაში, საიქიოში და სხვ.

§ 26. საიქიო, სამოთხე და ჯოჯოხეთი

338. რა წარმოდგენა არსებობს საიქიოზე — სად არის მოთავსებული, რა სახისაა, ვინ ითვლება საიქიოს ბატონ-პატრონად, ხომ არ უნახავს ვინმეს საიქიო, — ჩაიწერეთ მოთხრობები და თქმულებები საიქიოს შესახებ; საიქიოს ადგილობრივი სახელწოდება.

339. რას წარმოადგენს ჯოჯოხეთი და სამოთხე, სად არის მოთავსებული თითოეული მათგანი, როგორი შესასვლელი აქვთ, ვინ დარაჯობს ამ შესასვლელებს, აღწერეთ თქმულებები სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ და მათი ადგილობრივი სახელწოდებანი.

340. ვინ შედის სამოთხეში და ვის ათავსებენ ჯოჯოხეთში, ვინ არის მიცვალებულის სულის მსჯავრის დამდები და ვინ ანაწილებს სულებს სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის, შეიძლება თუ არა სულის ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადასვლა, ან, პირიქით, სამოთხიდან ჯოჯოხეთში და რომელი სულების მიმართ ხდება ასე.

341. რა ყოფაში არიან წამებული სულები ჯოჯოხეთში; შეიძლება თუ არა წამების შემსუბუქება და როგორი საშუალებებით (შეწირულებით, ჰირისუფლის მიერ მათი ცოდვების გამოსყიდვით თუ სხვა).

342. რა ყოფაში არიან მიცვალებულთა სულები სამოთხეში, ხომ არა აქვს თითოეულ მათგანს მისი მადლის ძალისდა მიხედვით მიჩენილი განსაკუთრებული ადგილი სამოთხეში, — რა ცოდვა-მადლის პატრონს რომელი ადგილი უჭირავს სამოთხეში, რა ცხოვრებას ეწევიან

სულები, ჭამენ, სვამენ, ოჯახს მოეკიდებიან, ნათესაურ დამოკიდებულებას იცავენ, მეზობლობენ თუ მტრობენ ერთმანეთს და სხვ.

343. რა სახით მიუდით მიცვალებულთა სულებს საკურთხი. ხომ არ არსებობს წარმოდგენა იმაზე, რომ მიღებული საკურთხის სასჭელ-საჭმელს სული უნაწილებს საიქიოში დანარჩენ სულებს, — ვის უნაწილებს (დავალებულს თუ სხვ.) და როგორ ხდება ეს დანაწილება.

344. აქვთ თუ არა სულებს საიქიოში სახნავ-სათესი მიწები, ჰყავთ თუ არა საქონელი და სხვაგვარი საკუთრება; რა გზით აქვთ შეძენილი ეს საკუთრება, ჭირისუფლების მათ სახელზე შეწირული საკლავ-საკურთხი ხომ არ შეადგენს მიცვალებულთა სულების სარჩო-საბადებელს, დახვდება თუ არა სულს სამოთხეში ის შესაწირავი, რომელიც მან თავის სიცოცხლეში თავისი სულის მოსახსენიებლად შესწირა; რა ყოფაში არიან ის სულები, რომელთა ჭირისუფლები მათ საკურთხს არ უკეთებენ და სხვ.

345. რა სახის თქმულებები არსებობს მიცვალებულის გაცოცხლების შესახებ. სწამს თუ არა მოსახლეობას მეორედ მოსვლის ამბავი; რა წარმოდგენა არსებობს მეორედ მოსვლის შესახებ, რა ნიშნების მიხედვით გახდება ნათელი მეორედ მოსვლის მოახლოება და როდის დადგება მეორედ მოსვლის დრო.

§ 27. ძილი და სიზმარი

346. მოსახლეობის წარმოდგენა ძილისა და სიზმრის შესახებ, — რა იწვევს ძილს და სიზმარს, სად იმყოფება სული ძილის დროს, ხომ არ არის სიზმარი სულის მოგზაურობის მაჩვენებელი, ვინ ან რა მოავლენს თუ იწვევს სიზმარს, არსებობენ თუ არა სპეციალური პირები, რომლებმაც იციან სიზმრის ახსნა. ჩაიწერეთ როგორი სიზმარი რას აღნიშნავს; რა ზომებს ხმარობენ უძილობის წინააღმდეგ.

§ 28. გულისწასვლა, გაშეშება, გაქვავება

347. ვისი ან რა მიზეზით მისდის ადამიანს გული, სად იმყოფება გულწასულის სული ამ დროს. რა საშუალებას მიმართავენ გულწასულის მოსაბრუნებლად და გაშეშებულის მოსარჩენად თუ გულისწასვლისა და გაშეშების საწინააღმდეგოდ; ჩაიწერეთ თქმულებები გაქვავებულ ადამიანთა და მათი გაქვავების მიზეზების შესახებ.

§ 29. ჩრდილი და აჩრდილი

348. რა წარმოდგენა არსებობს ჩრდილის შესახებ, ვინ აჩენს მას, რა თქმულებები არსებობს ადამიანის, ცხოველის, მცენარეულობა და სხვათა ჩრდილის შესახებ.

349. რა არის აჩრდილი, ვინ გზავნის მას, რა მიზეზით ან რა მიზნით იგზავნება, რა სახისანი არიან აჩრდილები და რა ძალა აქვთ მათ.

350. რა არის „მიწიდან ანაყოლი", „მონადები", სულიერი „ნალად", რა სახისანი არიან, სად ცხოვრობენ, რა აჩენთ მათ, რა ძალას ამჟღავნებენ ადამიანის მიმართ და რითი და როგორ იცავს თავს მათგან მოსახლეობა.

§ 30. სულიერი და უსულო, ცოცხალი და უსიცოცხლო საგნები და მოვლენები

351. რა და რა ბუნებრივი და ხელოვნური საგნები მიაჩნია მოსახლეობას სულიერად და უსულოდ, ცოცხლად და უსიცოცხლოდ, როგორი ადგილობრივი ტერმინებით გამოხატავენ აღნიშნულ ცნებებს (სულიერი, უსულო, ცოცხალი, უსიცოცხლო), რის მიხედვით სჯიან ცოცხალია საგანი თუ უსიცოცხლო, რა გარეგანი და შინაგანი ნიშნებით ხასიათდება უსულო და სულიერი საგანი თუ მოვლენა, — საკმარისი ხომ არ არის საგანმა გამოიჩინოს თავისთავადი მოძრაობა იმისათვის, რომ ის სულიერად იქნას აღიარებული, თუ საჭიროა ამ მოძრაობას ახლდეს მიზანდასახულობა, ან შეიძლება ყველა თავისთავადი მოძრაობანი მიჩნეულია მიზანდასახულობის მქონედ; რომელ სამყაროს, ფიზიკურს თუ ფსიქიკურს, მიაკუთვნებენ სულიერ საგნებს თუ მოვლენებს.

§ 31. ძალა და გამოძახილი (ეჰო)

352. როგორია წარმოდგენა ძალის შესახებ, რა ფორმისა და სახისანი არიან ხილული და უხილავი ძალები, შეიძლება თუ არა უხილავი ძალის ხილულად ქცევა და პირიქით — ხილულისა უხილავად; რა საშუალებით შეიძლება და ვის შეუძლია; აღწერეთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული თქმულებები.

353. რა წარმოდგენა არსებობს გამოძახილის შესახებ; ვინ აჩენს, რა მიზეზით, ჩნდება და რა მნიშვნელობას მიაწერენ მას.

§ 32. ავი ძალის მქონე ადამიანები

354. რა შეხედულებისაა მოსახლეობა ჯროღა-თვალებიანი და ჭერა ადამიანის შესახებ, როგორი ადამიანი მიაჩნიათ ავი თვალის მქონედ, ჯადოქარად, კუდიანად და სხვ., ვინ ანიჭებს მათ ამ ძალას და რა მიზნით. ვის ან რას ემორჩილებიან ასეთი ადამიანები, რა ცხოვერებას ეწევიან, როგორ და რა შემთხვევებში იჩენენ თავის ძალას. ჩაიწერეთ ხალხში გავრცელებული მოთხრობები და თქმულებები ასეთი პირების შესახებ.

355. რა ხერხებს ხმარობენ ეს პირები ადამიანის მოსაჯადოებლად და საზოგადოდ თავისი ავი მიზნების მისაღწევად და როგორ და რითი იცავს მოსახლეობა თავს მათგან.

§33. მთქნარება, ზმორება, სლოკინი, ყურის შუილი, ძაგილი, ცემინება, ფურთხი და ნახველი

356. რა მნიშვნელობას მიაწერენ თითოეულ მათგანს; რას ეტყვიან ცემინების დროს ჩვეულებრივ და ისეთ მომენტში, როდესაც მიცუალებულზეა საუბარი (ჩაიწერეთ ტექსტი); ხომ არ გადისახავენ პირჯვარს მთქნარების დროს; სად არ შეიძლება დაფურთხება; რას მოასწავებს ყურების წივილი, ხელის გულის ქავილი და სხვ.

IV. კოსმოგონია

§ 34. მიწა

357. რა არის მიწა, რა ფორმისაა (მრგვალი, ბრტყელი, ამობურცული), რა მოცულობისაა (მისი ფართობი, სიღრმე) რისგან შედგება (მიწა, წყალი, ცეცხლი და სხვ.), როგორ ნაწილდება და რა არის მოთავსებული თითოეულ ნაწილში; ხომ არ იყოფა ოთხ ნაწილად, რომელთაგან მიწის ზემო ნაწილში წინაპრების სამყოფელია, მის ქვემო ნაწილში — მოუნათლავ ბავშვთა სულების ადგილი, კიდევ უფრო ქვემო ნაწილში — სალხინებელი და სულ შიგნით — საუკუნო ჯოჯოხეთი (რას ეწოდება სალხინებელი და საუკუნო ჯოჯოხეთი). რაზეა მიწა დამყარებული, ან რითი და რაზეა დამაგრებული; რატომ ხდება მიწისძვრა; თქმულებები მიწის გაჩენის შესახებ, როგორი იყო მიწა ძველად, რა ცვლილებები განიცადა და რა მოელის მას; შეიძლება თუ არა მიწის კიდის მიღწევა.

358. რა მხარეები აქვს ქვეყანას, მათი ადგილობრივი სახელწოდება (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი) და რა არის მოთავსებული თითოეულ მხარეში; თქმულებები მათ შესახებ; რა მნიშვნელობა აქვს და რა როლს ასრულებენ ეს მხარეები მაგიური და რელიგიური წესების შესრულების დროს.

359. რა არტყია გარშემო ქვეყანას; რისგან შედგება ჰაერი, რა სახისაა, როგორ ნაწილდება (ხომ არ არსებობს ტერმინები: არე, აირი და ნიავწვლილი; რას წარმოადგენს თითოეული მათგანი), რა არის მოთავსებული ჰაერში: ეშმაკები და სხვაგვარი ავი სულები, — რა სახისანი არიან ეს ავი სულები. რა ეწოდებათ, რა სახით ევლინებიან ადამიანს და როგორ ვნებას აყენებენ; როგორ და რითი იცავს თავს ადამიანი ამ ავი სულებისაგან.

360. რა არის ეთერი (ცეცხლი ხომ არ არის), სად არის მოთავსებული (ხომ არ არის ჰაერსა და ცას შუა), შეუძლია თუ არა ეთერში აფრენა ფრინველს და ავ სულს.

361. რა არის ქარი, ვინ ან რა აჩენს მას, რა და რა მიმართულების ქარი არსებობს და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

შეამოწმეთ არსებობს თუ არა მოსახლეობაში ქარის აღმნიშვნელი შემდეგი ტერმინები: აპილი ანუ აპოლიოტი, ზეფირონი, ნოტოდ, აპარაკტია, ანუ აპარკტიაი, ცეკიად, არგესტი, ლიფსი, ევროსი, ნიავი, ბორიასი ანუ ბორეასი, თრასკესი, იაპიქსი, ჭალიკონი, ლიონოტო, ფინიქსი. ხორშაკი, ნიავქარი, საბარული, ვორიაი, ტვიფონი, თარშაკესი, კირკიდო, ულუმპია, ელრასტი, თერხვი, ქუსბორიად, არავი, ლევბონომოსი, ევრონოტოსი.

362. რა ძალას იჩენს ქარი ადამიანისადმი, კეთილია, მწველია, სასტიკია და სხვ., რა მაგიური საშუალებით იცავენ თავს ქარისაგან (მაგალითად, დედის პირველა ქალიშვილს გაატანინებდნენ გარეთ ცოცხს და ბოძზე თუ ხეზე ააკვრევინებდნენ ბაწრით ან ნაჭრით; ამის შემდეგ ქალი ხმამაღლა დაიძახებდა სამჯერ: „ქარსა ქარაფშუტასა სამი ქალი ჰყოლია, ერთი ბრმა, ერთი კოჭლი, ერთი კარგი ჰყოლია და ისიც ავად ჰყოლია; მალე ჩავა — მოურჩება, გვიან ჩავა — მოუკვდება“-ო და სხვ.).

რა თქმულებები არსებობს ქარის წარმოშობის შესახებ.

§ 35. წყალი

363. რა წარმოდგენა არსებობს მოსახლეობაში ღრუბლის, ნისლის, ნამის, წვიმის, სეტყვის, თოვლის, ზვავის, ყინულისა და მსგავსთა შესახებ. რას წარმოადგენს თითოეული მათგანი, ვინ აჩენს მათ. ჩაიწერეთ თქმულებები დაკავშირებული ბუნების ამ მოვლენებთან.

364. შეაჯერეთ გავრცელებულია თუ არა მოსახლეობაში თითოეული მათგანის სახეების აღმნიშვნელი შემდეგი ტერმინები:

1) ნისლისათვის — შანანა, ბუერი, ბორი, ბორიაყი, არმური.

2) წვიმისათვის — ცვარი, ნიჟი, ღვაფი, თქორი, თქეში, ფრუტი, ულმურტლი. ნოშფოში, დელგმა, იხარი, ღლოფო, ქარიშხალი, შხაპი, ლეშხი, ყვავი.

3) თოვლისათვის — თრთვილი, ყაპი, ფიფქი, ჭყაპი, ბური, ჭირხლი, ხურხლი, ბუქი ხიაწი, ნანქერი (ნამქერი), ბზარი, ლელშა, არხილი, ლილო, შავი.

365. რას წარმოადგენს თითოეული ზემოდასახელებული სახე ზეციური წყლის მოვლენებისა, რა მნიშვნელობა აქვს მეურნეობაში თითოეულ მათგანს ვინ აჩენს თოვლის ზვავს ან ჩამოაშვავებს მიწას და რა მიზეზით ხდება ეს.

366. რა წარმოდგენა არსებობს მოსახლეობაში ელვის, ქუხილის, მეხისა და ცისარტყელას შესახებ. რისგან შედგება თითოეული მათგანი, რა ან ვინ ბადებს მათ, რის გამო ჩნდება ცისარტყელა, რას მოასწავებს ცისარტყელას სპექტრში ამა თუ იმ ფერების სიჭარბე და ცისარტყელას ხშირი გამოჩენა, საზოგადოდ რა თქმულებებია გავრცელებული ზემოდასახელებული მოვლენების შესახებ ან მათთან დაკავშირებით (მაგალითად, ცისარტყელას რომ გადააბიჯო, კაცი ქალად იქცევი და ქალი კაცად და სხვ.).

367. რა სახის მაგიურ წესებს ასრულებენ ელვა-ქუხილის, სეტყვის, გვალვის ან წვიმიანობის დროს (მაგალითად, ქვაბსა და ზედადგარს გამოიტანდნენ გარეთ, ქვაბს ზედადგარზე შედგამდნენ — სეტყვა გადაიღებსო; წმინდა ქვას წყალს გადაასხამდნენ, ან წმინდა ადგილებს და საკულტო შენობებს შეურაცხყოფდნენ (ნაგავს ან უწმინდურ საგანს შეაგდებდნენ, თუ ჩააგდებდნენ) — წვიმა მოვაო; წვიმის გადაღების მიზნით წმინდა ქვას გადააბრუნებდნენ, ან ბაყაყს მოკლავდნენ, ან გველ-ბაყაყს გუდაში ჩაყრიდნენ და მთას იქით გადაისვრიდნენ და სხვ.).

368. რომელი ღვთაება თუ წმინდანი განაგებს დარ-ავდრს საქმეს, რა სახისაა ეს ღვთაება თუ წმინდანი, სად სუფევს, რა ხასიათის და ძალას იჩენს მოსახლეობის მიმართ და რა ეწოდება მას.

369. რა საშუალებას მიმართავენ დარ-ავდრის ღვთაების თუ წმინდანის გულის მოსაგებად — ხომ არ მარხულობენ, აღკვეთავენ მუშაობას გარკვეულ დღეებში, მიმართავენ მას ლოცვა-ვედრებით, სწირავენ რაიმე შესაწირავს; ხომ არ გზავნიან გვალვის ან წვიმიანობის დროს მასთან მოციქულს, — ვის ან რას აგზავნიან (მაგალითად, ქართლში დარ-ავდრის ღვთაება ელიასთან გზავნიდნენ ლაზარეს წერილით; ლაზარე ეწოდებოდა თიხისაგან დამზადებულ ადამიანის გამოსახულებას). მოციქულის სახელწოდება, როგორ სრულდება მისი გამგზავრების და საზოგადოდ ლოცვა-ვედრების და შეწირულების რიტუალი; სად, რა ადგილას, როდის და ვის მიერ სრულდება იგი და რა ეწოდება ამ რიტუალს თუ მისი შესრულების დღეს.

370. როგორ საგანს ეცემა მეხი ხალხის წარმოდგენით ყველაზე მეტად და რატომ (რომელ ხის ჯიშს დაეცემა, ან რა დაეცემა ხოლმე და რა მიზეზის გამო), აქრობენ თუ არა მეხისაგან წაკიდებულ ცეცხლს, რითი და როგორ აქრობენ.

371. რა შეხედულება არსებობს მეხნაკრავ ადამიანსა თუ საქონელზე, ხომ არ არსებობს მეხით მოკლულის დასაფლავების განსაკუთრებული წესი.

372. რა შეხედულება არსებობს ცის შესახებ, — რისგან არის გაკეთებული, რა სახისაა, ერთია ცა თუ მრავალი, რა თანამიმდევრობით მიჰყვებიან ერთმანეთს და რა ეწოდება თითოეულ ცას.

ხომ არ არის მოსახლეობაში ცნობილი ცათა სახელები: ჭირანო, ცორანო, მელტავრო, კოჭიმელი, ჭიმჭიმელი, კომკიმელი, არბასტრო ან უალბასტრო, ვარსკლავთა ცა და მძვრელი ცანი (პირველი მძვრელი ცა, მეორე მძვრელი ცა, ცა ბროლისა).

373. მოძრავია თუ არა ცა, რომელი ცა რა მიმართულებით მოძრაობს, რამდენ ხანში მოიქცევიან, ხომ არ მოასწავებს რაიმე უბედურებას მათი მოქცევა.

374. რა არის სამყარო, სად არის მოთავსებული, როგორია, ხომ არ უწოდებენ სამყაროს გარეგან უძრავ და მყარ ცას.

375. რითია შეცული და ვინ სუფევს თითოეულ ცაზე.

376. ხომ არ ხდება ხოლმე ცის გახსნა, როდის და რატომ იხსნება ცა; რა თქმულებებია დაკავშირებული მის გახსნასთან (მაგალითად, ცის გახსნას თუ მოასწარი და რამე ინატრე, შეგისრულდება, თუ ოქრო ან ვერცხლი აჩვენე-გამდიდრდები და სხვ.).

377. ცისა და მიწის კავშირი; ხომ არ იყვნენ ცა და მიწა ოდესმე ერთად. ან ძალიან ახლო ერთმანეთისაგან; რა მიზეზის გამო გაიყარნენ თუ დაშორდნენ ერთმანეთს; როგორ ნათესაურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან (დედა-შვილია, და-ძმაა, ცოლ-ქმარია თუ სხვ.).

378. ჩაიწერეთ თქმულებები ცის წარმოშობის შესახებ.

§ 37. ვარსკვლავები

379. რა წარმოდგენა არსებობს ვარსკლავების შესახებ, — რისგან შედგებიან, რა სიდიდისანი არიან, სად არიან მოთავსებული, ხომ არ არის ვარსკვლავთა სიმრავლე მერვე ცაზე.

380. თქმულებები ვარსკლავების შესახებ, — რატომ არ სჩანან დღისით და სხვ.

381. ვარსკლავების ადგილობრივი სახელწოდება (რა და რა ვარსკლავების სახელია ხალხში გავრცელებული) და სად არის თითოეული ვარსკვლავი მოთავსებული.

შეამოწმეთ, იციან თუ არა მათი შემდეგი სახელწოდებანი: ხარიპარია, ურემ-ხარი, ხომლი, მთიები ანუ ცისკარი, მწუხრის ვარსკვლავი, მთა-ბომონი, გარემოსაქცეველი, ფილაგი ანუ შვიდმოქცევი ვარსკვლავი, ძაღლი-ვარსკვლავი.

382. ხომ არა ჰყავს თითოეულ ადამიანს თავისი ბედის ვარსკვლავი; რისი ნიშანია ვარსკვლავის (მეტეორიტის) ჩამოვარდნა, ან ახალი ვარსკვლავის გამოჩენა; როგორ არჩევენ თავის ვარსკვლავს სხვისი ბედის ვარსკვლავისაგან.

383. ხომ არ იციან ვარსკვლავებზე მკითხაობა, — ვინ მკითხაობს და რა შინაარსისაა ეს ტექსტი.

384. რას წარმოადგენს კუდიანი ვარსკვლავი, რას მოასწავებს მისი გამოჩენა, რა ძალა აქვს მას, ჩაიწერეთ საზოგადოდ თქმულებები კუდიანი ვარსკვლავის შესახებ.

385. ხომ არ არის ამა თუ იმ ვარსკლავთან დაკავშირებული რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელი.

386. ხომ არ მიაჩნიათ ლამის ცის კიაფი თუ გაელვება, ან მეტეორიტის ჩამოვარდნა ამა თუ იმ (და სახელდობრ რომელი) ხატის თუ წმინდანის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაფრენის ნიშნად, — რითი ხსნიან და როგორ უყურებენ ხატის თუ წმინდანის ამგვარ მოქმედებას.

387. ხომ არ არსებობს ხალხის წარმოდგენით ცეცხლ-ალის მაგვარი სული (სვანური „ჰალ"), რომელიც ეკლინება ადამიანს განსაკუთრებით ხშირად მთის გადასასვლელებზე, — რა ძალის მქონეა ეს სული, რა დამოკიდებულებას იჩენს ადამიანისადმი და რითი იცავენ თავს ამგვარი სულებისაგან (მაგალითად, სვანეთში მგზავრობის დროს თხილის ჯოხს დაიჭერდნენ ხოლმე ხელში, რადგან ამ ჯოხს „ჰალ"-ი ვერ გაეკარებოდა).

388. აღწერეთ მეტეორიტების გამოყენება ხალხურ მკურნალობაში და ამულეტებად.

§ 38. ზოდიაქო

389. არსებობს თუ არა წარმოდგენა ზოდიაქოს შესახებ. ზოდიაქოს ადგილობრივი სახელწოდება, — ხომ არ ეძახიან მას „ბურჯს" ან „ცხოველთა სახილავს", სად არიან მოთავსებული ზოდიაქები, რა ძალას მიაწერენ მათ, რა სახით ჰყავთ წარმოდგენილი, ხომ არ უკავშირებენ მათ გარკვეული სახის ცხოველს თუ სხვა გამოსახულებას.

390. რა და რა ზოდიაქოს სახელები იციან და სად სუფევს თითოეული მათგანი.

შეამოწმეთ, არსებობს თუ არა მოსახლეობაში მათი შემდეგი სახელწოდებანი: ვერძი, კურო, ტყუბი ანუ მარჩხვი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული ანუ სახვი, სასწორი ანუ მეუღლე, ღრიაკალი (ღრიანკალი), მშვილდოსანი, თხის-რქა ანუ ვაცი, მერწყული ანუ წყლის საქანელი, თევზი.

391. რა ურთიერთობა არსებობს ხალხის წარმოდგენით მზესა და ზოდიაქოთა შორის; ხომ არ იციან დროის გამოთვლა იმისდა მიხედვით, თუ როდის იმყოფება მზე ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში.

§ 39. ცთომილი

392. რა წარმოდგენა არსებობს მოსახლეობაში ცთომილების შესახებ; არჩევენ თუ არა მათ ვარსკვლავებისაგან, — როგორ და რის მიხედვით არჩევენ.

393. რამდენია ხალხის წარმოდგენით ცთომილი და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

შეამოწმეთ არსებობს თუ არა მოსახლეობაში მათი შემდეგი სახელწოდებანი: ერმი ანუ ოტარიდი, ასპიროზი ანუ აფროდიტი, მარიხი ანუ არია, მუშთარი ანუ დია, ზუალი ანუ კრონოსი.

394. რა სახისაა და სად სუფევს თითოეული ცთომილი (მაგალითად, ძველად ფიქრობდნენ, რომ ცთომილი ერმი ანუ ოტარიდი იყო უწვერო, მძლავრმკლავებიანი შეჭურვილი ჭაბუკი, რომელიც მეორე ცაზე სუფევდა; ასპიროზი ანუ აფროდიტი ქალად ჰყავდათ წარმოდგენილი ხელში პურის თავთავებით, მესამე ცაზე მყოფი: მარიხი ანუ არია შეჭურვილი ჭაბუკი ხელში ხმლით, მეხუთე ცაზე სუფევდა; მუშთარი ანუ დია გვირგვინოსან მოხუცად წარმოედგინათ, რომელსაც მარჯვენა ხელში ცეცხლი ეპყრა და მარცხენაში საბერიკაცო ჯოხი ეჭირა და რომელიც მეექვსე ცაზე იმყოფებოდა; ზუალი ანუ კრონოსიც ბერიკაცად მიაჩნდათ მარჯვენა ხელში ცეცხლით და მარცხენაში მოგრეხილი გველით, რომელიც მეშვიდე ცაზე სუფევდა).

§ 40. მზე და მთვარე

395. რა შეხედულებებისაა მოსახლეობა მზისა და მთვარის შესახებ, — რას წარმოადგენს ან რისგან შედგება თითოეული მათგანი, მოძრავია თუ უძრავი, რომელი მიმართულებით მოძრაობენ, რამდენ ხანში მოიქცევიან, რა სიდიდისა და სახისანი არიან (ხომ არ წარმოადგენს მზე გვირგვინოსან მეფეს, რომელსაც ხელში ჟინჟღილა უჭირავს და მთვარე ქალს ხელში ისრით), რა ხასიათს იჩენენ (მრისხანენი არიან თუ ლმობიერნი).

396. რა სქესისაა მზე და მთვარე, როგორ ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან (ცოლ-ქმარია, დედა-შვილია, და-ძმაა), აქვთ თუ არა მათ ოჯახი, ჰყავთ თუ არა დედ-მამა, შვილები, რაგორ ცხოვრებას ეწევიან, სად არის თითოეული მათგანი მოთავსებული, ხომ არ სუფევს მზე მეოთხე ცაზე, ხოლო მთვარე პირველ, ქვედა ცაზე, რომელიც ყველა ცებზე უფრო ახლოა ქვეყანასთან; რატომ ანათებს

მზე დღისით და მთვარე ღამე, რატომ თამაშობს მზე (რა მიზეზით და როდის თამაშობს), რას მოასწავებს მზის თამაში, რატომ აქვს მთვარეს ლაქები; თქმულებები მზისა და მთვარის, მათი წარმოშობის, ურთიერთობისა და სხვ. შესახებ.

397. რა ეპითეტებით მოიხსენიებენ მზესა და მთვარეს (მზის თვალი, კაშკაშა მთვარე და სხვ.).

398. ხომ არ იციან მზისა და მთვარის სახელით დაფიცება (შენმა მზემ და სხვ.), ან მათი სახელით წყევლა-გადაცემა (მზეც დაგბნელებია და სხვ.), — ჩაიწერეთ დაფიცებისა და წყევლა-გადაცემის ფორმულები, რა ძალას მიაწერენ ამ ფორმულებს.

399. რა ძალა აქვთ მზესა და მთვარეს, რას განაგებს თითოეული შათგანი და ვისი საშუალებით.

400. ხომ არა ჰყავს მზეს „დობილები“, ან ხომ არ არსებობს „მზის-მყოლი ანგელოზები“; მათი ადგილობრივი სახელწოდება; რა სახისანი არიან: როგორ და სად ცხოვრობენ; ვის (ქალს, ბავშვს, კაცს), როდის (მზის ამოსვლის ან ჩასვლის დროს, როდესაც მისი სხივები შიდამოს ზოლად დაეფინება, თუ სხვა დროს), როგორ ეელინებიან (აკვანს აეკერიან, ქალს თუ ბავშვს დაესევიან და სხვ.) და როგორ დამოკიდებულებას იჩენენ მოსახლეობისადმი (მაგალითად. ხევსურის წარმოდგენით „დობილები“ უველაზე ჰეტად ბავშვსა და ქალს ემტერებიან. დრო თუ მოიხელთეს, მოედებიან მათ, ზედ გაეკერიან. ბზუიან, კბენენ და საშინლად აწუხებენ, მაგრამ ადამიანის მოკვლა „დობილებს“ არ შეუძლიათ): კიდევ როგორი ხელქვეითები ჰყავთ მზესა და მთვარეს; რა ეწოდება თითოეულ მათგანს; სად და როგორ ცხოვრობენ, რა სახისანი არიან და სხვ.

401. როგორ ხსნიან მზისა და მთვარის დაბნელებას (მათ ამ დროს გველეშაპი გადაყლაპავს ხოლმე, თუ სხვა)და რა საშუალებას მიმართაუენ მნათობთა გადასარჩენად (ასტეხავენ ხმაურს, რკინეულს აჩხარუნებენ, თოფებს ისვრიან და სხვ.).

402. რა საშუალებით ცდილობენ მზისა და მთვარის და მათი ხელქვეითების გულის მოგებას; აღწერეთ დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებული მაგიური და რელიგიური წესები და დაასაბელეთ ამ წესებს ადგილობრივი სახელწოდება, მათი შესრულების დრო, ადგილი, შიზეზი თუ მიზანი და შემსრულებლები.

403. მთვარის მოქცევა და მასთან დაკავშირებული მაგიური წესები (მაგალითად, ახალ მთვარეს პირველ დანახვაზე ოქროს ან ვერცხლს აჩვენებენ და სხვ.).

404. როგორ ხდება მთვარის დღეების გამოცნობა (რამდენი დღისაა მთვარე) და რა საზომით აღნიშნავენ მთვარის დაკლება-მომატებას (მაგალითად ერთი ნახტომი, ან ყოჩის სამი ნახტომი, ბაწარი და სხვ.).

405. რა გავლენას ახდენს, მოსახლეობის შეხედულებით, მთვარის მოქცევა ქალის მენსტრუალურ ციკლზე, საქონლის აძუებაზე, მოდოლებაზე და სხვ. ან ამინდზე და ამასთან დაკავშირებით, რომელი სამეურნეო თუ სხვა საქმის დაწყება რომელ მთვარეზეა მიჩნეული კარგად თუ ავად.

რომელ მთვარეზე და რა დღეს იწყებენ ხვნა-თესვას, თიბვას, მკას, რთველს და სხვ. სამეურნეო საქმიანობას, საკირეს აგებას, სახლის საძირკვლის ჩაყრას, მართავენ ქორწილს და სხვ.

406. ხომ არ იციან მზის სახელზე ზამთრისა და ზაფხულის დადეგზე შუშხუნების ან ცეცხლის კოცონის ანთება, ახალი მთვარის ორშაბათ დღეებში ქალებმა განსაკუთრებული რიტუალის შესრულება, გარკვეულ დღეებში მზისა და მთვარის სახის კვერების გამოცხობა-შეწირვა და სხვ. შეწირულობათა და რიტუალის შესრულება; ვინ, როდის, სად რა ადგილას) და როგორ მიმართავს მნათობს, თუ თითოეულ მათგანს ცალკე. რას სწირავს (შესაწირავების სახეები და მათი ადგილობრივი სახელწოდება). რა სიტყვებით თუ ლოცვა-ვედრებით მიმართავენ (ჩაიწერეთ ტექსტები), რა მიზნით ხდება შესაწირავის გადახდა თუ სხვაგვარი რიტუალის შესრულება და რა ეწოდება ამ რიტუალს თუ რიტუალის შესრულების დროს.

407. არსებობს თუ არა შეხედულება მზისა და მთვარის ძალით დაავადებათა შესახებ, — რა სენით ხდებიან ავად (მთვარეული, გაგიჟება და სხვ.) და როგორ ხდება ამგვარი ავადმყოფობის წამლობა (მკითხაობა, შეთქმა, შელოცვები, ბალახით თუ ხალხური სხვა საშუალებებით მკურნალობა), სხვადასხვა სახის ამულეტები.

V. ღვთაებები, მათი პანთეონი და ღვთაებათა მსახურება

§ 41. ღვთაებები და წმინდანები

408. რა და რა ღვთაებები და წმინდანებია ცნობილი თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში; რა ეწოდება და როგორი წარმოდგენა არსებობს ხალხში უზენაესი ღვთაების შესახებ. სად სუფევს, რას განაგებს, ვინ არიან მისი ხელქვეითები, რომელთა საშუალებითაც ახორციელებს ის თავის გაშგებლობას, რა ნიშნებით და ვისი პირით აგებინებს ხალხს თავის ნება-სურვილს, ვის გზავნის ხალხის დასასჯელად; რითი სჯის ხალხს; როგორ დამოკიდებულებაში და ურთიერთობაში არიან მათთან დანარჩენი ღვთაებები და წმინდანები; როგორი თანამიმდევრობა არსებობს ამ ღვთაებათა შორის უფროს-უმცროსობისა და ძალა-უფლების თვალსაზრისით. რომელი ღვთაება რასა და ვის მფარველობს და რომელ ღვთაებას და წმინდანს რა ფუნქციები აქვს დაკის-

რებული (მაგალითად, სვანეთში ლამარია მიწის მოსავალის საქმეს განაგებს, ბარბოლ'ი მეწველი საქონლის მფარველია, ჯგერაგ'ი ადამიანს სველის დასხვა; ხევსურეთში ადგილისდედა მიწისა და ქალების მეწყვეურია, ჯაჯმატის წმინდა გიორგი ადამიანისა და საქონლის ნაყოფიერების ღვთაებაა, ნაკარელა მრისხანე ღვთაებაა, რომელიც ადამიანს აგიჟებს და კლდეზე გადაჩეხავს ხოლმე და სხვ.;) ევლინებიან თუ არა (ან ცველად თუ ევლინებოდნენ), რა შემთხვევებში, როდის (დღისით, ცხადად, ან სიზმარში), სად (ტყეში, გზაზე, მთის გადასავალზე და სხვ.). რა სახით ევლინებიან (ან ევლინებოდნენ ძველად), როგორ იქცევიან (იქცეოდნენ) ასეთ შემთხვევებში; რა სახისაა მოსახლეობის წარმოდგენით თითოეული ღვთაება და წმინდანი. რა თქმულებები არსებობს მათ შესახებ, — ჩაიწერეთ დაწვრილებით.

409. არსებობს თუ არა დანაწილება კეთილ და ბოროტ ღვთაებად; სახელდობრ რომელი ღვთაება მიაჩნიათ კეთილ ღვთაებად და რომელი ბოროტად; რაში მდგომარეობს და როგორ გამოხატავს უკანასკნელი თავის სიბოროტეს; რა საშუალებით ცდილობს მოსახლეობა ბოროტ ღვთაებათა თუ წმინდანთა გულის მოგებას; როგორ ეშსახურება და რას სწირავს მოსახლეობა კეთილ ღვთაებებს; რა ეპითეტებით არიან ცნობილი კეთილი და ბოროტი ღვთაებები.

410. ჰყავს თუ არა ყოველ ადამიანს თავისი მფარველი ღვთაება თუ ანგელოზი; რა ეწოდება მას; რა სახისაა, სად ცხოვრობს, ადამიანის მარჯვენა მხარზე ხომ არ არის, ან მარჯვნივ ხომ არ უდგას (მაშინ მარცხენა მხარი ეშმაკისა ხომ არ არის), რაში გამოიხატება მისი მფარველობა.

411. არსებობს თუ არა წარმოდგენა ღმერთკაცების შესახებ, — რა ეწოდება თითოეულ მათგანს, თქმულებები მათი წარმოშობის და ძალის შესახებ.

412. როგორი დაფიცება არსებობს ხალხში (მაგალითად: ღმერთმანი, ჩემმა მზემ, მზის მადლმა, მარიამ ქალწული არ გამიწყრეს და სხვ.) და რა სახის წყევლა (მაგალითად: დალახვროს ღმერთმა, დასწყევლოს წმინდა გიორგიმ, ღვთის რისხვა მაგას. ეშმაკის ფეხია, ეშმაკს წილია და სხვ.): რომელი მათგანი ითვლება ძლიერ დაფიცებად და წყევლა-გადაცემად; რა დამოკიდებულება და ურთიერთობა არსებობს მოსახლეობის წარმოდგენით კეთილსა და ბოროტ ღვთაებებს შორის.

§ 42. საკულტო შენობები

413. აღწერეთ დაწვრილებით თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში არსებული საკულტო შენობები, მათი გარეგნული სახე (თუ შესაძლებელია, ფოტოგრაფიულად გადაიღეთ ამ ნაგებობათა კომ-

პლექსები), რა და რა ნაწილებისაგან შედგება თითოეული ხატი თუ ეკლესია, რა მასალისაგან არის ნაგები, რა ადგილზე მდებარეობს (ადგილის სახელწოდება), რა არტყია მას გარშემო (წმინდა ტყე).

§ 43. სახატო მიწები*

414. არსებობს თუ არა თემის (ხევის თუ საზოგადოების) ფარგლებში საზოგადო ან კერძო მესაკუთრის შეუვალი თუ დასამუშავებლად აღკვეთილი ადგილები, რა სახის არის ეს მიწები (ტყე, ხევნარი, მთა, გორაკი, მინდორი, ველი თუ სხვა), სად მდებარეობს თითოეული მათგანი, რა ეწოდება ამგვარ ადგილებს საზოგადოდ და კერძოდ თითოეულ ადგილს ცალკე. რა მიზეზების გამო არის ეს ადგილები შეუვალი, ან დასამუშავებლად აღკვეთილი და რა თქმულებებია გავრცელებული ამ ადგილების შესახებ.

415. ეს ადგილები ყველასათვისაა შეუვალი, თუ გარკვეულ პირებს (მაგალითად, ხატის მსახურებს, ან გარკვეული გვარის წარმომადგენლებს) შეუძლიათ იქ შესვლა და მით სარგებლობა გარკვეული წესის შესასრულებლად (მაგალითად, გარკვეული დღესასწაულების გადახდა, ან რაიმე შეწირულების მოწყობა, ან შეუვალი ტყის მოჭრა ხატის საშენ თუ გადასახურავ მასალად, ან ფიჩხის გამოტანა რელიგიური წესების შესრულების დროს ცეცხლის ასანთებად და სხვა).

416. სახატო მამულები (სათიბები, ყანები), მათი ადგილმდებარეობა, ფართობი და სახელწოდება.

417. რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზეა შეწირული თითოეული მათგანი.

418. ვინ ამუშავებს სახატო მამულებს, — მთლიანად თემი (ხევი თუ საზოგადოება), სოფელი, გვარი, ხატის მსახურნი, თუ გარკვეული ოჯახი (დაასახელეთ სოფლები, გვარები თუ ოჯახები, რომლებსაც ევალებათ ეს საქმე) და რა ეწოდება სახატო მიწის დამმუშავებელს.

419. რას თესავენ სახატო მამულში და რა ეწოდება სახატო მამულის მოსავალს ან მოსავლის იმ ნაწილს, რომელიც განკუთვნილია ღვთაების, წმინდანის თუ გარკვეული დღესასწაულის სახელზე შესაწირავად.

420. რა დროს იწყება და რა წესით წარმოებს სახატო მამულის დამუშავება, — ხვნა-თესვა, მოსავლის აღება, ლეწვა და სხვ.

421. რა სახით (ფქვილად თუ ხორბლად), სად და რა ჭურჭელში ინახავენ ხატის მოსავალს (მაგალითად, ხევსურეთში მას ხატის ბეღელში ათავსებდნენ), — აღწერეთ და თუ შესაძლებელია ფოტოგრაფიულად გადაიღეთ მისი შესანახი შენობა და ჭურჭელი.

---

* აღნიშნულ საკითხზე კითხვარის ვრცელი ვარიანტი ინახება მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში, № 974.

422. ხდება თუ არა სახატო სათიბებისა და ყანების მოსავლის დანაწილება, — როდის, სად და რა წესით ნაწილდება, ვის როგორი ნაწილები ერგება; ვინ არის მისი განმანაწილებელი, რა საზომ-საწყაები იხმარება ამ დროს; საწყაების ადგილობრივი სახელწოდება.

423. ხომ არ იციან გარკვეული რიტუალის შესრულება, მსხვერპლის მიტანა თუ სხვა სახატო მამულების დამუშავების, მისი მოსავლის აკრება-დანაწილებისა თუ შენახვის დროს. სად, ვის მიერ და როგორ სრულდება ეს რიტუალი, რა სამსხვერპლოს შესწირავენ და რა ეწოდება ამ რიტუალს, შესაწირავებს, თუ ამ რიტუალის მოწყობის დღეს.

424. რა თქმულებებია გავრცელებული სახატო მამულების წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ.

§ 44. ხატის მსახურნი და მათი იერარქია

425. რამდენი პირია თითოეული საკულტო შენობის მსახური, რა ეწოდება თითოეულ მათგანს (მაგალითად, ხევსურეთში ასეთი პირებია ხუცესი, მედროშე, მეგანძური, დასტური, შულტა, ზღურბლდალახულები და სხვ., თუშეთში — დეკანოზი, ჯელოსანი, მნათე და სხვ., სვანეთში — ბაპ (ძველად იყო), მომზერ, მოკილ, მულზონ, ხალსუან და სხვ.) და როგორი უფროს-უმცროსობა არსებობს ხატის მსახურთა შორის.

რომელი მათგანი მიაჩნიათ ხატისაგან არჩეულად, რომლებს არჩევს რომლებზე გადადის მემკვიდრეობით ხატის მსახურის ფუნქციები.

426. რომელი მათგანი რა ასაკში ხდება ხატის მსახურად.

427. არიან თუ არა ხატის მსახური ქალებიც, — რა ასაკისა და როგორები არიან.

428. რა ნიშნების მიხედვით იგებს ამორჩეული (და აგრეთვე მისი ახლობლები და საზოგადოდ მოსახლეობა) მასზე ხატის მსახურის ფუნქციების გადასვლას, — ხომ არ იპყრობს მას განსაკუთრებული სენი (სახელდობრ, რითი დაავადდება), ან განსაკუთრებული სიზმრები, ხომ არ ეკლინება მას რომელიმე ღვთაება (სახელდობრ რომელი ღვთაება) და უცხადებს ან ასწავლის მას ხატის მსახურის მოვალეობებს და სხვ.

429. როგორ (მაგალითად, დიდსა და ძლიერს) და რომელ გვარში თუ ოჯახში არსებობს ხატის მსახურის ფუნქციების მემკვიდრეობით გადასვლა.

430. რა წესით გადადის გვარში ეს მემკვიდრეობა (სიყრმის ვაჟიშვილზე, თუ მესამე თაობის წარმომადგენელს ხვდება წილად ან სხვა) და რომელ ასაკში ღებულობს მას მემკვიდრე.

431. ხალხის მიერ ხატის მსახურთა არჩევის წესი; ეს არჩევა გვარების მიხედვით ხდება, თუ თემისა და გვართა შიგნით მორიგეობის

დაცვით; თუ ამორჩევა გვარების მიხედვით წარმოებს, მაშინ რომელი გვარის კაცებს ამოირჩევენ.

432. როგორ ემზადება ამორჩეული პირი ხატის მსახურის მოვალეობის შესასრულებლად (გარკვეული ხნის განმავლობაში სქესობრივ თავდაჭერილობას იჩენს, ხშირად ბანაობს, „უწმინდურ“ ხალხს და ადგილებს ერიდება, სწავლობს ხატის მსახურის წესებს, — ვისგან სწავლობს ხომ არ ასწავლის მას ხატი სიზმარში და სხვ.).

433. რა ფუნქციები აქვთ დაკისრებული ხატის მსახურებს მათი ურთიერთის მიხედვით, — როგორია მათი როლი და საქმიანობა ხატის მიმართ, დღესასწაულებზე, ავადმყოფებისადმი, დაბადების, მონათვლის, ქორწინებისა და დასაფლავების დროს, როდესაც მოსახლეობას გვალვა ან სხვაგვარი ბუნებრივი მოვლენა აწუხებს, ან საქონლის დაავადების დროს, სახლის მშენებლობის ან განათვლის დროს, მტრებთან ბრძოლა-შერიგების და სხვა კერძო თუ საზოგადო ხასიათის შემთხვევების დროს; ჩაიწერეთ ხატის მსახურთა ლოცვები და სხვადასხვა სასულიერო ტექსტები.

434. როგორ (ყოველდღიურ) ცხოვრებას ეწევიან ხატის მსახურნი, როგორ აფასებენ თავის მოვალეობებს და რა შეხედულებებისაა ხალხი მათზე.

435. ვის უწოდებენ „სულის ხუცს“, „მესულთანეს“ და „მეენეს“; რა ფუნქციები აქვს დაკისრებული თითოეულ მათგანს; როგორ ხდებიან „სულის ხუცად“, „მესულთანედ“ და „მეენედ“; რომელი წრიდან არიან ისინი გამოსული, როგორ კერძო ცხოვრებას ეწევიან, მოსახლეობის შეხედულება „სულის ხუცსა“, „მესულთანესა“ და „მეენეზე“.

436. რა როლს ასრულებს ქადაგი ან მკითხავი ხატის მსახურთა არჩევაში, ქადაგისა და მკითხავის ფუნქციები ხატსა და ხალხში.

437. ხომ არ არსებობს განსაკუთრებული ქადაგის ენა (ჩაიწერეთ ქადაგის საიდუმლო ენის ლექსიკონი), როგორ ხდება გაქადაგება, როგორ უყურებს ხალხი ქადაგსა და მკითხავს.

438. რა ტანისამოსს ატარებს და რა ატრიბუტები ამკობს ჩვეულებრივ და დღესასწაულების დროს ხატის მსახურებს, სულის ხუცს, მესულთანეს, მეენეს, ქადაგსა და მკითხავს, — აღწერეთ დაწვრილებით, ჩაიწერეთ მათი ტანისამოსის, ტანისამოსის ნაწილებისა დ ატრიბუტების ადგილობრივი სახელწოდებანი.

439. რა მოვალეობები აქვთ (თუ ჰქონდა) დაკისრებული მოსახლეობას ხატის მსახურთა მიმართ, — აღწერეთ დაწვრილებით.

440. რა და რა თქმულებებია გავრცელებული პირველი ხატის მსახურის, ქადაგისა და მკითხავის შესახებ, — ვინ იყვნენ ეს პირები (ქალები, კაცები და სხვ.), ვის მიერ იყვნენ დაყენებული, რა მიზნით, რა დააწესა პირველმა ხატის მსახურმა და ქადაგმა და სხვ.

441. თქმულებები საზოგადოდ ხატის მსახურთა, სულის ხუცების, მესულთანეების, მეენეთა და ქადაგ-მკითხავთა შესახებ, — რა ძალა აქვთ, ხომ არ შეუძლიათ უჩინარნი გახდნენ, შეუძლიათ თუ არა პირდაპირ ღვთაებებთან და წმინდანებთან საუბარი, რომელი ღვთაება თუ წმინდანი მფარველობს თითოეულ მათგანს, რა სქესისანი არიან მათი მფარველი ღვთაებები თუ წმინდანები, რა ეწოდება მათ, რა ურთიერთობაში არიან ეს ღვთაებები და წმინდანები ხატის მსახურებთან და ქადაგ-მკითხავებთან, როგორი დამოკიდებულება არსებობს მესულთანე-მეენეებს და მიცვალებულთა სულებს შორის, შეუძლიათ თუ არა ხატის მსახურთ და ქადაგებს ცხოველებად თუ ფრინველებად გადაქცევა და სხვ.

VI. ხალხური კალენდარი

§ 45. თვლის სისტემა

442. როგორი თვლის სისტემა არსებობს — ითვლიან ათობით, ოცობით თუ სხვაგვარად; ლუწი და კენტი — ხომ არ არსებობს სხვაგვარი ტერმინები მათი ცნების გამოსახატავად; მანკიანი და უმანკო, ბედნიერი და წმინდა რიცხვები (3, 9 თუ სხვ.).

§ 46. წელიწადი და წლის დრო

443. როდის იწყება წელიწადი, რასთან არის დაკავშირებული წლის დასაწყისი, ძველად როდის იწყებოდა წელიწადი; წლის ადგილობრივი სახელწოდება.

444. რამდენ დროდ ნაწილდება წელიწადი და რა ეწოდება თითოეულ დროს.

445. მოსახლეობის შეხედულება წლის დროებზე — რომელი დროა უბედური ან სასიხარულო ხალხისათვის და რატომ; ხომ არ მრავლდებიან შემოდგომაზე ან ზამთარში ავი სულები, რა ეწოდებათ ამ პერიოდის სულებს, რა სახისანი არიან, სად ცხოვრობენ და როგორ ცხოვრებას ეწევიან, რით ვნებენ ადამიანს და საქონელს: გაზაფხულ-ზაფხულის სულები, მათი სახელწოდება, გარეგნობა, საცხოვრებელი ადგილი; თქმულებები ავი და მავნე სულების და აგრეთვე კეთილი სულების შესახებ.

446. რა საშუალებას მიმართავენ მავნე სულებისაგან თავისა და საქონლის დასაცავად — ხომ არ იციან განდევნა ანთებული მუგუზლებით ან ხომ არ მოაბნევენ მხვრელებისაგან გაფხვიერებულ მიწას ან აკურე-

ბენ წმინდა წყალს იმ ადგილებს, რომლებსაც ავი სულები დაპატრონებიან; აღწერეთ დაწვრილებით ვინ, სად, როდის (რა დროს) როგორ წესებს იცავს თუ ახრულებს.

§ 47. თვეები, კვირეები, დღეები

447. რამდენი თვეა წელიწადში და რა ეწოდება თითოეულ თვეს; ხომ არ არსებობს წლის სხვაგვარ ნაკვეთებად დანაწილება, რამდენ ნაკვეთად ნაწილდება, როდის იწყება, დროის რომელ სივრცეს შეიცავს და რა ეწოდება თითოეულ ნაკვეთს.

შეამოწმეთ, ხომ არ გაუგონიათ ძველებისაგან თვეების შემდეგი სახელები: აპნისის ანუ აპნის (აპანის) თვე, სარწყუნისი, მარიალისა, მირკანისა, იგრიკისა, ვარდობისა ანუ ყვავილობისა, ქველთობისა, თიბისა, არდადეგისაჲ, ახალწლისაჲ, სთველისა, ტირისკნისა, ტირისდენისა.

448. რა მნიშვნელობას მიაწერენ თითოეულ თვეს, ხომ არ ჰყავს თითოეულ მათგანს თავისი მფარველი ღვთაება ან წმინდანი. ჩამოთვალეთ მათი სახელები.

449. რის მიხედვით და როდის იწყებდნენ ძველად თვეებს. ხომ არ შეეფერებოდა თითოეული თვე იმ დროს, როდესაც მზე ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში იმყოფებოდა და ამისდა მიხედვით თვის დასაწყისი უდრიდა მზის ზოდიაქოს ნიშანში შესვლას, ხოლო დასასრული ამ ნიშნიდან გამოსვლას; ამასთან დაკავშირებით რომელი თვე რომელ ზოდიაქოს ნიშანს შეეფერებოდა და რამდენდღიანი იყო თითოეული თვე.

450. რა არის ბუნიობა ან ხომ არ არსებობს სხვა ტერმინი გაზაფხულისა და შემოდგომის დღე-ღამის გათანაბრების ცნების აღსანიშნავად; რა ეწოდებათ ზამთრისა და ზაფხულის მზის დადეგებს.

451. რა წარმოდგენა არსებობს ზამთარ-ზაფხულის მზის დადეგისა და გაზაფხულ-შემოდგომის დღე-ღამის გასწორების შესახებ; რა იწვევს ამ მოვლენებს და სხვ.

452. რამდენი კვირაა თვეში, ხომ არ არის ხალხში დაცული გადმოცემები იმის შესახებ, თუ რამდენდღიანი იყო ძველად თითოეული კვირა (ხუთდღიანი, ათდღიანი თუ სხვ.).

453. ხომ არ არსებობს კვირის აღმნიშვნელი განსხვავებული ტერმინი (მაგალითად, სვანურად შვიდეულს ეწოდება „ნაგზი“, მაგრამ არის კიდევ სხვაგვარი კვირა, რომელსაც „მიშ“-ს ანუ „მჭშ“-ს ეძახიან).

454. რამდენი დღეა კვირაში სამუშაო და რამდენი უქმე; როგორ უქმედ ითვლება ეს დღეები (მძიმე თუ მსუბუქი უქმეები), რა სახის სამუშაოს გაკეთებაა აღკვეთილი და როგორი საქმიანობაა ამ დღეებში დასაშვები (ხარს არ შეაბავენ, მიწას არ გადააბრუნებენ, კარ-მიდამოს ფარგლებში ყველაფრის გაკეთება შეიძლება, ხოლო ყანაში და ტყეში სამუშაოდ ვერ გავლენ, ან შეიძლება სამშენებლო მასალის მოზიდვა,

საკირის დადგმა, სახლის მშენებლობა, მაგრამ ყანაში ვერ გაველენ და სხვ.), რით არის ეს უქმეები გამოწვეული, ვინ დააწესა, რა მნიშვნელობას მიაწერენ ამ უქმეების გატეხას და სხვ.

455. კვირეების მფარველი ღვთაება თუ წმინდანი და მისი სახელწოდება.

456. რიმელი დღიდან იწყება კვირა; ხომ არ იწყებოდა ძველად კვირა დღევანდელთან შედარებით განსხვავებულ დღეს (სახელდობრ, რომელი დღით იწყებოდა); დღეების სახელწოდება.

შეამოწმეთ, ხომ არ გაუგონიათ დღეების შემდეგი სახელწოდებანი: საუფლო ანუ მზის დღე, მთვარისა, არიასი ანუ მარიხისა, ერმისა ანუ ოტარიდისა, აფროდიტისა ანუ ასპიროზისა, დიოსისა ანუ მუშთარისა, კრონოსისა ანუ ზუალის დღე.

457. დღეების მნიშვნელობა — რომელ დღეს რისი გაკეთებაა კარგი თუ ცუდი (ხვნა-თესვა, მკა, თიბვა, ლეწვა, რთველი, ხორბლის გარეცხვა, დაფქვა, კრუხის დასმა, მატყლის დართვა და სხვაგვარი ქალის ხელსაქმე, თმის დავარცხნა, თავის დაბანა, სამგზავროდ წასვლა და სხვ.) და რომელ დღეს რისი გაცემა არ ვარგა (ფქვილის, მარილის, ცეცხლის და სხვ.).

458. შვიდეულის რომელი დღე რომელ მნათობთან, ღვთაებასთან თუ წმინდანთან არის დაკავშირებული (მაგალითად, სვანეთში კვირა მზისა და ამავე დროს ხოშა-ღვრბეთ'-ის დღეა, ხუთშაბათი ლამარია'-ს დღეა და სხვ.)..

459. რითი გამოჰყოფს ხალხი ასეთ დღეებს დანარჩენებისაგან — უქმობენ ან განსაკუთრებულ რიტუალს ასრულებენ თუ სხვ.

460. ხომ არ იციან გარკვეული სამუშაოს აღკვეთა წლის ამა თუ იმ პერიოდში: რომელ სამუშაოს როდის და რა ხნის განმავლობაში აღკვეთავენ, ვინ აღკვეთავს ამ სამუშაოს — ესა თუ ის გვარი ან გვარის განშტოება გარკვეულ (და სახელდობრ რომელ) დღეებს, თუ მთლიანად თემი, სოფელი ან მხოლოდ ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლები, ან ხატის მსახურნი თუ სხვა ერთსა და იმავე დღეებს, რა მიზნით ან რა მიზეზის გამო ხდება ეს აღკვეთა.

461. ხომ არ იციან გარკვეულ დღეებში თუ შვიდეულში სამეურნეო და საომარი იარაღების შეკვრა დ გადამალვა; როდის სრულდება ეს წესი, ვის მიერ, რა მიზეზით და რა მიზნით*.

---

* ავტორის შედგენილ შინაარსში პარაგრაფები 48—54-ის ჩათვლით მითითებულია, მაგრამ შესატყვისი მასალა ე. ბარდაველიძის არქივში არ აღმოჩნდა. აღნიშნული პარაგრაფები მოიცავს კითხვარებს 462—475-ის ჩათვლით. მიუხედავად მრავალგზის ცდისა მათი აღდგენა ვერ მოვახერხეთ.

ავტორისეული ტექსტი უცვლელად გვაქვს წარმოდგენილი, ამიტომ ამ ხარვეზის მიუხედავად საჭიროდ ჩავთვალეთ პარაგრაფებისა და კითხვარების ნუმერაცია გაგვეგრძელებინა და დაგვეტოვ ეს შენიშვნა (რედაქტორი ჯ. რუხაძე).

VII. დღესასწაულები

ა) ზოგადი ნაწილი

476. დღესასწაულის ადგილობრივი სახელწოდება თუ სახელწოდებანი. ზოგი დღესასწაული რამდენიმე სახელწოდებით მოიხსენიება (მაგალითად, სვანეთში ბალს-ქვემოთ ერთსა და იმავე დღესასწაულს ორი სახელი ჰქვია: „ნალტეხუ“ („კუიდრიშობ“). ამგვარ შემთხვევებში მთავარი სახელწოდება უნდა გამოიყოს დანარჩენების ფრჩხილებში ჩასმით მსგავსად შემდეგი მაგალითებისა: „ნალტეხუ“ („კუიდრიშობ“).

აღნიშნული შემთხვევების გარდა, ხშირად ერთსა და იმავე დღესასწაულს სხვადასხვა თემში (ხევში თუ საზოგადოებაში) სხვადასხვა სახელი ეწოდება და ან, დიალექტიკური სხვაობით თუ სხვა მიზეზებით, მისი სახელწოდება სხვადასხვაგვარად გამოითქმის (მაგალითად, სვანეთში ერთსა და იმავე დღესასწაულს ეწოდება: ბალსქვემოურად „ლიჩედურალ“, ბალსზემოურად და ქვემოსვანურად კი „ლიმპარიელ“; ან კიდევ ახალწელიწადს ეძახიან: ბალსქვემოურად „კანდა“, ბალსზემოურად და ჩოლურისა და ლაშხეთის საზოგადოებებში „ზოშხა“, ხოლო ლენტეხის საზოგადოებაში „კალანდა“ ანუ „ლიჭშხიელ“). რამდენადაც ამ სხვაობის დადგენა სხვადასხვა თემებში მუშაობას მოითხოვს, ამდენად ამ საკითხის დამუშავება აღმწერელს არ მოეთხოვება. მაგრამ, თუ მან შეძლო ამგვარი ცნობების მიღება თავის სამუშაო რაიონის ფარგლებში, სასურველია ეს მასალა აღნიშნოს შენიშვნაში დამატების სახით.

477. დღესასწაულის დრო; თუ მოძრავი დღესასწაულია, აღნიშნეთ რასთან არის დაკავშირებული. საიდან გამოითვლება და რომელ დღეს მოდის: თუ მყარი დღესასწაულია, — აღნიშნეთ როდის მოდის (თვე და რიცხვი).

478. დღესასწაულის ხანიერება, — რამდენ ხანს გასტანს ხოლმე (ერთი დღე, ორი-სამი დღე, ერთი კვირა, ორი-სამი კვირა, ერთი თვეზუთი კვირა თუ მეტი).

479. რომელ სამეურნეო თუ სხვა საქმიანობასთანაა დღესასწაული დაკავშირებული, — კარგი წელიწადისათვის, თემის (საზოგადოების თუ ხევის), სოფლის, გვარის, თუ გვარის შიგნით არსებული ნათესაური დაჯგუფების, ან პროფესიულ, სქესობრივ-ასაკობრივ თუ სხვა ხასიათის დაჯგუფებისა და ან ოჯახის კეთილდღეობისათვის, ან პირველად ხვნის დაწყებასთან, მოსავლის დამწიფებასთან, მოსავლის აღებასთან დაკავშირებით, გვალვის, წვიმიანობის თუ სეტყვის საწინააღმდეგოდ, პირველად საზაფხულოდ საქონლის მთაში გარეკვასთან დაკავშირებით, წვრილფეხა, მუშა ან მეწველი საქონლის გამრავლებისათვის, სხვადასხვა (და სახელდობრ რომელი) ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ (მა-

გალითად, საქონელს რომ მუცელი არ შემოებეროს (სვანური „ლიბეღლხენ"), ქეცი რომ არ გაუჩნდეს (სვანური „ხუარცობ"), პურეულს რომ სარეველა არ მოერიოს, ან თავთავები არ დაუცარიელდეს, მღრღნელი არ გაუჩნდეს (სვანური „მუკუკაჭენქა"), თვალების ტკივილის საწინააღმდეგოდ (სვანური „თერალღა"), ავიზნის საწინააღმდეგოდ (სვანური „ბღნაბხენქა") თუ სხვა.

480. რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე იმართება დღესასწაული, ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ დღესასწაულზე უმთავრესად.

რა ძალის შქონია მოსახლეობის წარმოდგენით ეს ღვთაება თუ წმინდანი, რომელ დღესთან არის დაკავშირებული მისი სახელი (მაგალითად, სვანეთში ლამარია დაკავშირებულია ხუთშაბათთან, ხოშალერმეთ-ი კვირასთან და სხვ.); ხომ არ წარმოადგენს ეს ღვთაება თუ წმინდანი ბუნების რომელიმე მოვლენის განსახიერებას, ან ხომ არ უკავშირებს მას ხალხი მზეს, მთვარეს, რომელიმე სხვა ცთომილს, ან ვარსკვლავს, ან ბუნების რომელიმე მოვლენას — ჰექა-ქუხილს, სეტყვას, ქარს, ნისლს, ზვავს და სხვ., ცეცხლს, ან ტყეს, კლდეს, მთის გადასავალს, ან საბლის საძირკველს, თავხეს, ან საქონელს, ნადირს, ფრინველს, ქვეწარმავალსა და სხვ.

რისი, ან ვისი მფარველია ეს ღვთაება თუ წმინდანი უმთავრესად — მიწის მოსავლის, საქონლის, ნადირის, კერიის ან მონადირის, მეფუტკრის, მჭედლისა და სხვ. ან ქალების, კაცების, ბავშვების, ან შვილიერების თემის (საზოგადოების, ხევის), სოფლის, გვარის თუ სხვ.

რას მოითხოვს ის ხალხისაგან ყველაზე მეტად, როგორ ეპყრობა მოსახლეობას (ლმობიერია თუ მრისხანე), რა სახისაა და სხვ.

რა ეპითეტებით მოიხსენიებენ მას (მაგალითად, ხევსურეთში: „გირგი ნალვარში მაბურთალი". „ქილდის-გორ ზღუბლის ანგელოზი", „ქვაბ საკიდელის ანგელოზი", „მიწის მინდვრის ანგელოზი" და სხვ.; მთიულეთში: „პირიმზე ფუძის ანგელოზი", „დიდწვერის ანგელოზი", „ზანდუკის მთავარ ანგელოზი", „გმირი კოპალე" და სხვ.; ქართლში: „სარკის წმინდა გიორგი", „თეთრი გიორგი" და სხვ.; სვანეთში: „ჯგ რაგ ბოგეში", „მგერი ლამარია", „ჯგგრაგ ბალაშ", „ზაგრი მაცხუარ", „ლალრალაშ თარგლეზერ". „მაშენა ფუსნა ბუასდია" და სხვ.).

რა თქმულებებია გავრცელებული ამ ღვთაებისა თუ წმინდანის შესახებ, — ჩაიწერეთ მათი შინაარსი.

481. დღესასწაული საოჯახოა. თუ სატომო, სათემო, სასოფლო, საგვარო, ან სოციალურ-რელიგიური, პროფესიული თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფებისა.

ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი ერთეულებისაგან (ოჯახი, ტომი, თემი, სოფელი და გვარი) გამოყოფილია ე. წ. სოციალურ-რელიგიური, პროფესიული და სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფებები.

სოციალურ-რელიგიურ დაჯგუფებებში იგულისხმება, ერთი მხრივ, შედარებით მყარი და მუდმივი ხასიათის საზოგადოებრივი ერთეულები და მეორე მხრივ, ისეთები, რომლებიც თავს იჩენენ უმთავრესად რელიგიური დღესასწაულების დროს. პირველი კატეგორიის ჯგუფებია გვარების განშტოებანი რომლებსაც სვანეთში „საძმოებს“ („ლაბ̌ხუბ“-ს ანუ „სამხუბ“-ს) ეძახიან. ამგვარი საძმოების არსებობა დაშოწმებულია სვანეთის გარდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც (რაჭისათვის, მაგალითად, ერთ-ერთი გვარის — გობეჯიშვილის საძმოებია: შალიკიანი, ერმილეენი, ჯოჯოენნი და სხვ.; მთიულეთში, მაგალითად, ჩოხელის გვარის საძმოებია: ლაზარიანი, შეღლიანი და სხვ.; თუშეთისათვის — ქააძის გვარში: ეჩუნაიძე, დადაძე, კუკალაიძე და სხვ.). მეორე კატეგორიის ჯგუფებს ეკუთვნიან: 1) ხატის მსახურნი, 2) საგვაროვნო ხატების წარმომადგენლები, რომლებსაც ხევსურეთში „ხატის ყმები“, ხოლო სვანეთში „ხატის კაცები“ („ლახ̌ამი მ̌არ̌ალ“) ეწოდება, 3) გვარის თუ სხვადასხვა გვართა წარმომადგენლების გაერთიანება (სვანური „ლასკარ“), 4) უმთავრესად ორი ოჯახის გაერთიანება (სვანური „ლეჩედ-მეჩედ“ და სხვ.), 5) რამდენიმე თემისა და 6) რამდენიმე სოფლის გაერთიანება.

პროფესიულ დაჯგუფებაში იგულისხმება ცალკე მესაქონლეთა (მწყემსების), მიწის მოქმედთა, მონადირეების, მეფუტკრეების, მჭედლებისა და სხვ. ცალკეული დარგის წარმომადგენელთა გაერთიანება დღესასწაულზე.

ხოლო ცალკე კაცების, თუ ქალების, ან მხოლოდ მოხუცების, ახალგაზრდების, ან ბავშვების გაერთიანება დღესასწაულზე მიეკუთვნება ე. წ. სქესობრივ-ასაკობრივ დაჯგუფებებს.

482. რომელი თემი (ხევი თუ საზოგადოება), სოფელი, გვარი, ან სოციალურ-რელიგიური, თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფებანი იხდიან ამ დღესასწაულს (აღნიშნეთ დღესასწაულში მონაწილე თითოეული გაერთიანების სახელწოდება).

საორიენტაციოდ მოგვყავს მაგალითები, რომლებიც ითვალისწინებენ ჩამოთვლილი საზოგადოებრივი ერთეულების დღესასწაულებს სვანეთში: 1) „ლილშუმ“-ი სათემო დღესასწაულია. რამდენადაც თემს (ხევს თუ საზოგადოებას) სვანები უწოდებენ „სოფელ“-ს, ამდენად აღნიშნულ დღესასწაულში გაერთიანებულ საზოგადოებრივ ერთეულს, მაგალითად მესტიისას, ეწოდება „მესტია სოფელ“, 2) „ლიქურეშ“-ი საგვაროვნო ხატების წარმომადგენელთა დღესასწაულია და მესტიის საზოგადოებაში ამ დღესასწაულის გადამხდელებს ეწოდება „თარინგზელი მ̌არ̌ალ“, 3) „უფლიშიერ“-ს დღესასწაულობენ სხვადასხვა გვარებიდან შემდგარი ჯგუფები. ლენჯერის საზოგადოებაში ასეთი ჯგუფებია: „ბიჭოშა ლასკარ“, „მგქაშა ლასკარ“, „დუდაშა ლასკარ“, „ხატროშა

ლასკარ"..., 4) „ლიმპარიელ"-ის დღესასწაულში ერთიანდება ორი ან მეტი ოჯახი ლატალის საზოგადოებაში ამგვარ გაერთიანებებს ეწოდება „ლეჩედ-მეჩედ".

483. რამდენი კომლისაგან და რომელი გვარებისა თუ ოჯახებისაგან შედგებიან დღესასწაულში გაერთიანებული სოციალურ-რელიგიური დაჯგუფებები.

მაგალითები პასუხისათვის: 1) მესტიის საზოგადოებაში დღესასწაულ „ლილშუმ"-ში გაერთიანებულ „თვრინგზელი მარე"-ებს შეადგენენ მარგიანისა და გოშთელიანის გვარები. ეს ორი გვარი მესტიაში ამჟამად ათ-ათი მოსახლეა. 2) დღესასწაულ „უფლიშიერ"-ში ლენჯერის საზოგადოების „ლასკარ"-ებიდან: „ბიჭოშა ლასკარ"-ში გაერთიანებულია სულ ექვსი მოსახლე; აქედან სამი მოსახლე ნავერიანის გვარისაა და სამი — მერლანის გვარისა. „მგჭაშა ლასკარ"-ში ოთხი მოსახლეა, რომელთაგან სამი მოსახლე გერლიანიადა ერთი — მაღედანი. „დუდაშა ლასკარ"-ი აერთიანებს სამ მოსახლეს — ორი ფილფანის გვარისაა და ერთი — ჯაფრანის გვარისა. „ნატროშა ლასკარ"-შიც სამი მოსახლეა — ერთი შუკვანი, ერთი უდესიანი და ერთი ხორგვანი. 3) ლატალის საზოგადოებაში დღესასწაულ „ლიმპარიელ"-ის დროს ცოცდებიან სოფელ ჟენაშში მცხოვრები ფარჯიანის და წერედიანის გვარების ოჯახები.

ფარჯიანის X (ოჯახის უფროსის სახელი) ოჯახი გაერთიანებულია წერედიანების X (ოჯახის უფროსის სახელი) ოჯახთან... როგორც პირველ, ისე მეორე ოჯახში ათ-ათი სულია...

484. რომელი პროფესიული დაჯგუფება იხდის დღესასწაულს (მჭედლები თუ სხვა).

485. რომელი სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება იხდის დღესასწაულს — ცალკე კაცები, ქალები, ან მხოლოდ მოხუცები, ახალგაზრდობა თუ ბავშვები.

(მაგალითად, სვანეთში იფარის და ზოგიერთ სხვა საზოგადოებებში დღესასწაულ „ლითრდრი"-ს იხდიდა ახალგაზრდობა — გოგონები და ვაჟები; დღესასწაულ „ყორ-ლიკრშლ"-ს, რომელიც მხოლოდ ბალსზემოურებმა იცოდნენ, იხდიდნენ მხოლოდ მანდილოსნები მამაკაცებისაგან დაფარულად და სხვ.).

486. თქმულებები დღესასწაულში გაერთიანებული თემის, სოფლის, გვარის, ან სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფებებისა და მათი გაერთიანების წარმოშობის შესახებ (როგორ წარმოიშვა, როდის წარმოიშვა და სხვ.).

487. დღესასწაულის შესახებ მოსახლეობაში დაცული თქმულებები. — დღესასწაული გადმოტანილი ხომ არ არის სხვა მხრიდან, ან რომელიმე ისტორიულ თუ ლეგენდარულ ფაქტთან ხომ არ არის დაკავ-

შირებული, როდის და რა მიზეზით დაწესდა ეს დღესასწაული, ვინ დააწესა და სხვ.

(მაგალითად, სვანეთში გავრცელებული თქმულებებით, დღესასწაული „აღბალაღრვად“ გადმოტანილია კახეთიდან. დღესასწაული „უფლიშიერ“-ი დიდი ჟამიანობის დროს ამ სენის თავიდან ასაცილებლად ბალსქვემოურებმა დააწესეს და სხვ.).

ბ) წინასწარი სამზადისი დღესასწაულისათვის

488. რა ეწოდება დღესასწაულის წინა დღეს, უქმობენ თუ არა ამ დღეს, — დღის რომელი მომენტიდან დაიუქმებენ და რომელი თუ როგორი საქმის მიმართ ხდება დაუქმება.

489. როდის იწყება წინასწარი სამზადისი დღესასწაულისათვის, — შემოდგომაზე, ზამთარში... რომელიმე გარკვეული დღიდან, ან წინა რომელიმე დღესასწაულიდან... და რა ეწოდება ამ დროს თუ დღეს.

490. ხომ არა ჰყავთ დღესასწაულზე გაერთიანებულ ჯგუფებს თავისი წარმომადგენელი, რომელსაც განსაკუთრებული მოვალეობა აკისრია დღესასწაულისა და დღესასწაულზე გაერთიანებული დაჯგუფების წინაშე და რა ეწოდება ამ პირს.

(მაგალითად, სვანეთში ამგვარ პირებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ იმისდა მიხედვით, თუ რომელი დღესასწაულის დაჯგუფების წარმომადგენელი იყო ეს პირი. ეს სახელებია: „ლიმქჯფ“, „მოლქორეშ“, „ფუსნა მუზჯრა“, „მულშეემ“, „შოლშა მგჩმე“, „ლიტმგლი მგჩმე“, „მგტბილ“ და სხვ.).

491. რა წესითა და რა საშუალებით ხდება მოდღესასწაულე ჯგუფის წარმომადგენლის, თუ წარმომადგენელთა გამოყოფა, — უბრალო დასახელებით, კენჭის ყრით, თუ მისი მოვალეობანი მორიგეობით სრულდება ჯგუფის შიგნით მისი წევრების მიერ.

492. თუ ამ წარმომადგენლის ამორჩევა უბრალო დასახელებით ხდება, მაშინ ვის და როგორ პირს თუ პირებს ამოირჩევენ, — საპატიო მოსახლეს, ხნოვანებით უფროსს, გარკვეული (და სახელდობრ რომელი) გვარის წარმომადგენელს თუ გაგებულსა და გამჭრიახ ადამიანს; ამოირჩევენ თუ არა ქალებსაც, — ვის და რა ხნოვანების ქალებს ირჩევენ.

493. რამდენი ხნით ირჩევენ იმ პირს, თუ პირებს, — დღესასწაულის ჩატარებამდე, რამდენიმე (და სახელდობრ რამდენი და რომელი) დღესასწაულისათვის თუ სხვ.

494. ხდება თუ არა მისი (მათი) გადარჩევა, ან გადაყენება, — როდის, რა შემთხვევებში და რა მიზეზით გადაირჩევენ თუ გადააყენებენ მას (მათ).

495. როდის (რომელ დღეს) და სად (რა ადგილას) ხდება ამ პირის თუ პირების ამორჩევა, — ეკლესიის გალავანში, ხატის კართან, წმინდა ხესთან, თემის (ხევის თუ საზოგადოების), ან სოფლის, თუ უბნის მოედანზე (რა ეწოდება ამ ადგილს), კერძო ოჯახში, თუ სხვაგან, (თუ ამორჩევა კერძო ოჯახში ხდება, მაშინ დაასახელეთ ამ ოჯახის გვარი და აღნიშნეთ, რა ურთიერთობაშია ეს ოჯახი მოდღესასწაულე ჯგუფთან; შენიშვნაში შეიტანეთ კიდევ რა საზოგადო ხასიათის წესები სრულდება ამ ოჯახში და რა მიზეზით ხდება მათი ამ ოჯახში შესრულება).

496. რა მოვალეობა აქვს დაკისრებული კოლექტივის წარმომადგენელს დღესასწაულისათვის წინასწარ სამზადისში, ხომ არ ეკალება მას კოლექტივის შიგნით საზოგადო-სადღესასწაულო სამსხვერპლო საკლავის გამოხრჩევა, მისი მოვლა-პატრონობა, გამოკვება და სხვ., ან დაჯგუფების წევრებისაგან საერთო ფქვილის, ხორბლის, რძის პროდუქტებისა თუ სხვა შესაწირავების შეგროვება, ან სადღესასწაულო არყის, ლუდის თუ სხვა მაგარი სასმელის გამოხდა.

497. რომელ და როგორ შესაწირავს გამოჰყოფს დღესასწაულისათვის თემი, სოფელი, გვარი, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება, ავადმყოფის (რა სენით დაავადებულისა რომელ და როგორ შესაწირავს), მშობიარის, უშვილოს, ხატის, თუ დღესასწაულის სახელზე შეთქმულის. ან მიცვალებულის, ოჯახი ან უცხო თემში გათხოვილი ქალი თუ სიძის ოჯახი და სხვ.

498. ხომ არ იციან წინასწარ დღესასწაულისათვის ხორბლეულის შეწვილი თავთავების, ლეწვის დროს პირველი კალოს ხორბლის თუ საუკეთესო ფქვილის შერჩევა-გადანახვა და რა ეწოდება ამ სადღესასწაულო შესაწირავს.

(მაგალითად, სვანეთში შესაწირავი ფქვილის სახელები იყო: „ტაბელ", „უფლიში ტაბგლ", ანუ „ხოშა თანფა გუჩზ", „ლალჩა გუჩზ", „ლამარია გუჩზ" და სხვ.).

499. ხომ არ არსებობს საზოგადო მიწა, რომლის მოსავალი დღესასწაულს ხმარდება, — რა ეწოდება დღესასწაულისათვის განკუთვნილ საზოგადო მიწას.

(მაგალითად სვანეთში, მესტიის საზოგადოებაში, დღესასწაულ „ლითრდრი"-სათვის განკუთვნილ მიწას ეწოდებოდა „კჯჩალ", დღესასწაულ „ჰგლიშ"-ისათვის განკუთვნილს — „ლეჰგლიშ დაბ", „თუეთნეფხუ"-სათვის განკუთვნილს — „ლეფხუ" და სხვ.

რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზეა განკუთვნილი ეს საზოგადო მიწა.

(მაგალითად, სვანეთში „კჯჩალ"-ები განკუთვნილი იყო ჯგრაგ'-ის სახელზე, „ლეფხუ" — მახკუარ'-ის სახელზე, „თარინგზელი დაბ" —

თარინგზელ'-ის სახელზე, „ლამარია დაბ" — ლამარია'-ს სახელზე და სხვ.).

კოლექტიურად ამუშავებენ ამ მიწას, თუ მისი დამუშავება ცალკე პირსა აქვს დავალებული, — რამდენი ხნით გადასცემენ ამ პირს საზოგადო მიწას დასამუშავებლად, როდის და როგორ ხდება ამ მიწის გადაცემა (ხომ არ სრულდება ამ დროს რაიმე რიტუალი, — როგორ სრულდება, ვინ ასრულებს, რა ეწოდება ამ რიტუალს და სხვ.), რა პირობით გადაეცემა და რა ეწოდება საზოგადო მიწის დამმუშავებელ პირს.

რას სთესავენ საზოგადო მიწაზე (ქერს, პურს, თუ სხვა ხორბლეულს) და რა რელიგიური თუ მაგიური წესები სრულდება ამ მიწის დამუშავების. მოსავლის აღების და მისი დანაწილება-შენახვის დროს (აღნიშნეთ ამ წესების ადგილობრივი სახელწოდება).

საზოგადო მიწის მოსავალი მთლიანად დღესასწაულს მოხმარდება, თუ არა. — რა ეწოდება დღესასწაულისათვის განკუთვნილი საზოგადო მიწის მოსავალს, ან ამ მოსავლის ნაწილს, რომელიც დღესასწაულზე ეწირება; ვის ჩაბარება, ან რაში და როგორ მოიხმარება საზოგადო მიწის მოსავლის დანარჩენი ნაწილი.

500. ხვარდება თუ არა საზოგადო დღესასწაულს სახატო მიწების მოსავალი და თუ ხმარდება. რა სახით (მისგან სადღესასწაულო პურებს გამოაცხობენ. არაყს ან ლუდს გამოხდიან თუ სხვა).

501. რა წესით ხდება დღესასწაულისათვის განკუთვნილი ხორბლეულის თუ ფქვილის გამოყოფა, — თითოეული ოჯახი ცალკე გამოიღებს მას, ოჯახების ცალკეული წევრების მიერ გამოიყოფა. მისი გამოყოფა მორიგეობით წარმოებს თემის, სოფლის, გვარის, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული ან სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფების შიგნით თუ სხვანაირად.

502. სრულდება თუ არა რაიმე რიტუალი ამ შესაწირავების გამოყოფის დროს, — რა სახისაა ის, რა ლოცვები წარმოითქმის ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები), რომელ ღვთაებებს თუ წმინდანებს ახსენებენ, ვინ არის რიტუალის მთავარი შემსრულებელი, რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი, რა ეწოდება ამ რიტუალს თუ მისი შესრულების დღეს.

503. ვისთან, სად და რაში ინახავენ დღესასწაულისათვის გამოყოფილ ხორბალს ან ფქვილს, — ხატის ბეღელში, მოდღესასწაულე ჯგუფის წარმომადგენელი თუ თითოეული ოჯახი თავ-თავის სახლში, მარანში თუ სხვაგან (აღწერეთ შესაწირი ჰურჰელი, აღნიშნეთ მისი სახელწოდება და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ მისი სურათი).

504. თუ ხორბალი მაგარი სასმელის გამოსახდელად არის გამოყოფილი, მაშინ რომელ მაგარ სასმელს გამოხდიან (არაყს, ლუდს, რანგს

თუ სხვ.) და როდის ხდება მისი გამოხდა (დღესასწაულამდე ერთი კვირის წინ, გარკვეულ დღეს თუ დღეებში).

505. სად ხდება სადღესასწაულო არაყის, ლუდის, რანგის, თუ სხვა მაგარი სასმელის გამოხდა, რა ეწოდება ამ ადგილს თუ შენობას. (მაგალითად, ხევსურეთში სადღესასწულო ლუდს ხატის „საქვაბეში" გამოხდიდნენ).

აღწერეთ დაწვრილებით და თუ შესაძლებელია ფოტოგრაფიულადაც გადაიღეთ ის ადგილი თუ შენობა, სადაც ხდება სასმელის გამოხდა.

506. სადღესასწაულო მაგარი სასმელის გამოხდის წესი. — აღწერეთ როგორ გამოხდიან ამ სასმელს რა ჭურჭელს, საწყაობს და იარაღებს ხმარობენ ამ დროს (დაასახელეთ მათი ადგილობრივი სახელწოდება და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ თითოეული მათგანი), რას ხმარობენ საწვავ მასალად (წივას, შეშას თუ სხვას), რომელი ხის ჯიშის შეშას ხმარობენ), ვინ გამოხდის სასმელს, რა ეწოდება ამ პირს თუ პირებს, რა რიტუალი სრულდება ამ დროს, რა ლოცვებს წარმოსთქვამენ (ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები), ვის, რომელ ღვთაებას, თუ წმინდანს მიმართავენ და სხვ.; სადღესასწაულო სასმელის ადგილობრივი სახელწოდება.

507. რომელ და როგორ სამსხვერპლო საქონელს გამოჰყოფენ წინასწარ დღესასწაულისათვის, — ღორს (ნეზვს თუ ტახს), თხას, ცხვარს, ძროხას, ხარს — ახალგაზრდას, მუშას თუ ბებერს ან სხვა.

508. რა ნიშანი უნდა ჰქონდეს სამსხვერპლოდ განკუთვნილ საქონელს და სად, რა ადგილას (შუბლზე, გულზე, ბეჭზე თუ სხვაგან), ან რა ფერისა უნდა იყოს სამსხვერპლო საქონელი; ხომ არ გაუკეთებენ დღესასწაულისათვის გამოყოფილ საქონელს ხელოვნურ ნიშანს, — რა ნიშანს გაუკეთებენ; როდის, ვის მიერ და როგორ უკეთდება ეს ნიშანი, რა ადგილას გაუკეთებენ და რა მნიშვნელობას მიაწერენ.

(მაგალითად, სვანეთში დღესასწაულ „ზომხა"-სა და „მეისარაბ"-ისათვის სამსხვერპლო ღორების გამოყოფის დროს ოჯახის უფროსი კუდის წვერს შეაჭრიდა მათ და ამით დანიშნავდა დანარჩენი ღორებისაგან გამოსარჩევად).

509. ვინ გამოჰყოფს და რა წესით ხდება სადღესასწაულო სამსხვერპლო საქონლის გამოყოფა, — თითოეული ოჯახი ცალკე სამსხვერპლოს გამოჰყოფს, ოჯახების ცალკეული წევრების მიერ გამოყოფა (მაგალითად, სვანეთის ზოგიერთ საზოგადოებებში დღესასწაულ „ზომხა"-სათვის თითოეულ წელიწადს თითო რძალი საკუთარი ქონებიდან გამოჰყოფდა სამსხვერპლო ღორს ქმრის ოჯახისათვის) მისი გამოყოფა მორიგეობით ხდებოდა თემის, სოფლის, გვარის ან სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, თუ სქესობრივ ასაკობრივი ჯგუფის

შიგნით, თუ არა; ხომ არ ხდება სამსხვერპლოს შერჩევა მოსახლეობაში და ამორჩეულის უსასყიდლოდ ჩამორთმევა მესაკუთრისათვის.

510. როგორი რელიგიური თუ მაგიური წესები სრულდება სამსხვერპლოს გამოყოფის დროს, ვინ ასრულებს და რა ეწოდება ამ წესებს.

511. გამოუცვლიან თუ არა სახელს სადღესასწაულოდ გამოყოფილ საქონელს და რას უწოდებენ მას.

(მაგალითად, სვანეთში, იმისდა მიხედვით თუ რომელი დღესასწაულისათვის არის განკუთვნილი ესა თუ ის სამსხვერპლო, მას სხვადასხვა სახელი ეწოდება: „ლექრისდეშ", „ზომხაჲ" ანუ „ლეზრმახ", „ფუსნა ჯან" ანუ „ლეუფშლიშ", „გურკა", „უებშაჲ", „ყუიყ" და სხვ.).

512. როგორ უვლიან სადღესასწაულო საქონელს, სად ათავსებენ, ცალკე აბამენ თუ სხვა საქონელთან ერთად, რითი კვებავენ, რა რაოდენობის საკვებს უყრიან და დღეში რამდენჯერ აჭმევენ, ამუშავებენ თუ არა, ვის და ოჯახის რომელ წევრს ევალება ამ საქონლის უშუალო მოვლა-მეთვალყურეობა და რა ეწოდება ამ პირს.

(მაგალითად, სვანეთში საზოგადო დღესასწაულისათვის გამოყოფილ სამსხვერპლოს, როდესაც ის მოდღესასწაულე კოლექტივისაგან საერთო საფასურის შეგროვების შედეგად იყო გამოყოფილი, ამ სამსხვერპლოს გარკვეულ ვადამდე ინახავდა და კვებავდა სამსხვერპლოს გამომყიდველი; შემდეგ ის მიჰყავდა კოლექტივის წარმომადგენელს და დღესასწაულამდე თვით პატრონობდა, ხოლო საკვებს მას კოლექტივის წევრები აძლევდნენ (ერთ „ლაშიყ" თივას კოლექტივის თითოეული ოჯახი). სხვა შემთხვევებში კოლექტივის წარმომადგენელი საკუთარი ქონებიდან კვებავდა სამსხვერპლოს. საოჯახო დღესასწაულებისათვის გამოყოფილი სამსხვერპლოს მოვლა და კვება მინდობილი ჰქონდა ოჯახის გარკვეულ პირს, რომელსაც ეწოდებოდა „მენენ", ანუ „მგზნნი", ან ოჯახის უფროსს — ქალს ე. წ. „შერბიელ"-ს, ან უფროსს კაცს „ხოშა მარე"-ს ანუ „მახუშ"-ს. სამსხვერპლოდ გამოყოფილ საქონელს ცალკე ათავსებდნენ და განსაკუთრებით კვებავდნენ და უვლიდნენ. თუ ის ხარი იყო, ამორჩევის დღიდან მას უღელს აღარ დაადგამდნენ და სხვ.).

513. ხომ არ წვრთნიან სამსხვერპლო საქონელს დღესასწულზე საპეტრაოდ, — როგორ წვრთნიან, რა ხერხებს ხმარობენ ამ დროს, ვინ არის მწვრთნელი და რა ეწოდება ამ პირს.

514. შეიძლება თუ არა დღესასწაულის (ან ხატის) სახელზე გამოყოფილი საქონლის, თუ სხვა სახის შესაწირავის გაყიდვა ან მზითვად გატანება, — რა სახის შესაწირავის გაყიდვა შეიძლება და როგორ შემთხვევებში.

515. ხომ არ არსებობს სამსხვერპლო საქონლის დაკვლის წესი დღესასწაულამდე, — სახელდობრ როდის, რა დღეს და დღის რომელ

მონაკვეთში დაკლავენ მას (დღესასწაულის წინა ღამით, გარკვეულ დღეს, გათენებამდე, ბზის ჩასვლის შემდეგ, თუ სხვ.).

516. თუ მიღებული წესის გარეშე ხდება სამსხვერპლოს დღესასწაულამდე დაკვლა, მაშინ აღნიშნეთ რა შემთხვევებში და რა მიზეზით კლავენ მას.

517. ინახავენ თუ არა წინასწარ დაკლულ საშსხვერპლოს ხორცს დღესასწაულისათვის, — მთლიანად შეინახავენ, თუ მხოლოდ მის ნაწილს, სახელდობრ რომელს, რა სახით (დაშაშხულს, დამარილებულს თუ სხვ.) და სად ინახავენ მას; ხომ არ სრულდება რაიმე რიტუალი, ხომ არ წარმოსთქვამენ ლოცვებს მის შენახვის დროს (აღწერეთ რიტუალი და ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტი).

518. ხომ არ გამოჰყოფენ წინასწარ დღესასწაულისათვის რძეს, ან რძის პროდუქტებს, რა სახის რძის პროდუქტებს გამოჰყოფენ (ყველს, კარაქს, ერბოს თუ სხვ.); ხომ არ იციან ორშაბათობით, ან სხვა გარკვეულ დღეებში ამოღებული ყველის დაგროვება, — ვინ აგროვებს მას (მხოლოდ ქალები, მწყემსები თუ სხვ.), ხომ არ სრულდება რაიმე რიტუალი ან წარმოითქმის ლოცვა ამ ყველის ამოყუანა-დაგროვების დროს (აღწერეთ ეს წესი და ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები.).

519. ხომ არ ამზადებენ გარკვეული სახის შესაწირავებს დაგროვილი რძის პროდუქტებისაგან, — რა სახის შესაწირავებს გააკეთებენ და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

(მაგალითად, სვანეთში ყველისაგან აკეთებენ სხვადასხვა ცხოველებსა და ფრინველებს, რომლებსაც „ბაციკ“-ები ერქვა).

აღწერეთ ამ გამოსახულებათა დამზადების პროცესი, რა იარაღები იხმარება ამ დროს, ვინ აკეთებს მათ, რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე რომელი მათგანი მზადდება, რა ძალას მიაწერს ხალხი შეწირულებათა ამ სახეებს; რა ეწოდება გამოსახულებათა დამზადების დროს ხმარებულ იარაღებს და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ შესაწირავად დამზადებული გამოსახულებანი და იარაღები.

520. ხომ არ ხდება წინასწარ დღესასწაულისათვის ზეთის გამოხდა-დამზადება, — რის ზეთს გამოხდიან, როგორ, სად და რაში გამოხდიან და ინახავენ, ვის ევალება ეს საქმე, რაში ან რასთან ერთად ხმარობენ მას და რა ეწოდება ამ ზეთს.

521. ამზადებენ თუ არა წინასწარ დღესასწაულისათვის ცვილს, სანთელს და საკმევლებს, — რა დროიდან იწყებენ ცვილისა და საკმეველის დამზადებას, როდის ჩამოქნიან სადღესასწაულო სანთლებს, როგორ ხდება მათი ჩამოქნა, ხომ არ სრულდება ამ დროს რაიმე რიტუალი ან წარმოითქმის ლოცვები (აღწერეთ სანთლის დამზადების წესი, რიტუალის შესრულება და ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები), ვის

ევალება ცვილის. სანთლის და საკმევლების დამზადება, ამ შესაწირავების ადგილობრივი სახელწოდება.

522. ხომ არ იციან წინასწარ დღესასწაულისათვის წყლის მომარაგება, — რა მიზეზით, ან რა მიზნით, როგორ წყალს იმარაგებენ (წყაროს წყალს, ნაკურთხსა თუ სხვა.), როგორ ხდება მისი მომარაგება, რა სახით იხმარება და რა ეწოდება მას.

(მაგალითად, სვანეთის ზოგიერთ საზოგადოებაში ახალწლის წინა საღამოს მოზიდავდნენ წყალს, ჩაასხამდნენ თუჯიაში და კერიას ნაჭაჭე ჩამოჰკიდებდნენ ახალწლის დილისათვის — ხელ-პირის დასაბანად: ამ წყალს „ლეჯა“ (რძე) ეწოდებოდა. ან კიდევ ე. წ. „გიძიჯურჭვრე ლიშდჯლ“-ის წინა დღეს მოიმარაგებდნენ სასმელ წყალს, რადგან მეორე დღის წყალი უწმინდურად მიაჩნდათ. ნაკურთხი წყლის მიმართ შემდეგი წესი არსებობდა: ნაკურთხ წყალს ნაცარტუტს დაასხამდნენ, აზელავდნენ, ცომს კვერებად გააბრტყელებდნენ და ისე გაახმობდნენ: უქმე-დღესასწაულებში ამ კვერის ნამტვრევს წყალში აქნიდნენ და განწმენდის მიზნით აპკურებდნენ საქონელს, დგამ-ჭურჭელს, სახლსა და კარ-მიდამოს; ამგვარად შეზავებულ კვერს „ლეპრისდე ტჲტ“-ს უწოდებდნენ).

523. კიდევ რა სახის შესაწირავები მზადდება წინასწარ დღესასწაულისათვის, რისგან ამზადებენ თითოეულ მათგანს, როდის, რა წესით, ვინ, სად ამზადებს და როგორ ინახავს მათ დღესასწაულისათვის, რა ეწოდება თითოეულ მათგანს და დამზადების დროს ხმარებულ იარაღებს, ჭურჭელს და იმ ადგილს, სადაც ეს შესაწირავები ინახება.

ასეთი შესაწირავები დღესასწაულების თავისებურებათა მიხედვით განსაკუთრებით მრავლად მზადდებოდა მცენარეულისაგან — იმერეთში და გურია-სამეგრელოში „ჩიჩილაკი“, რაჭაში „დედოფლის ხელი“. სვანეთში „ჯულ“, „ლამპარ“, „ჩეჩნილ“ და სხვ. ამას გარდა, შესაწირავად მზადდებოდა აგრეთვე განსაკუთრებული ქვები, რომელთა ჯიშსა და სახეებს გარკვეული ყურადღება ექცეოდა; სვანეთში მათი სახელები იყო „ჩირხა“, „ქუთი ყუაბ“ და სხვ.).

524. რაზეა დამოკიდებული სადღესასწაულო შესაწირავის გამოღების რაოდენობა, — შემწირველის ქონებაზე, იმ ღვთაების თუ წმინდანის ძალაზე, რომელსაც ეს შესაწირავი ეწირება, თუ დღესასწაულის ძალასა და სიდიდეზე, დღესასწაულში მონაწილეთა სიმცირეზე ან ძრავალრიცხოვანებაზე, თუ სხვა მიზეზებზე; რა და რა სახისა და რაოდენობის შესაწირავს გამოიღებს მდიდარი და ღარიბი თემი, სოფელი, გვარი, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება, ან ოჯახი.

525. ხომ არ იციან მიცვალებულთა სულებისათვის განკუთვნილ უქმე-დღესასწაულებში წინასწარ მიცვალებულთა გამოსახულების გა-

კეთება, — როგორ აკეთებენ მას, ვინ აკეთებს, რა მასალისაგან და რა ეწოდება მიცვალებულის ამ გამოსახულებას.

(მაგალითად, სვანეთში ამ გამოსახულებას, საზოგადოებათა მიხედვით უწოდებდნენ „ნახაზ"-ს ან „სკამ"-ს.).

526. იმზადებენ თუ რა „დღესასწაულის მონაწილენი წინასწარ ტანისამოსს, იარაღს, გარკვეულ ატრიბუტებს თუ სხვ., — რა ტანისამოსსა და იარაღებს იმზადებენ კაცები, ქალები, ახალგაზრდები, მოხუცები, ხატის მსახურნი, მონადირე. მჭედელი და სხვა პირები.

გ) ღამის თევა

527. იციან თუ არა დღესასწაულზე ღამის თევა, — სად იმართება ღამის თევა, — ეკლესიის გალავანში, სოფლის მოედანზე, სოფლის საზღვართან, რომელიმე მოსახლის სახლში (სახელდობრ, რომელთან, — დაასახელეთ მისი გვარი და სახელი და აღნიშნეთ. რატომ იმართება ღამის თევა ჰასთან), წმინდა ხესთან, თუ სხვაგან; ღამის თევის ადგილობრივი სახელწოდება.

528. ვინ მიდის ღამის თევაზე. — განურჩევლად ყველა ქალი და კაცი. მხოლოდ კაცები, ქალები, ახალგაზრდები, მონადირეები, ხატის მსახურნი, თუ სხვ., რატომ მხოლოდ გარკვეული პირები უთევენ ღამეს და რა ეწოდებათ ღამის მთევლებს.

529. ესწრება თუ არა ღამის თევას უცხო თემიდან მოყვანილი ქალი (რძალი), — თუ არ ესწრება, რა მიზეზით, როდემდე ვერ დაესწრება (ვიდრე შვილი არ შეეძინება, თუ სხვ.).

530. ესწრება თუ არა ღამის თევას უცხო თემში გათხოვილი ქალი, — ვინ მოჰყავს ქმრის ოჯახიდან და რა შესაწირავები მოაქვს მას.

531. ესწრება თუ არა ღამის თევას ძიძისშვილი, ძმადნაფიცი, ან სხვა ხელოვნურად დანათესავებული პირი, — თან რა მოაქვს მას (რა სადღესასწაულო შესაწირავი ან ძღვენი ნათესავებისათვის).

532. რა დროს, რომელი გზით და როგორი წესით მიემგზავრებიან ღამის თევაზე, — ქალები ცალკე და სხვა გზით მიდიან, თუ კაცებთან ერთად და ერთი გზით; რა მიზეზით ხდება ცალ-ცალკე და სხვა გზით წასვლა.

(მაგალითად, თუშეთში ლაშარობის ღამის თევაზე მიდიოდნენ ქმის გადახრის ხანს, კაცები ცალკე, ქვემო გზით და ქალები ცალკე, ზემო გზით).

თემ-თემობით, გვარების მიხედვით, თუ სხვაგვარი დაჯგუფებით მიდიან, ქვეითად მიემგზავრებიან თუ არა, — ვინ მიდის ქვეითად და ვინ ცხენით მიემგზავრება. შეიძლება თუ არა ხატში ცხენზე მჯდომარის მისვლა და თუ არ შეიძლება — რატომ.

533. რანაირ ტანისამოსშია გამოწყობილი თითოეული ღამის მთეველი (კაცები, ქალები — მათი ასაკისდა მიხედვით, ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლები, ხატის კაცები, ხატის მსახურნი და სხვ.), იკეთებენ თუ არა იარაღს მამაკაცები და რაიმე ატრიბუტებს ხატის მსახურნი (სახელდობრ, რა ატრიბუტებს ხმარობენ), როგორ ტანისამოსშია გამოწყობილი ხატში ან დღესასწაულის სახელზე შეთქმული პირი, ახლად გარდაცვლილის ოჯახის წევრები და სხვ; როგორა ჰყავთ შეკაზმული ცხენები.

534. რა მიაქვს ღამის თევაზე თითოეულ ოჯახს, ან ცალკე ქალს, კაცს, ახალგაზრდას, ხატის მსახურს, ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელს, შეთქმულ პირთ, მიცვალებულის პატრონთ, უშვილო ქალებს, ან მათი ოჯახის წევრებს და ღამის თევაზე დამსწრე სხვა პირებს. აღნიშნეთ შესაწირავის სახეები, ღამის თევის პურობისათვის განკუთვნილი საჭმელ-სასმელი, საკრავები და სათამაშოები სხვადასხვა სახის გართობისათვის.

535. როგორ ნაწილდება ღამის თევაზე მისული ხალხი — თემის, ჩოფლის, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფების მიხედვით; როგორ და რომელ ადგილს იჭერს თითოეული მათგანი და რა ეწოდება ამ ადგილს.

(მაგალითად, თუშეთში, ლაშარის ჯვარში, ღამის მთევლები ლაგდებოდნენ გვართა განშტოებების მიხედვით: თითოეული ჯგუფის ადგილი ქვებით იყო შემოსაზღვრული და მას ამ ჯგუფის სახელწოდებით იხსენიებდნენ).

536. ღამის თევის რომელ მომენტში, რა ადგილას, როგორი რიტუალი სრულდება, რომელ საკლავებს და უსისხლო შესაწირავებს სად შესწირავენ. ვის სახელზე ეწირება თითოეული შესაწირავი, რა ლოცვები წარმოითქმის ამ დროს (ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები), ვინ არიან ღამის თევის რიტუალის უშუალო შემსრულებლები და რა ეწოდება ამ პირებს და ღამის თევის რიტუალის სხვადასხვა სახეებს.

537. იციან თუ არა ღამის თევის დროს ქადაგად დაცემა, — აღწერეთ ქადაგობის შინაარსი.

538. რა სახის გართობები ეწყობა ღამის თევის დროს, — ჯირითი, შეჯიბრი სირბილში, ხტომაში, თუ სროლაში; ფერხული წრედ გაბმულად, ცეკვა-თამაში ნიღბებით, გადაცმული, შემურული; სიმღერები, შაირები (ჩაიწერეთ მათი ტექსტები) და სხვ.; ღამის თევის რომელ მომენტში როგორი გართობა იმართება, სად მართავენ და რა ეწოდება ამ გართობების თითოეულ სახეს.

539. ვინ მონაწილეობს ღამის თევის თითოეულ გართობაში. არსებობს თუ არა გართობები ცალკე ქალების, კაცების, ახალგაზრდების, ბავშვების, მონადირეთა, ხატის კაცების, ხატის მსახურთა, ან ცალკე

სოფლის, გვარის თუ სხვ. და რა ეწოდება ამგვარ გართობათა სახეებს.

540. ვინ ხელმძღვანელობს თითოეულ გართობას და რა ეწოდება ამ პირს, რა იარაღები იხმარება ღამის თევის გართობებზე და რა ატრიბუტები ამკობს მოცეკვავე-მოთამაშეებს, — აღწერეთ დაწვრილებით და აღნიშნეთ იარაღებისა და ატრიბუტების ადგილობრივი სახელწოდებანი.

541. ღამის თევის პურობა. სად, რა ადგილას და ღამის თევის რომელ მომენტში რა სახის პურობა იმართება; ღამის თევის პურობის ადგილობრივი სახელწოდება.

542. ერთი სუფრა იშლება ყველა ღამის მთეველისათვის, თუ ცალკე თემის, სოფლის, გვარის, სოციალურ-რელიგიური თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფების მიხედვით, ან ხომ არ გამოეყოფა საერთო სუფრას ავადმყოფის თუ მგლოვიარე ოჯახის პატრონი ან სხვა.

543. როგორი სუფრა იშლება ღამის თევის პურობის დროს; რა საჭმელ-სასმელი ლაგდება სუფრაზე; როგორი სასმისები და სხვა ჭურჭელი იხმარება ამ დროს და რით ამკობენ ღამის თევის სუფრას. აღნიშნეთ საჭმელ-სასმელის, ჭურჭლისა და სუფრის სამკაულების ადგილობრივი სახელწოდებანი.

544. სიგრძეზე გაშლიან ღამის თევის სუფრას თუ წრედ, რას უწოდებენ და რა მნიშვნელობას მიაწერენ წრედ ან სიგრძეზე გაშლილ სუფრას.

545. როგორ სხდებიან სუფრასთან (უფროს-უმცროსობით, თუ სხვაგვარად,), ვინ არის სუფრის ხელმძღვანელი, რა მოვალეობებს ასრულებს იგი და რა ეწოდება მას. ვინ ემსახურება სუფრას და რა ეწოდება თითოეულ მომსახურეს მისი ფუნქციებისდა მიხედვით.

546. ღამის თევის პურობის წესი. — აღწერეთ დაწვრილებით როგორ და რა სიტყვებით იწყებენ პურობას, რას ასრულებენ შუა ჭამის დროს, რა სადღეგრძელოებს წარმოსთქვამენ (ჩაიწერეთ მათი შინაარსი იმ თანამიმდევრობით, როგორითაც ისინი წარმოითქმიან), რომელ ღვთაებას და წმინდანებს როგორი თანამიმდევრობით და როგორი სასმელ-სასმისით ახსენებენ სუფრაზე, რა სიმღერებს მღერიან, ხომ არ იციან პურობის გარკვეულ მომენტში რაიმე რიტუალის თუ ძველიდან მომდინარე წესის შესრულება, — როგორია ეს რიტუალი თუ წესი, ვინ ასრულებს და რა ეწოდება მას. იციან თუ არა ღამის თევის პურობის დროს სხვადასხვა ჯგუფებმა ერთმანეთის სუფრაზე გადაწვევა, ან მოსაკითხის გაგზავნა, — ვის როგორ მოსაკითხს უგზავნიან და რა მნიშვნელობას მიაწერენ ამ ჩვეულებას. როგორ ბოლოვდება და რა ეწოდება ღამის თევის პურობას.

547. ხომ არ იციან ხატის დროშის „გარბოლება", — ვინ ასრულებს ამ რიტუალს ღამის თევის რომელ მომენტში და რა მიზნით ასრულებენ.

548. მიმართავენ თუ არა ღამის მთევლები მთვარეს ან სხვა ცთომილებს, ვარსკვლავებს, ამომავალ მზეს თუ სხვას, — რა სიტყვებით მიმართავენ თითოეულ მათგანს (ჩაიწერეთ მიმართვის ტექსტები).

549. ხომ არ ითვლება ღამის თევის დროს დანთებული ცეცხლი საპატიო და განსაკუთრებული ძალის მქონედ, — რა ჯიშის საწვავისაგან დაანთებენ ამ ცეცხლს და რა ძალას მიაწერენ მას.

550. აღკვეთილია თუ არა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ერთად ყოფნა; ღამის თევის რომელ მომენტშია აღკვეთილი და რატომ, ამ წესის დასაცავად ხომ არ გამოყოფენ მცველებს, — ვის გამოყოფენ და რა ეწოდებათ ამ პირებს, როგორ იცავენ მცველები წესრიგს და რითი სჯიან მის დამრღვევ პირებს.

551. როგორ და რითი ბოლოვდება ღამის თევა.

დ) დღესასწაული

§ 55. ადგილი და მონაწილენი

552. სად (რა ადგილას) იკრიბება დღესასწაულის გადასახდელად მასში გაერთიანებული კოლექტივი — სახლში, ეზოში, კალოზე, ყანაში, ან სოფლის მოედანზე, ეკლესიაში, თუ მის გალავანში, ხატის კარზე, ნიშთან, საჯვარესთან, წმინდა ხესთან ხევნარში ან წმინდა ქვასთან, სასაფლაოზე თუ სხვაგან და რა ეწოდება ამ ადგილს.

553. ვინ მიდის დღესასწაულზე, — მთლიანად თემი, სოფელი, გვარი, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული ან სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება, ოჯახი თუ მხოლოდ მათი წარმომადგენლები.

554. რა მონაწილეობას იღებს დღესასწაულში ახლად ჯვარდაწერილი პირი და მისი ოჯახის წევრები, გათხოვილი ქალი, რძალი, უშვილო, ხატის თუ დღესასწაულის სახელზე შეთქმული, მიცვალებულის პატრონი, სხვადასხვა სენით დაავადებული და მისი ოჯახის წევრები, ძიძისშვილი, ძმადნაფიცი და სხვა ხელოვნურად დანათესავებული პირი, თუ მოყვარე, ხომ არ სწირავს თითოეული მათგანი ცალკე საკლავს, ან სხვა შესაწირავს.

(მაგალითად, სვანეთში ჯალდეს მოსახლეობა და ამ სოფლიდან გათხოვილი ქალები დღესასწაულ „ლიჩხნიშ“-ის დროს ხატს თითოეული ვაჟიშვილის სახელზე დროშას სწირავდნენ).

მონაწილეობენ თუ არა ისინი საზოგადო რიტუალში, პურობაში, გართობებში და დღესასწაულის სხვა დანარჩენ მომენტებში.

555. მონაწილეობენ თუ არა დღესასწაულში ე. წ. „სულის ხუცესი“, „მესულთანე“ და „მეენე“ რა მიზეზით არ ესწრებიან, ან თუ ესწრებიან, მაშინ რა მონაწილეობას იღებენ დღესასწაულში. ცალკე ასრულებენ სადღესასწაულო რიტუალს, თუ დანარჩენ მლოცველებთან

ერთად განცალკევებით აწყობენ პურობას, თუ საზოგადო პურობის მონაწილენი არიან.

556. რითი ისჯება ხალხის წარმოდგენით „უწმინდური" ქალი ან მისი ოჯახის წევრები, თუ წესი დაარღვიეს და დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს.

557. რა მნიშვნელობა აქვს და რა როლს ასრულებს დღესასწაულში მონადირე და მჭედელი, ხომ არ არიან ისინი ხატის ჰსახურებთან ერთად დღესასწაულის შეწირულებათა მონაწილენი.

მაგალითად, სვანეთში საზოგადო დღესასწაულის მონაწილე თითოეულ ოჯახს მოჰქონდა ხატში რიტუალური პური, განკუთვნილი ე. წ. „მომზერ"-ის (მლოცველის) და მჭედლისათვის.

558. რა დროს (დილით, შუა დღეზე, მზის ჩასვლის ხანს თუ საღამოს), რომელი გზითა და რა წესით მიემგზავრება მოსახლეობა დღესასწაულზე, — თემთემობით, სოფლებისა თუ გვარების მიხედვით, ან ხომ არ მიდიან ცალ-ცალკე სხვადასხვა გზით ქალები, მამაკაცები, ხატის მსახურნი, მონადირეები, მჭედლები თუ სხვა; ქვეითად მიდიან თუ არა; ხომ არ არის აღკვეთილი ხატში ცხენზე მჯდომარის შესვლა; რა მნიშვნელობას მიაწერენ აღნიშნული წესების დაცვას და რა ელის მოსახლეობის წარმოდგენით ამ წესების დამრღვევს.

559. როგორ ნაწილდება დღესასწაულზე მისული ხალხი, — თემთემობით, სოფლების, გვარების, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფებების მიხედვით რომელ და რა ადგილს იჭერს თითოეული დაჯგუფება და რა ეწოდება ამ ადგილს.

§ 56. სამსხვერპლო შესანირავი

560. რომელი სამსხვერპლო საკლავები ეწირება დღესასწაულზე (ხარი, მოზვერი, ხბო, ძროხა, დეკული, მამალი და დედალი ცხვარი, ბატკანი, ვერძი, მამალი ან დედალი თხა, თიკანი, ტახი, ნეზვი, გოჭი, მამალი ან დედალი ქათამი, ყვერული, ან არჩვი, ჯიხვი თუ სხვა ნადირი) და რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე შესწირავენ თითოეულ მათგანს.

(მაგალითად, სვანეთში ხარს ღვთაება „ხოშა-ღერმეთ"-ს შესწირავდნენ, ძროხას — „ლამარია"-ს, თხას — „ლაგურკა"-ს, ღორს — „უებშაიჯუარ"-ს და სხვ.).

561. როგორ და რომელ სამსხვერპლო საკლავს სწირავს თემი, სოფელი, გვარი, ოჯახი, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება, ან ხატის მსახური, ხატში თუ დღესასწაულის სახელზე შეთქმული, უშვილო (უძეო) ოჯახი, ავადმყოფის და მიცვალებულის პატრონი, რძალი, უცხო თემში გათხოვილი ქალი

თუ შისი ოჯახი, ძიძის შვილი, ძმადნაფიცი თუ სხვა ხელოვნურად დანათესავებული პირები და რა ეწოდება თითოეული მათგანის საკლავს.

562. დღესასწაულის რომელ მომენტში რა სამსხვერპლო საკლავს შესწირავენ და სად ხდება თითოეული სამსხვერპლოს შეწირვა — კოლექტივის წარმომადგენლის ან მორიგის, თუ თითოეული კერძო მოსახლის სახლში კერიასთან, აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, ეზოში, კალოზე, ყანაში, შუაგულ ადგილას თუ სხვაგან, ან ეკლესიის გალავანში ეკლესიის კარის წინ, ან ხატის კართან, წმინდა ხესთან, ხევნარში, წმინდა ქვასთან თუ სხვაგან და რა ეწოდება ამ ადგილს; რომელი სამსხვერპლოს დაკვლაა აღკვეცილი კერიასთან, ან სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, თუ სხვაგან და რატომ.

(მაგალითად, სვანეთში ღორის შეწირვა და დაკვლა არ შეიძლებოდა სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან; ჩვეულებრივ სამსხვერპლო ღორს კერის წინ ე. წ. „ბანდარ"-ზე დაკლავდნენ ხოლმე).

563. რომელ სამსხვერპლოს დაკლავენ და რომელს გაუშვებენ ხატის თუ დღესასაულის სახელზე.

§ 57. სამსხვერპლოს შეწირვის წინ არსებული წესები

564. ხომ არ იციან სამსხვერპლოს განბანვა, — სად, დღესასწაულის რომელ მომენტში და ვინ განბანს, რომელი წყლით და როგორ განბანენ, ან რომელ ნაწილს დაუბანენ; აღწერეთ რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის წარმოდგენით ამ წესის შესრულებას.

565. ხომ არ იციან სამსხვერპლოების ერთმანეთთან დაჭიდება, — სად აჭიდავებენ, დღესასწაულის რომელ მომენტში, ვინ აჭიდავებს მათ და რა ეწოდება ამ პირს თუ პირებს, როგორ ხდება მათი დაჭიდება და რა მომენტებისაგან შედგება ეს ჭიდაობა თუ ბუღრაობა, რა მნიშვნელობას მიაწერს ხალხი ამ ჭიდაობას, რა თქმულებები არსებობს ჭიდაობის წარმოშობის თაობაზე. სამსხვერპლოების ჭიდაობა-ბუღრაობის ადგილობრივი სახელწოდება.

566. ჭიდაობის, ხატის თუ დღესასწაულის სახელზე დაკვლის თუ გაშვების წინ ხომ არ ასმევენ სამსხვერპლოს მაგარ სასმელს ან აჭმევენ მარილს, ხომ არ ახსენებენ ამა თუ იმ (და სახელდობრ რომელი) ღვთაების — თუ წმინდანის სახელს, ან ლოცვას წარმოსთქვამენ (ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები), სანთელს აუნთებენ თუ სხვ., — რომელ სასმელს ასმევენ, როგორ სანთელს და სად აუნთებენ (რქებზე თუ სხვაგან), ვინ ასმევს სასმელს, ვინ უნთებს სანთელს და ვინ ლოცულობს; რა შეხედულება არსებობს ამ ჩვეულებაზე.

567. ხომ არ ამოუწვავენ მუგუზლით ან სანთლით სამსხვერპლოს ბალანს, — სად (რა ადგილას) ამოუწვავენ, რა ჯიშის ხის მუგუზლისაგან, ვინ ასრულებს ამ წესს, რა მნიშვნელობა აქვს ამ წესის შესრულებას მოსახლეობის ცხოვრებაში და რა თქმულებები არსებობს მის წარმოშობაზე.

§ 58. სამსხვერპლოს დაკვლა

568. დაბორკავენ თუ არა სამსხვერპლოს დაკვლის დროს, — რითი და როგორ.

569. როგორ, რომელ მხარეზე წააქცევენ (მარცხენა თუ მარჯვენაზე), თავი საით უნდა ჰქონდეს და რა მნიშვნელობა აქვს ამ წესს.

570. ვინ დაკლავს სამსხვერპლოს და რა ეწოდება ამ პირს.

571. რით, რა იარაღით დაკლავენ სამსხვერპლოს, — აღწერეთ ეს იარაღი, აღნიშნეთ მისი ადგილობრივი სახელწოდება და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულადაც გადაიღეთ.

572. ვინ ესწრება სამსხვერპლოს დაკვლას, რა მონაწილეობას იღებენ ამ დროს დამსწრეთაგან ესა თუ ის (და სახელდობრ რომელი) პირები და ვინ რა ლოცვას წარმოსთქვამს (ჩაიწერეთ ტექსტები).

573. ხომ არ იციან საკლავის სისხლით ხელ-პირის განბანვა, ან შუბლზე თუ სხვაგან საკლავის სისხლით ნიშნის გაკეთება. ვინ ასრულებს ამ წესს და რა მიზნით.

574. ხომ არ იციან სამსხვერპლოს დაკვლის დროს მკითხაობა იმისდა მიხედვით, თუ საით და როგორ წაიქცა მსხვერპლი, როგორ ამოხდა მას სული, თუ სხვა.

§ 59. სადღესასწაულო ცეცხლი

575. ვინ ანთებს დღესასწაულის დროს ცეცხლს — ოჯახის უფროსი ქალი, კაცი ან რომელიმე უმცროსი წევრი, თუ თემის, სოფლის, გვარის ან ამა თუ იმ დაჯგუფების მიერ ამორჩეული პირი თუ მისი მორიგე მოდღესასწაულე ან სხვა.

576. რას ხმარობენ საწვავ მასალად, — წივას, გარკვეული (და სახელდობრ რომელი) ხის ჯიშის შეშას, ფიჩხს თუ სხვას და რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის თვალში სადღესასწაულო ცეცხლისათვის გარკვეული ხის ჯიშის გამოყენებას.

577. სად და რა წესით ხდება სადღესასწაულო ცეცხლის ანთება. (მაგალითად, სვანეთში ახალწელიწადს დილით ყოველ ოჯახში სახლის მეკვლე ე. წ. „ქორა მახუშ"-ი გამოჩხრეკავდა ნაცარში ჩაფლულ ნაღვერდალს და იქვე წინასწარ დამზადებულ წვრილსა და ხმელ ფიჩხებს მიაყრიდა ისე, რომ ცეცხლი შეუბერავად თვით გაჩაღებულიყო, რადგან ამ დღეს მისი შებერვით დანთება არ შეიძლებოდა).

578. ხომ არ იციან ცეცხლის ალის, ნაპერწკლების ან კვამლის მიხედვით მკითხაობა, — ვინ მკითხაობს, აღწერეთ მკითხაობის წესი, აღნიშნეთ მისი სახელწოდება და ჩაიწერეთ მკითხაობის ტექსტი.

(მაგალითად, სვანეთში ახალწლის წინა საღამოს ან ე. წ. „ლიფანწალ"-ის პირველ საღამოს, ნავახშმევს, კერიის ფილაქანზე დაყრიდნენ ნაღვერდალს, (ცალ-ცალკე ჯგუფებად დაანაწილებდნენ და თითოეულ ჯგუფს გარკვეულ რასმე შეუსახელებდნენ (ჩვეულებრივ თითოეულ ჯგუფს ჩაუთქვამდნენ: პურის, ქერის, ჭვავის და სხვ. ხორბლეულის მოსავალს, წველის, მუწა ხარის, წვრილფეხა საქონლის გამრავლებას, ოჯახის წევრების სიცოცხლეს და ბედნიერებას და სხვ.). ნაღვერდლის შესახელებულ ჯგუფებს დატოვებდნენ მეორე დღემდე, ხოლო მეორე დღეს დილით აკვირდებოდნენ მათ და, იმისდა მიხედვით თუ რომელ მათგანს ზემოდან მეტი ფერფლი ჰქონდა მოდგმული, ასკვნიდნენ, თუ რომელი შესახელებულთაგანი იმ წელს როგორ შესრულდებოდა. ნაკლებ ფერფლმოდებული ჯგუფი ცუდის მომასწავებელი იყო და პირიქით, მეტი ფერფლის მოდგმა შეთქმულის ბარაქას, გამრავლებას, სიხარულსა და სხვა სიკეთეს აღნიშნავდა).

579. რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის აზრით დღესასწაულზე ანთებულ ცეცხლს, — ხომ არ ითვლება ის საპატიო წმინდა ცეცხლად, როგორ ისჯება მისი შეურაცხმყოფელი, რით შეიძლება ცეცხლის სიწმინდის შებღალვა ან მისი შეურაცხყოფა — ცეცხლში ჩაფურთხებით, აღკვეთილ დღეებში მის პირას ხორცის ჭამით თუ სხვა საქციელით ან გარკვეული (და სახელდობრ, როგორი ან რომელი) სიტყვების თქმით.

§ 60. სამსხვერპლო საკლავის დაჩარეჭება

580. დაკლულ სამსხვერპლოს თითოეულს ცალკე სად და როგორ გაატყავებენ, დაანაჭრეჭებენ; ჩახატეთ სამსხვერპლო (პუნქტირით აღნიშნეთ, თუ როგორ ნაწილებად აჩარეჭებენ და მიუთითეთ ამ ნაწილების ადგილობრივი ტერმინები), მოხარშავენ თუ შეწვავენ სამსხვერპლოს (აღწერეთ დაწვრილებით როგორც გატყავების, დაჩარეჭების, მოხარშვისა თუ შეწვის წესები, ისე იარაღი და ჭურჭელი, რომლებიც ამ დროს იხმარება მათი ადგილობრივი სახელწოდების აღნიშვნით და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ ეს ჭურჭელ-იარაღი).

581. სამსხვერპლოს ტყავს გაჰყიდიან თუ გაუცვლიან ვისმე, ვის ევალება ეს საქმე, რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე გაჰყიდიან. შესწირავენ ან გაუცვლიან ვისმე, როდის ხდება ეს, ვის მიჰყიდიან, მისცემენ თუ გაუცვლიან, რაში გაცვლიან და გაყიდული ტყავის საფასური რას ხმარდება; ხომ არ არსებობს სამსხვერპლოს ტყავის განსაკუთრებული დამუშავება-მოხმარების წესი, როგორ და რა იარა-

ღებით ამუშავებენ მას (აღწერეთ იარაღები, აღნიშნეთ მათი სახელწოდება და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ), რა შემთხვევაში და რა სახით მოიხმარენ ამ ტყავს, რა აზრია გავრცელებული მოსახლეობაში სამსხვერპლო საკლავის ტყავის შესახებ.

582. სამსხვერპლო საკლავის რომელ ნაწილს შესწირავენ პირველად, რა ეწოდება ამ ნაწილს და რა სახით ეწირება (მწვადად შემწვარი ხის შამფურებზე აგებული, ან მოხარშული მთელ-მთელი გულ-ღვიძლი თუ სხვა).

583. რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე სწირავენ მას, რა ლოცვები წარმოითქმის ამ დროს და ვის მიერ (ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები).

584. რა შეხედულებაა გავრცელებული მოსახლეობაში სამსხვერპლო საკლავის გულ-ღვიძლის, შიგნეულის, სისხლის, რქების, ჩლიქების, სამსხვერპლო ღორის ჯაგრისა და საკლავის დანარჩენი ნაწილების შესახებ: ხომ არ იციან სამსხვერპლო ღორის ჯაგარის და ძვლების დაწვა, ან სისხლისა და ძვლების მიწაში ჩაფვლა, — ვინ ასრულებს ამ წესს და როდის, დღესასწაულის რომელ მომენტში, რა მიზნით თუ რა მიზეზით სრულდება ეს წესი და რა თქმულებები არსებობს ამ წესის წარმოშობის შესახებ.

§ 61. მკითხაობა სამსხვერპლოს ნაწილებზე

585. ხომ არ იციან სამსხვერპლოს ბეჭის თუ სხვა ნაწილების მიხედვით მკითხაობა, ვინ მკითხაობს, როგორ მკითხაობენ (ჩაიწერეთ მკითხაობის წესები და ნიმუშები) და რა ეწოდება ამგვარ მკითხაობას.

§ 62. საიდუმლო ზიარება სამსხვერპლო შესაწირავით

586. მსხვერპლის რომელი ნაწილი იჭმება დაკვლა-შეწირვისთანავე და რა ეწოდება ამ ნაწილს.

587. ხომ არ იციან დღესასწაულზე სამსხვერპლო საკლავის, ან მისი ნაწილის თუ ნაწილების საიდუმლოდ ჭამა, როგორ ანაწილებენ ამ საიდუმლო სამსხვერპლოს ხორცს, — ვის, რომელ და როგორ ნაწილს მისცემენ (მამაკაცებს, ქალებს, ხატის მსახურებს და სხვ.).

588. ვის არ შეუძლია მისი ჭამა (კოლექტივის თუ ოჯახისათვის უცხო პირს, ბავშვებს ან „უწმინდურ“ ქალებს, — თუ სხვ.) და რა მიზეზით.

589. სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება ამ სამსხვერპლოს ხორცის განაწილება და დაფარულად ჭამა, რა ეწოდება ამგვარ სამსხვერპლოს.

(მაგალითად, სვანეთში ამგვარ სამსხვერპლოს ეძახოდნენ „ლალ-ყაჯ“-ს: „ლალყაჯის“ ჭამა ჩვეულებრივ ღამე იცოდნენ, ოჯახში კერიის გარშემო. დაკეტილ კარ-სარკმელში. მისი ჭამა, შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ახალწლის წინა ღამეს ამ ოჯახში რიტუალური პურების გამოცხობას დაესწრებოდნენ).

590. ვინ ანაწილებს საიდუმლო სამსხვერპლოს ხორცს და რა ეწოდება ამ პირს.

591. ხომ არ იციან საიდუმლო სამსხვერპლოს სისხლის დალევა, ან მოხარშვა და ჭამა.

(მაგალითად, სვანეთში „ლალყაჯის“ სისხლს მისივე ნაწლავში ჩაასხამდნენ. მოპირავდნენ, მოხარშავდნენ და ისე შეჭამდნენ).

რა ეწოდება ამ სისხლს ან მისგან გაკეთებულ საჭმელს (სვანურად მას „ზისხორა“-ს ეძახოდნენ); ხომ არ იციან ამ დროს სამსხვერპლოს ძვლებისა და ჯაგარის დაწვა; ვინ დასწვავს და რატომ.

592. რა რიტუალი სრულდება სამსხვერპლოს ხორცით საიდუმლო ზიარების დროს, რა ლოცვებს იტყვიან, რომელი ღვთაების ან წმინდანის სახელს ახსენებენ (ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები), ვინ ასრულებს ამ რიტუალს.

593. რა თქმულებები არსებობს მოსახლეობაში ამ საიდუმლო სამსხვერპლოს, მისი რიტუალისა და მათი წარმოშობა-მნიშვნელობის შესახებ.

§ 63. სამსხვერპლოს ხორცის დანაწილება

594. სადღესასწაულო სამსხვერპლოს რომელი და როგორი ნაწილი ვის მიეცემა, — ყველას თანაბრად გარკვეული სიდიდის ულუფა, თუ თემის, სოფლის, გვარის, კომლთა, სოციალურ-რელიგიური, სქესობრივ-ასაკობრივი თუ პროფესიული დაჯგუფების წარმომადგენლებს, ან ხატის მსახურებს და სხვა პირებს ცალ-ცალკე განსაკუთრებული ნაწილი ეძლევათ.

595. ვინ ანაწილებს საკლავს და რა ეწოდება ამ პირს, თუ პირებს.

596. სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება მისი დანაწილება.

597. ხომ არ სრულდება ამ დროს რაიმე რიტუალი და წარმოითქმის ლოცვები, — აღწერეთ რა რიტუალი სრულდება, რა ლოცვებს წარმოთქვამენ და ვინ ასრულებს ამ რიტუალს.

598. ვის უნაწილებს უცხო თემის, სოფლის თუ გვარის წარმომადგენელი თავისი სამსხვერპლოს ხორცს.

599. შეაშმევენ თუ არა სამსხვერპლოს ხორცს ავადმყოფს, მშობიარეს, უშვილოს, ხატისათვის, შეთქმულს, ან „უწმინდურ“ ოჯახის

წევრებს, — რა მიზნით ხდება სამსხვერპლოს ხორცის ჭამა და რა მიზეზით არ აჭმევენ მას ზოგიერთ (სახელდობრ რომელ) ზემოაღნიშნულ პირს.

§ 64. საქონლის გაშვება ხატის ან დღესასწაულის სახელზე

600. დღესასწაულის რომელ მომენტში და სად, რა ადგილას იკრიბება მოსახლეობა სამსხვერპლოს ხატის თუ დღესასწაულის სახელზე გასაშვებად.

601. რა რიტუალი სრულდება ამ დროს, — აღწერეთ დაწვრილებით და ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები.

602. ვინ ასრულებს ამ რიტუალს და რა მონაწილეობას იღებენ ამ დროს დამსწრენი.

603. ვის ჩააბარებენ შეწირულ სამსხვერპლოს და რა ეწოდება ამ პირს.

604. სად და როგორ ინახავენ და უვლიან შეწირვის შემდეგ ამ სამსხვერპლოს — დაადგამენ თუ არა უღელს და ამუშავებენ, ცალკე დაბამენ, განსაკუთრებით უვლიან, ბანენ, რითი და დღეში რამდენჯერ კვებავენ და სხვ.

605. რა დრომდე ხდება შეწირული სამსხვერპლოს შენახვა — რომელიმე დღესასწაულამდე (დაასახელეთ ამ დღესასწაულის სახელწოდება), ან რაძდენიმე (სახელდობრ რამდენი) წლის განმავლობაში, ან ვიდრე სამსხვერპლო თავისით არ მოკვდება და სხვ.

606. შეიძლება თუ არა ხატისათვის თუ დღესასწაულის სახელზე შეწირული სამსხვერპლოს განათხოვრება, გადაცვლა თუ გაყიდვა, — რა შემთხვევებში შეიძლება, ვის შეუძლია ამისი გაკეთება, ვის თუ რას ხმარდება გაყიდული სამსხვერპლოს საფასური და რა სახით.

607. რა მოთხრობები და თქმულებებია გავრცელებული შეწირული სამსხვერპლოს შესახებ.

(მაგალითად, სვანები ხატისათვის შეწირული ხარის შესახებ, რომელსაც „უისხუ"-ს ანუ „უსხუჯა"-ს უწოდებდნენ, ფიქრობდნენ, რომ ვის საქონელსაც ის შეერეოდა, იმ ოჯახს დოვლათი და ბარაქა ემატებოდა, რადგან „უისხუ"-ი საქონელს ამრავლებსო).

§ 65. საქონლის დამშვება

608. ხომ არ იციან დღესასწაულის დღეს საქონლის დამშვება, ან ეკლესიის, ხატის თუ სხვა წმინდა ადგილის ირგვლივ შემოტარება. — რა საქონელს დაამშვევენ თუ შემოატარებენ წმინდა ადგილის ირგვლივ (მსხვილფეხას, მხოლოდ მუშა ხარებს, მეწველ საქონელს თუ სხვ.) და როდის ხდება მათი წმინდა ადგილის ირგვლივ შემოტარება, ვინ ას-

რულებს ამ რიტუალს და როგორ, ხომ არ აუნთებენ ამ დროს საქონელს რქებზე სანთლებს, რამდენჯერ შემოატარებენ წმინდა ადგილის გარშემო, რა სიტყვებს წარმოსთქვამენ თუ ლოცვას იტყვიან (ჩაიწერეთ ტექსტები) და რა მიზნით ხდება ამ რიტუალის შესრულება.

§ 66. წინასწარ მომარაგებული ხორცის შეწირვა

609. რომელი საქონლის ხორცს სწირავენ დღესასწაულზე (ხარის, ძროხის, კბილის, ღორისა თუ სხვა საქონლის ან ნადირისას).

610. რა სახით სწირავენ ამ ხორცს დღესასწაულზე (მოხარშულს, შემწვარს თუ სხვა) და რა მნიშვნელობას მიაწერენ გარკვეული ჯიშის საქონლის შესაწირავ ხორცს.

611. ხომ არ არის გამოყოფილი გარკვეული პირი ამ შესაწირავის დასამზადებლად, საზოგადოდ ვის ევალება ამ ხორცის დამზადება და რა ეწოდება ამ პირს თუ პირებს.

(მაგალითად, სვანეთში დღესასწაულების დროს შეწირული ხორცის მოვლა, დანაწილება და პატრონობა მინდობილი ჰქონდათ გარკვეულ პირებს, რომელთაც „მელღუა" (მხოლ. რიცხვი „მელეღუ") ეწოდებოდათ. ძველად სვანის ყოველ ოჯახს თავისი მეხორცე (მელეღუ-ი) ჰყავდა, რომელიც თავის ფუნქციებს ასრულებდა საოჯახო დღესასწაულების დროსაც).

612. როგორ სრულდებოდა ამ ხორცის დამზადება დ შეწირვა. — სად. რა ადგილას და რა ჭურჭლით მიიტანენ მას: რაზე დააწყობენ; აუნთებენ თუ არა სანთელს; ან რასთან ერთად შესწირავენ, რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ ამ დროს, ვინ, როგორ ლოცვას ამბობს (ჩაიწერეთ ტექსტები); ვის სახელზე ეწირება ეს შესაწირავი — მიცვალებულთა სულებისათვის, ავადმყოფის სახელზე თუ სხვა; ვინ ასრულებს ხორცის შეწირვის რიტუალს და რა მონაწილეობას იღებენ ამ დროს დამსწრენი.

613. ხომ არ არსებობს წესი, რომლის ძალითაც გარკვეული ხნის განმავლობაში დღესასწაულამდე ან დღესასწაულზე თუ დღესასწაულის შემდეგ კერიის პირად ან მის მახლობლად ხორცის ჭამა აღკვეთილია, რა მიზეზის გამო, ან რა მიზნით სრულდება ეს წესი და რა თქმულებები არსებობს ამ წესის წარმოშობაზე.

614. ხომ არ იციან საქონლის, ნადირის თუ ფრინველის ძვლების შეწირვა, — რომელი მათგანის ძვლებს ვის სახელზე სწირავენ, ვინ შესწირავს მას, დღესასწაულის რომელ მომენტში, სად და როგორ სრულდება ეს შეწირულება, რა სიტყვებსა და ლოცვებს იტყვიან ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები) და რა ეწოდება ამ შეწირულების რიტუალს და შესაწირავ ძვლებს თუ ძვალს.

(მაგალითად, სვანეთში, დიდმარხვის დაურწყების საღამოს, ვაჭშიძის შემდეგ ერთ-ერთი წევრი გაიტანდა გარეთ ვაჭშიდან მორჩენილ ძვალს, რომელსაც „გელე ლაგჭფ“-ი ეწოდებოდა და გარკვეული სიტყვების თქმის შემდეგ გადაისვრიდა).

§ 67. რჟებისა და ჩლიჟების შეწირვა

615. ხომ არ იციან დღესასწაულზე შინაური თუ გარეული ცხოველების რქებისა და ჩლიქების შეწირვა; ვის (რომელ ღვთაებას თუ წმინდანს) სწირავენ მათ; რა სიტყვებით შესწირავენ; სად დატოვებენ შეწირულობას; ვინ სწირავს და რა შეხედულებისაა მოსახლეობა ამ შეწიურლებათა შესახებ.

§ 68. სადღესასწაულო პური

616. რა ფორმისა და სახის პურებს ეწირება დღესასწაულზე, მრგვალი, კვერები, ან ოთხკუთხი, სამკუთხი, ახალი მთვარის თუ ნამგლის მსგავსი, ფრინველების, ცხოველების, პურეულის, სამუშაო იარაღების, თუ სხვა ფორმისა და სახისა, კუწუბიანი, ჭდეებიანი, დაჭრელებული თუ სხვა; რა ეწოდებათ სადღესასწაულო პურებს სხვადასხვა და თითოეული სახისა და ფორმის პურს ცალკე.

(მაგალითად, სვანეთში ამგვარი პურების სახელებია: „ლამპრია ლემზირ“, „ჯული ლემზირ“, „ხჭალმი ლემზირ“, „კერი ლემზირ“, „ლანწოლი ლემზირ“, „თერლე ლემზირ“, „ლალუბა ლემზირ“, „კუსხ ლემზირ“, „ნადიპრობურე“, „მუჟეღუ“, „ნაჭშხუნ“, „კუანჭილარ“, „ლესკჯრ“, „კეხუ“, „შდაუალ“, „ღენწუნიშ“, „პიტ“, „ლეფანე გომეჯ“, „ლიჯგრი დიარ“, „ცხუნილ“ და მრავალი სხვა).

აღწერეთ სადღესასწაულო პურების ფორმა და სახეები და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ.

617. რომელი და რა ფქვილისაგან არის ეს პურები გამომცხვარი ხორბლის, ჭვავის, ფეტვის, სიმინდის თუ სხვა ფქვილისაგან; ხშირადია თუ აფუებული, გულიანი თუ უგულო, რა უდევს გულად (ყველი, ხორცი, მწვანილი, ო.ე ჭადპურია ან ფეტვის, ჭვავის კანაფისა თ.უ სხვათა გულიანი).

618. რა ეწოდება სადღესასწაულო პურებისათვის განკუთვნილ ფქვილს.

(მაგალითად, სვანეთში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი დღესასწაულისათვის იყო განკუთვნილი ფქვილი, მას სხვადასხვა სახელი ერქვა: „ისგლილჩალე გუჩ“, „უფლიში გუჩ“ ანუ „უფლიში ტაბგლ“, „ლამპრია გუჩ“, „ტარი ჯიმში გუჩ“ და სხვ.).

619. დღესასწაულის რომელ მომენტში და სად აცხობენ სადღესასწაულო პურებს — სახლში, კერიაზე, თუ ეკლესიის გალავანში, წმინდა ხესთან, ეკლესიის მინაშენში (სვანური „ლადბაშ“), ან სხვაგან და ხომ არ ეწოდება ამ ადგილს განსაკუთრებული სახელი: რა ეწოდება.

620. ვინ აცხობს და როგორ ხდება სადღესასწაულო პურების გამოცხობა, — გაცრიან თუ არა ფქვილს, რაში გაცრიან, რაში და როგორ მოზელავენ, როგორ აგუნდავებენ (რა ეწოდება გუნდას), რაზე დ როგორ გამოაცხობენ (ნაღვერდალში ჩაფლავენ, გახურებულ ფილაქანზე დააწყობენ, კეცში თუ თონეში ჩააკრავენ, ფურნეში შეაწყობენ თუ სხვ.), — აღწერეთ დაწვრილებით გამოცხობის პროცესი და მის დროს ხმარებული ჰურჰელი, იარაღები, საჭრელებლები და სხვ. მათი ადგილობრივი სახელწოდების აღნიშვნით; თუ შესაძლებელია ჩაწატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ სადღესასწაულო პურების ცხობის პროცესი და აღნიშნული ჰურჰელ-იარაღები.

621. ხომ არ სრულდება სადღესასწაულო პურების გამოცხობის დროს განსაკუთრებული რიტუალი, ვინ ასრულებს და როგორ სრულდება ეს რიტუალი, რომელ ღვთაებას თუ წმინდანს ახსენებენ ამ დროს ან რა ლოცვას წარმოთქვამენ (ჩაიწერეთ ტექსტები). ვინ ესწრება ამ რიტუალს, რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი და რა მნიშვნელობას მიაწერს მოსახლეობა ამ რიტუალის შესრულებას.

(მაგალითად, სვანეთში მას, ვინც საახალწლო პურების გამოცხობას შეესწრებოდა, შეეძლო ამ ოჯახის ყველა საიდუმლო რიტუალის მონაწილე გამხდარიყო წლის განმავლობაში და, პირიქით, იმას, ვინც საახალწლო პურის ცხობას არ დაესწრებოდა, აღკვეთილი ჰქონდა წლის განმავლობაში ამ ოჯახის საიდუმლო რიტუალებში მონაწილეობის მიღება).

622. ხომ არ იციან სადღესასწაულო პურების გამოცხობის დროს პირის აკვრა, ან ცეცხლში შებერვის აღკვეთა თუ სხვა: რა მნიშვნელობას მიაწერს მოსახლეობა ამ ჩვეულებას და როგორ ისჯება მისი აზრით ამ ჩვეულების დამრღვევი.

§ 69. პურის შეწირვა

623. რა სახის პურებს სწირავს დღესასწაულზე თემი, სოფელი, გვარი, ოჯახი, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება, ხატის მსახური, ხატში ან დღესასწაულის სახელზე შეთქმული პირი, უშვილო (უძეო) ოჯახი, ავადმყოფის თუ მიცვალებულის პატრონი, რძალი, თუ უცხო თემში გათხოვილი ქალი და მისი ოჯახი, ძიძიშვილი, ძმადნაფიცი თუ სხვა ხელოვნურად დანათესავებული პირები და მათი ოჯახები.

624. რომელ ღვთაებას თუ წმინდანს დღესასწაულის რომელ მოგვნტში რა სახის პურებს სწირავენ.

625. სად ხდება ამ პურეპის შეწირვა, — კოლექტივის წარმომადგენლის, მორიგე მეკომპურის, თუ ყოველი ცალკეული მოსახლის ოჯახში კერიასთან, აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, კიდობანთან, ბაგასთან, გაშლილ სუფრაზე, ან ეზოში, კალოზე, ყანაში შეგულ ადგილას, ეკლესიის გალავანში, ეკლესიის კარის წინ, შიგ ეკლესიაში, ხატის კართან, წმ. ხესთან, ხევნარში, წმ. ქვასთან, წმ. ტბასთან, ნიშთან, სასაფლაოზე, გზაჯვარედინზე, სოფლის საზღვარზე თუ სხვაგან, — და რა ეწოდება ამ ადგილს.

626. როგორ ხდება დღესასწაულზე პურების შეწირვა — რაშია ჩაწყობილი ან რაზე ალაგია და რასთან ერთად ეწირება ეს პურები (ანთებული სანთელი, საკმეველი, ხორცი, ყველი, რძე, ზედაშე თუ სხვა); რა ლოცვებს ამბობენ ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები): ფეხზე მდგომები, დაჩოქილები, მიწის პირად დახრილები ლოცულობენ თუ არა და სხვ.

627. ხომ არ სრულდება რაიმე განსაკუთრებული წესი პურების შეწირვის დროს, — ვინ ასრულებს მას და როგორ.

(მაგალითად, სვანეთის ზოგ საზოგადოებაში ახალწლის ღამეს (ზოგჯერ კი ე. წ. „ლიფანალ“-ში, ან „ბამბღუ“ ღამეს) ოჯახის უფროსი ქალი ან კაცი კერიის პირას დადებდა რიტუალურ პურს, რომელსაც „ჯული ლემზირ“-ს უწოდებდნენ. და დაიწყებდა სადგისით მის ჩხვლეტას. ჩხვლეტის დროს პურში ცხვრის მატყლს ატანდა და თან იმეორებდა საქონლისა და პურეულის სხვადასხვა ჯიშის სახელებს მათი გამრავლების მიზნით, რის შემდეგ პურს წვრილად დატეხავდა და ბავშვებს გადაუყრიდა. სხვა დღესასწაულში შენალოც პურებს ბაგასთან შეჰამდნენ ისე, რომ ხმას არ ამოიღებდნენ. იმას, ვინც ვერ მოითმენდა და დაილაპარაკებდა, პურის ჭამისათვის თავი უნდა დაენებებინა. არსებობდა დღესასწაული, როცა ცხვებოდა განსაკუთრებული პურები ოჯახის ამა თუ იმ წევრისათვის, რომელიც გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდა საოჯახო საქმეებში. ასეთი პურები იყო „მწეგვლი ლემზირ“ — ძროხების მწველელისათვის, „მწყლდელი ლემზირ“ ანუ „ანდაუა ლემზირ“ — მწყემსისათვის, „მგნნი ლემზირ“ — საქონლის მკვებავისათვის და სხვ. თითოეული მათგანი მისთვის განკუთვნილი პურით გარკვეულ რიტუალს ასრულებდა, რის შემდეგაც შეეძლო შენალოცი პურის ჭამა.

628. რა თქმულებები არსებობს სადღესასწაულო პურების წარმოშობა-მნიშვნელობაზე.

629. რა სახისაა და რა ეწოდება საიდუმლო ზიარებისათვის განკუთვნილ პურებს.

(მაგალითად, სვანეთში ამგვარი პურების საერთო სახელი იყო „უწუშგნა“, ანუ „უწონაშ“, ხოლო თითოეულ პურს, იმისდა მიხედვით თუ რომელი დღესასწაულისათვის თუ ღვთაება-წმინდანისათვის იყო განკუთვნილი, ცალკე სახელები ერქვა: „ლამარია ლემზირ“, „კეხუ“, „ლეტყბე“, „ტარ-ჭაბგუე ლემზირ“, „კუანჭილარ“ და სხვ.).

630. როგორ ანაწილებენ ამ საიდუმლო პურებს — ყველას თანასწორი რიცხვის პური ან მისი თანაბარი ნაწილი ხვდება თუ სხვადასხვა სიდიდის და სახის პურები ურიგდება ქალებს, კაცებს, ბავშვებს და სხვ.

631. ვის არ შეუძლია ამ სადღესასწაულო პურის შეჭმა და რა მიზეზის გამო.

632. ვინ ანაწილებს ამ პურებს (გამნაწილებელის სახელწოდება); სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება ამ პურების გამოცხობა, დანაწილება, ფარულად შეწირვა და შეჭმა.

633. როგორ სრულდება მათი შეწირვა და შეჭმა; რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე ეწირება; რა ლოცვებს წარმოსთქვამენ ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები), ვინ არის შემწირველ-მლოცველი; ხომ არ იციან ამ დროს კარ-სარკმლის დახურვა დ რა მიზნით თუ რა მიზეზით იხურება კარ-სარკმელი.

634. რა თქმულებები არსებობს სადღესასწაულო პურით საიდუმლო ზიარების, ამ რიტუალის წარმოშობის და მნიშვნელობის შესახებ.

§ 71. პურის შეწირვა მიწისათვის

635. რა ეწოდება ისეთ პურს, რომელსაც საიდუმლოდ მიწას სწირავენ, ან რომელსაც გარკვეულ ადგილზე სტოვებენ მისი შეწირვის შემდეგ.

636. დღესასწაულის რომელ მომენტში, ვინ, როგორ აცხობს ამგვარ პურებს, ხომ არ სრულდება მათი გამოცხობის დროს გარკვეული რიტუალი, წარმოითქმის ლოცვები (ჩაიწერეთ ტექსტი) და სხვ.; რა ფორმისა და სახისაა ეს პურები.

637. სად, რომელ ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში შესწირავენ ამ პურებს და რა ადგილას ჩაფლავენ მათ მიწაში ან რომელ ადგილას დასტოვებენ; ამ ადგილის სახელწოდება.

638. როგორ სრულდება შეწირვის რიტუალი — რომელ ღვთაებას თუ წმინდანს ახსენებენ; რა ლოცვებს წარმოთქვამენ (ჩაიწერეთ ტექსტები); ვინ ასრულებს ამ რიტუალს (მანდილოსანი ქალები, კაცები,

შოხუცები თუ სხვა); ვინ სწირავს, ვინ ესწრება ამ დროს და რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი.

639. რა თქმულებები არსებობს ამ რიტუალის მნიშვნელობასა და წარმოშობაზე.

§72. ხორბლეულის, ფქვილის, ცომისა და ფაფის შეწირვა

640. რა ჯიშის ხორბლეული, რომელი ფქვილი და მისგან მოზელილი ცომი, ან რისი ფაფა (ფქვილისა, რძისა, ქონიანი თუ სხვა) ეწირება დღესასწაულზე და რა ეწოდება ამ შესაწირავს.

641. რაში მოზელავენ ცომს ან გააკეთებენ სადღესასწაულო ფაფას, რითი შეაზავებენ ფაფას და რა ჯურჭლით შესწირავენ ხორბლეულს, ფქვილს, ცომსა თუ ფაფას.

642. სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ვინ ამზადებს და ვინ შესწირავს მათ. ვინ ესწრება ამ დროს და რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი.

643. როგორ ხდება მათი შეწირვა — რომელ ღეთაებას თუ წმინდანს შესწირავენ; ვინ რა ლოცვას წარმოსთქვამს (ჩაიწერეთ ტექსტი); ხომ არ იციან ამ დროს რაიმე განსაკუთრებული რიტუალის შესრულება.

(მაგალითად, სვანეთში ერთ-ერთი საოჯახო დღესასწაულის საღამოს ქონიან ფაფას ბავშვებს მისცემდნენ, ბავშვი ასკინკილა (ცალფეხზე ხტომით) შემოუვლიდა კერიას გარშემო, ხმამაღლა გაიძახოდა „შიშა-ფაფა გამგრკელაჲ ყლიპ“, თან სჭამდა ფაფას და თან ოჯახის წევრებს ესროდა მას კოვზით).

რა ეწოდება ამ რიტუალს.

644. ხომ არ იციან ფაფის ოხშივარით მკითხაობა. — ვინ მკითხაობს და როგორ (ჩაიწერეთ მკითხაობის ნიმუში).

645. რა მნიშვნელობას და ძალას მიაწერს მოსახლეობა რიტუალურ ფაფას, მის ოხშივარს ან ზემოაღნიშნულ სხვა შესაწირავებს და მათი შეწირვის რიტუალს; თქმულებები ამ შესაწირავების წარმოშობის ან დამწესებლის შესახებ.

646. ხომ არ იციან დღესასწაულის დღეს ხორბლეულის დათესვა ან ამ დათესვის სიმულაციის მოწყობა. — სად. რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ასრულებს ამ წესს, ვინ არის მისი შემსრულებელი (ოჯახის, სოციალური დაჯგუფების ან სხვაგვარი კოლექტივის რომელი წევრი); როგორ ასრულებენ მას; ვის სახელზე ასრულებენ: რა ლოცვებსა და დალოცვებს წარმოთქვამენ ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები), რა მიზნით ხდება მისი შესრულება, ხალხის წარმოდგენა ამ წესის ძალა-მნიშვნელობის შესახებ.

§ 73. პურეულის თავთავების შეწირვა

647. რა ჯიშის პურეულს შესწირავენ დღესასწაულზე; რა სახით ეწირება ეს პურეული (ხელეური, კონა თუ სხვა); ვინ სწირავს მას; დღესასწაულის რომელ მომენტში და რა ადგილას შესწირავენ; რა წესით ხდება მისი შეწირვა; რა ლოცვები წარმოითქმის ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები) ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ; რა მიზნით სრულდება ეს შეწირულება; რა თქმულებები არსებობს ამ შეწირულების მნიშვნელობასა და ძალაზე.

§ 74. დღესასწაულზე რიტუალური ნახატების გაკეთება

648. ხომ არ იციან დღესასწაულზე ფქვილის (ან გარკვეული ხის ჯიშის ნაცრის) წყალში გაქნა და სახლის, კარ-მიდამოს, ავეჯეულის მოპკურება ან მისგან კარ-სარკმელზე ჯვრის გამოსახულების გაკეთება, ან კედლის, კიდობნებისა და სხვა ავეჯეულის მოხატვა წყალში გაქნილი ფქვილით. ან ნაცრით.

649. დღესასწაულის რომელ მომენტში სრულდება ეს წესი: ვინ ასრულებს მას (ოჯახის უფროსი ქალი, კაცი, ბავშვები თუ სხვ.) და რა ეწოდება მის შესრულებას.

650. როგორ ასრულებენ ამ წესს, — რომელი ღვთაებისა თუ წმინდანის სახელზე რა ლოცვებს წარმოთქვამენ (ჩაიწერეთ ტექსტები); რომელი და როგორი ჭურჭლიდან აპკურებენ წყალნარევ ფქვილს (როგორია ეს წყალი და ფქვილი, ნაკურთხი, წყაროს წყალი თუ სხვ., ქერის, ფეტვის თუ სხვაგვარი ფქვილია წყალში არეული) და რით მოხატავენ (თითით, ჩხირით თუ სხვ.).

651. რა ნახატს გააკეთებენ, როგორ არის გააზრებული ხალხის მიერ ეს ნახატი, მასში წარმოდგენილი კომპოზიცია თუ მისი შემადგენელი ელემენტები: აღნიშნეთ ნახატისა და მისი შემადგენელი ელემენტების ადგილობრივი სახელწოდება (თუ შესაძლებელია ჩახატეთ, ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ ამგვარი ნახატები).

§ 75. მარილის კურთხევა

652. დღესასწაულის რომელ მომენტში, რა ადგილას, რასთან ერთად აკურთხებენ მარილს; ვინ აკურთხებს მას; რა ლოცვებს ამბობენ ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები) ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ, როგორ და რაში მოიხმარენ ნაკურთხ მარილს და რა მნიშვნელობას მიაწერენ მარილის კურთხევას.

653. რა სახით სწირავენ დღესასწაულზე რძის პროდუქტებს — ყველს, მაწონს, კარაქს, ერბოს თუ სხვა; ხომ არ იციან ყველისაგან სხვადასხვა (და სახელდობრ რომელი) სახის ცხოველების, ფრინველებისა თუ სხვა გამოსაბულებების დამზადება და რა ეწოდება ამ შესაწირავებს.

(მაგალითად, სვანეთში, გურიაში და სხვაგან ყველისაგან სხვადასხვა ცხოველების სახეებს ამზადებდნენ, რომელთაც სვანები „ბაციკ"-ებს უწოდებდნენ.

654. სად და დღესასწაულის რომელ მომენტში ამზადებენ ამ შესაწირავებს. ვინ ამზადებს და როგორ ხდება მათი დამზადება. რა იარაღებს და ჭურჭელს ხმარობენ ამ დროს; დაასახელეთ იარაღ-ჭურჭელთა ადგილობრივი სახელწოდება და თუ შესაძლებელია, ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ.

655. ხომ არ ასრულებენ რაიმე რიტუალს ან წარმოსთქვამენ ლოცვებს თუ სხვ. მათი დამზადების დროს. აღწერეთ რიტუალი და ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები.

656. რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე რა სახის შესაწირავს სწირავენ და ვინ არის შემწირველი — ცალკე ოჯახი, გვარი, სოფელი, თემი, სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, თუ სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება, ავადმყოფ-ს თუ მიცვალებულის პატრონი, უშვილო (უძეო) ოჯახი თუ სხვ.

657. რასთან ერთად სწირავენ რძის პროდუქტებს; სად და რა ადგილას, დღესასწაულის რომელ მომენტში და როგორ ხდება მათი შეწირვა; რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ ამ დროს; რა ლოცვებს წარმოთქვამენ (ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები) და სხვ.

658. რა თქმულებებია გავრცელებული ამ შეწირულებათა წარმოშობასა და მნიშვნელობაზე.

§ 77. ზეთის შეწირვა

659. რის და როგორ ზეთს სწირავენ დღესასწაულზე და რა ეწოდება ამ შეწირულებას.

660. როგორ ხდება ამ ზეთის გამოხდა-დამზადება; რა ჭურჭელსა და იარაღებს ხმარობენ ამ დროს (აღწერეთ ეს ჭურჭელ-იარაღი, აღნიშნეთ მათი ადგილობრივი სახელწოდება და თუ შესაძლებელია, ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ); ვინ გამოხდის მას, გამოხდის დროს რა რიტუალი სრულდება ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელი მოიხსენიება.

661. სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება ზეთის დამზადება და შეწირვა.

662. ვის მიაქვს ეს შესაწირავი — ხატის მსახურს, ავადმყოფის პატრონს თუ სხვას.

663. როგორ სრულდება ზეთის შეწირვის წესი; როგორ ჭურჭელში შესწირავენ; რასთან ერთად ეწირება: რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე ხდება მისი შეწირვა; ვინ რა ლოცვას წარმოთქვამს ამ დროს, რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ და რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი.

664. რა მიზნით ხდება ეს შეწირულება და რა თქმულებები არსებობს ამ შესაწირავის წარმოშობა-მნიშვნელობაზე..

§ 78. მაგარი სასმელების შეწირვა

665. რომელი და როგორი მაგარი სასმელი ეწირება დღესასწაულზე — ქერის, ანწლის, სანთლის, ხილის, ჩვეულებრივი თუ ნათავედი არაყი. საუკეთესო ლუდი, რანგი, გარკვეული ფერის ღვინო, თუ სხვა და რა ეწოდება ამ შესაწირავს.

666. ვინ არის მაგარი სასმელის შემწირველი, — თემი, სოფელი, გვარი, სოციალურ-რელიგიური, სქესობრივ-ასაკობრივი თუ პროფესიული დაჯგუფება, ან ხატის მსახური, კოლექტივის მორიგე თუ მისი წარმომადგენელი, ან ცალკეული ოჯახები, ავადმყოფის და მიცვალებულის პატრონები, ან ხატისათვის თუ დღესასწაულის სახელზე შეთქმული პირი, თუ სხვ.; რომელი მათგანი რა რაოდენობის სასმელს სწირავს.

667. რა ჭურჭელში სწირავენ ამ სასმელს და რა ეწოდება ამ ჭურჭელს, თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ.

668. დღესასწაულის რომელ მომენტში და სად, რა ადგილას სწირავენ მას, ადგილის სახელწოდება.

669. როგორ სრულდება მისი შეწირვა — რომელი წმინდანის თუ ღვთაების სახელზე ეწირება, ვინ რა ლოცვას ამბობს ამ დროს ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ: როგორ სწირავენ — ქუდმოხდით და დაჩოქილები, თუ რკალად შემორტყმული და ფეხზე მდგარნი, რა მონაწილეობას იღებენ ამ დროს დამსწრენი.

670. რა მიზნით ხდება მაგარი სასმელების შეწირვა; რა თქმულებები არსებობს ამ შესაწირავის წარმოშობა-მნიშვნელობისა და აგრეთვე მაგარი სასმელების მფარველ ღვთაებათა თუ წმინდანთა შესახებ.

671. ხომ არ იციან ღღესასწაულზე მაგარი სასმელით დაბეგვრა. — რომელი მაგარი სასმელით დაბეგრავენ და რა ეწოდება ამ ბეგარას. (მაგალითად, სვანეთში მას „ჰიბარს"-ს ანუ „ბეგარ"-ს ეძახდნენ).

672. ვის და რა მიზეზით ბეგრავენ — უქმეების გატეხვისათვის, ხატის გაძარცვის თუ შეურაცხყოფისათვის, რელეგიური წესების დარღვევისათვის (სახელდობრ რომელი წესისა) თუ სხვ.

673. რა და რა სახის ბეგარა არსებობს, როგორი და რომელი დანაშაულისათვის, ვინ რა რაოდენობის სასმელით და რამდენი ხნით იბეგრება.

674. სად ხდება ეს დაბეგვრა და ვინ ბეგრავს დამნაშავეს — თემი, სოფელი, გვარი სოციალურ-რელიგიური, პროფესიული, ან სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფება, თუ სხვა და ვისი პირით ბეგრავს მას; ხომ არ არსებობენ ამისათვის გამოყოფილი პირები და რა ეწოდებათ მათ.

675. ვისი სახელით ბეგრავენ დამნაშავეს — გარკვეული ღვთაებისა თუ წმინდანის, ღღესასწაულის ან ხატის სახელით თუ სხვ.

676. ხომ არ იციან ბეგარის გაყიდვა და მისი საფასურის ხატისათვის თუ ღღესასწაულზე მოხმარება; ვის ევალება მისი გაყიდვა თუ გაცვლა; როდის ხდება ეს; რაში გაცვლიან და გაყიდული ბეგარა რა სახით რომელ ხატს თუ ღღესასწაულს ხმარდება. ხომ არ სრულდება ბეგარის გაყიდვისა და გაცვლის და მისი საფასურის ხატისათვის მოხმარების დროს განსაკუთრებული რიტუალი (აღწერეთ ეს რიტუალი. ვინ ასრულებს მას, რა ლოცვებს იტყვიან ამ დროს, რა ეწოდება ამ რიტუალს და სხვ.).

677. ღღესასწაულის რომელ მომენტში და სად მიაქვთ ბეგარა, რითი მიიტანენ მას (აღწერეთ ჭურჭელი, აღნიშნეთ მისი სახელწოდება). ვის შიაქვს და ვის, რომელ პირს თუ პირებს გადასცემენ ამ ბეგარას.

678. რა რიტუალი სრულდება ბეგარის მოტანისას — რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე შესწირავენ, ვინ რა ლოცვას ამბობს ან რომელი ღვთაებისა თუ წმინდანის სახელს ახსენებენ, რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი. ხომ არ იციან ამ დროს სასულიერო სიმღერების შესრულება, რა სიმღერებსა და რის გარშემო მღერიან, ხომ არ აანთებენ სანთლებს და სხვ., რა ეწოდება ამ რიტუალს.

679. როგორ მოიხმარენ ამ ბეგარას, — ვინ სვამს ბეგარაში მოტანილ მაგარ სასმელს, რა დალოცვები იციან ამ დროს. სად ხდება ამ სასმელის შესმა, ვის არ დაალევინებენ ბეგარის სასმელს და რა მიზეზით.

680. ხომ არ სჯიან ბეგარის დამრღვევს, ე. ი. იმ პირს (თუ პირებს), რომელიც დაწესებულ ბეგარას არ გადაიხდის: რა სასჯელი არსებობს

მისთვის, ხომ არ იციან მისი (ან მათი) ხატში თუ დღესასწაულზე დაწყევლა. ვინ სწყევლის მას (თემი, სოფელი, გვარი, ოჯახი, თუ მათი წარმომადგენლები, მოხუცი კაცები, ხატის მსახურნი თუ სხვ.); სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში სწყევლიან; რისი ან ვისი სახელით სრულდება ეს წყევლა; როგორ ასრულებენ მას და რა ეწოდება ბეგარის დამძრღვევის წყევლას.

681. როგორი აზრისაა მოსახლეობა ხატში, დღესასწაულზე ან თემის, სოფლის, გვარის, ოჯახის ხატის მსახურთა თუ სხვათა მიერ დაწყევლილი პირის შესახებ და აგრეთვე თვით ამ წყევლაზე.

682. რა თქმულებებია გავრცელებული ბეგარის წარმოშობა-მნიშვნელობაზე.

§ 80. წყლის კურთხევა

683. რომელ წყალს აკურთხებენ დღესასწაულზე და რა ეწოდება ნაკურთხ წყალს.

684. სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება წყლის კურთხევა, ვინ აკურთხებს მას და რა ეწოდება ამ პირს.

685. როგორ ხდება წყლის კურთხევა. რით აკურთხებენ, რა ლოცვებს ამბობენ ამ დროს ან რომელ ღვთაებას თუ წმინდანს ახსენებენ, რა მონაწილეობას იღებენ დამსწრენი.

686. როგორ მოიხმარენ ნაკურთხ წყალს: წაიღებენ თუ არა სახლში. რა ჭურჭელში ასხამენ (ჭურჭლის სურათი და მისი სახელწოდება).

(მაგალითად, სვანეთში ახალწელიწადს დილით მეკვლეს მოჰქონდა წყაროდან ე. წ. „ოხარ"-ით წყალი, რომლითაც შინამყოფნი ხელპირს დაიბანდნენ და რომელსაც „ლიჯა" (რძე) ეწოდებოდა. სხვა დღესასწაულებში მოტანილ ნაკურთხ წყალს გადაურევდნენ ნაცარში, აზელავდნენ, გაახმობდნენ და წლის განმავლობაში ხმარობდნენ მას საჭრონის, ავეჯის, ჯამ-ჭურჭლისა და სხვათა გასაწმინდავებლად).

687. რა მნიშვნელობას მიაწერს მოსახლეობა ნაკურთხ წყალს, რა თქმულებებია გავრცელებული მის შესახებ.

§ 81. ცვილისა და სანთელ-საკმეველის შეწირვა

688. რა სახით ეწირება ცვილი, სანთელი და საკმეველი დღესასწაულზე, — ცვილი ნატეხების თუ კვერის სახით, ან ფრინველების, ცხოველების თუ სხვათა გამოსახულებისა; სანთელი წვრილი, ჩხირზე წამოცმული (რა ჯიშის ხის ჩხირებზე), თუ სხვა სახის და რა ეწოდება ამ შესაწირავებს.

689. ვის რომელი ამ შესაწირავთაგანი მოაქვს, რომელ ღვთაებას თუ წმინდანს სწირავს, ვისი ან რისი სახელით და სხვ.

690. ვინ, სად, როდის და როგორ ამზადებს ამ შესაწირავებს.

(მაგალითად, ხევსურეთში დღესასწაულის დღეს ხატის დარბაზში დასტურები გაათბობდნენ ცეცხლზე ცვილს, შემდეგ დაზელავდნენ, ჩააყოლებდნენ ბამბის დაგრეხილი ძაფის პატრუქს, გრძლად დაგრეხავდნენ და წვრილ-წვრილ სანთლებად დაჭრიდნენ; სვანეთში მიღებული იყო ხატში კვერის ფორმის ცვილის შეწირვა სხვადასხვა ოჯახების მიერ და აგრეთვე ამ ცვილისაგან სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებათა შეწირვა).

691. დღესასწაულის რომელ მომენტში და სად ხდება მათი შეწირვა; ამ ადგილის სახელწოდება.

692. რა რიტუალს ასრულებენ მათი დამზადება-შეწირვის დროს, რაზე ანთებენ სანთელს (პურებზე, საკლავებზე, ზედაშის ჭურჭელზე, სუფრაზე, კედლებზე თუ სხვაგან), რაზე დააკვევენ საკმეველს, რომელი წმინდანის თუ ღვთაების ან მიცვალებულის თუ სხვათა სახელზე ანთებენ სანთელს, დაუკმევენ საკმეველს ან შესწირავენ ცვილს, ვინ რა ლოცვას წარმოთქვამს ამ დროს და რასთან ერთად ხდება ამ შესაწირავების შეწირვა.

693. როდის ან რა რიტუალის დროს აანთებენ სანთელს და როდის, რომელი რიტუალის დროს აკმევენ საკმეველს.

(მაგალითად, სვანეთში, თუ რიტუალი დღისით სრულდებოდა, მაშინ საკმეველს აკმევდნენ, ხოლო ღამით სანთლის ანთება იცოდნენ).

694. ვის ევალება სანთლის ანთება და საკმეველის კმევა.

695. რა თქმულებებია გავრცელებული ცვილისა დ სანთელ-საკმეველის მნიშვნელობაზე.

§ 82. თაფლის შეწირვა

696. ვინ სწირავს თაფლს, დღესასწაულის რომელ მომენტში და სად, რა ადგილას ან რომელ შესაწირავებთან ერთად.

697. როგორ ხდება თაფლის შეწირვა, რა ლოცვები წარმოითქმის ამ დროს, რომელი წმინდანის თუ ღვთაების სახელით სრულდება მისი შეწირვა (ჩაიწერეთ ტექსტები).

698. რა თქმულებები არსებობს თაფლის შეწირვასთან დაკავშირებით.

§ 83. ხილისა და ბოსტნეულის შეწირვა

699. რომელ ხილს ან ბოსტნეულს სწირავენ დღესასწაულზე (თხილს, ბროწეულს, ყურძენს, ვაშლს, მსხალს, ნიორს, ხახვს თუ სხვ.), რა სახით (ტოტებზე წამოცმულს, ბოხჩებში გამოკრულს თუ სხვ.) და რა ეწოდება ამგვარ შესაწირავს.

700. როგორ ხდება ხილის ან ბოსტნეულის შეწირვა, — რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე სწირავენ, ვისთვის არის განკუთვნილი ეს შესაწირავი (მიცვალებულის თუ ავადმყოფის სახელზე ან სხვა), რომელ სხვა შესაწირავებთან ერთად სწირავენ და ვინ რა ლოცვას წარმოთქვამს ამ დროს (ჩაიწერეთ ლოცვის ტექსტები).

701. რა თქმულებები არსებობს ხილ-ბოსტნეულის შეწირვის მნიშვნელობაზე.

§ 84. ველური მცენარეულისა და მისი ნაყოფის შეწირვა

702. რა და რა ჯიშის ველური მცენარეული ან მათი ნაყოფი ეწირება დღესასწულზე — არყის ხე ან ტოტები, ცაცხვის, ფიჭვის ხეები, ეკლის ტოტები თუ სხვა, მოლი; ვერხვის ფოთლები, ძაღლ-ყურძენას ნაყოფი თუ სხვ. და რა ეწოდება ამ შესაწირავს.

(მაგალითად, სვანეთში მათი სახელები იყო: „ჯულ“, „ლაშპარ“, „გუიზ“, „ჩჩგნილ“, „სანწვირა“, „წერექუ“ და სხვ.; რაჭაში — „დედოფლის ხელი“ და სხვ.).

703. რა სახით სწირავენ ველურ მცენარეს თუ მის ნაყოფს; სად, როდის, ვის მიერ და როგორ ხდება მათი დამზადება, რა იარაღებს, თუ სხვა საშუალებებს ხმარობენ მათ დასამზადებლად, რა წესებს იცავენ და რა რიტუალს ასრულებენ მათი დამზადების დროს.

(მაგალითად, სვანეთში ახალწლის წინა დილით ოჯახის ერთ-ერთი წევრი მიდიოდა ტყეში და იქ მოსჭრიდა ცულით მრავალკვირტიან თხილის ტოტებს და ისეთ ახალგაზრდა არყის ხეს, რომლის პირველი ნაფოტი ცულს დარტყმის შემდეგ კანით მიწის პირად დაეცემოდა და თეთრი გული ზემოდან მოექცეოდა, — ასეთმა არყის ხემ კარგი წველა იცისო. საბლში მოტანის შემდეგ თხილის ტოტებს კონად შეკრავდნენ, ხოლო არყის ხეს წვერს წაუთლიდნენ და ისე შეინახავდნენ დღესასწაულამდე. დღესასწაულ „ლიმპარიელ“-სა და „სვიმნიშ“-ისათვის ოჯახის ერთ-ერთი წევრი მამაკაცი კვლავ ტყეში წავიდოდა, იქ ცულით არყის ტოტებს დაჭრიდა, სახლში მოზიდავდა, კერიასთან სიგრძეზე წვრილად დააპობდა და გასახმობად სხვენზე შეყრიდა, ხოლო დღესასწაულის დღეს მათ კონებად შეკრავდნენ და „სუიმნიშ“ საღამოს ამ კონას სასაფლაოზე დაანთებდნენ. „ლიმპარიელ“ დღეს კი სხვა კონებს კეტებზე წამოაცმევდნენ, სახლიდან ცეცხლმოკიდებული გაჰქონდათ ქალოზე და იქ თოვლში არჩობდნენ. იყო დღესასწაული, რომლისთვისაც ეკლის წნელებს თითოეულს ცალკე თავებს მრგვალად მოუგრეხავდნენ და ზედვე ჩააწნავდნენ ისე, რომ წნელის მსხვილი მხარე თავისუფლად ჩაშვერილი ფეხად რჩებოდა და დღესასწაულზე ამ ფეხით მომრგვალებულ წნელს ყანაში რგავდნენ. სხვა დღესასწაულზე არყის წნელებიდან რგოლებს მოწნავდნენ და ერთიმეორეში აასხამდნენ. ეს ხდე-

ბოდა დღესასწაულის ღამეს. რაც უფრო მეტ რგოლს აასხამდა სვანი იმ ღამეს, მისი რწმენით მის ოჯახს მით უფრო მეტი წვრილფეხა საქონელი (განსაკუთრებით თხები) შეეძინებოდა და სხვ.).

704. სად, რომელ ადგილას, ვის მიერ და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება მათი შეწირვა ან მათი საშუალებით მაგიური წესის შესრულება.

705. როგორ სრულდება მათი შეწირვა ან როგორ ხდება მათი საშუალებით მაგიური წესის შესრულება, ვის სახელს ახსენებენ ამ დროს, რა ლოცვებსა თუ შელოცვებს იტყვიან (ჩაიწერეთ ტექსტები). რას აკეთებს და რა იარაღებს თუ სხვა საშუალებებს იყენებს ამ დროს მლოცავი თუ შემლოცველი და რა მონაწილეობას იღებენ დამწუხრე პირები.

706. რა თქმულებები არსებობს ველური მცენარეულისა და მისი ნაყოფის შეწირვის წესის წარმოშობასა და მნიშვნელობაზე.

§ 85. ბუნებრივი უსულო საგნების შეწირვა.

707. რა და რა ჯიშის ან სახის თუ ფორმის ბუნებრივ უსულო საგნებს სწირავენ დღესასწაულზე — რიყის ქვას, კენჭებს, ბროლს, ნაბვრეტიან ფილაქანს, ლითონს თუ სხვას და რა ეწოდება ამ შესაწირავს.

708. ვის მოაქვს ეს შესაწირავი და რა მიზნით — ავადმყოფის პატრონს მის მოსარჩენად, ან უშვილო (უძეო) ქალს შვილიერებისათვის თუ სხვა მიზნით.

709. რომელი პირი რა ჯიშის, სახის თუ ფორმის შესაწირავს მოიტანს და რის ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე სწირავს მას.

710. როგორ ხდება ამ საგნების შეწირვა, — ვინ არის მათი უშუალო შემწირველი, ვინ როგორ ლოცვებს ამბობს ამ დროს, ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ (ჩაიწერეთ ტექსტები).

711. სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება მათი შეწირვა.

712. სად ინახავენ და რა მიზნით; ხომ არ იციან ამ შეწირული საგნებით დღესასწაულზე გარკვეული რიტუალის შესრულება, დღესასწაულის რომელ მომენტში სრულდება ეს რიტუალი, ვინ ასრულებს მას და რა ადგილას, რა მნიშვნელობა აქვს ამ რიტუალის შესრულებას ხალხის თვალში.

(მაგალითად, სვანეთში შეწირულ წვრილ, მრგვალ და შუაში გახვრეტილ კენჭებს ხატის მსახურნი ჩამოკიდებდნენ ხოლმე ყელზე, ახლად დაბადებულ ბავშვს ავი თვალის საწინააღმდეგოდ. ამ კენჭს ბავშვი ატარებდა სამი წლის განმავლობაში და შემდეგ მისი მშობლები კვლავ ხატში აბრუნებდნენ ამ ამულეტს და თან ხატის კარზე სამსხვერ-

პლო საკლავს დაკლავდნენ. უშგულის საზოგადოებაში „ლამარია“-ს სახელობის ეკლესიაში ინახებოდა დიდი ზომის ბურთივით მრგვალი თეთრი მარმარილო, რომელსაც „ქუთი ყუბა“-ი ეწოდებოდა. ერთ-ერთ დღესასწაულზე ამ ხატის მსახური გამოეწყობოდა ე. წ. ყვარყვარეს ტანისამოსში, რომელიც აგრეთვე ამავე ეკლესიაში ინახებოდა, დაიჭერდა ხელში „ქუთი ყუბას“, გადმოდგებოდა ეკლესიის გალავნიდან და გორაკის ფერდობებზე შეფენილ მლოცველ ქალებს ამწყალობებდა. როგორც თვით სახელწოდებიდანაც სჩანს, ეს მარმარილო ყველის წველის სიმბოლოს წარმოადგენდა და რიტუალი განკუთვნილი იყო მეწველი საქონლის გასამრავლებლად და წველის ბარაქისათვის).

713. რა თქმულებებია გავრცელებული ბუნებრივი უსულო საგნების შეწირვის რიტუალის წარმოშობა-მნიშვნელობაზე.

§ 86. ხელოვნური საგნების შეწირვა

714. რა და რა სახის ხელოვნური საგნების შეწირვა იციან დღესასწაულზე, — რკინის ნაჭრების, ან რკინეულისაგან გაკეთებული ადამიანისა და მისი ნაწილების გამოსახულების (ex-voto), ძძივების, ყელსადების, ქამრების, ჯვრების, ყაწმების, ყალიბის, ტანისამოსის ან მისი ნაწილების, კვირისტავის, ჯარასი, აკვნის, უანწების, თასების, კათხების, ტაბლების, მშვილდ-ისრის, ისრის წვერის, ტყვიის და სხვ. ლითონის საგნებისა თუ სხვ. და რა ეწოდება ამგვარ შესაწირავს.

715. ვის როგორი ან რომელი ნივთი თუ საგანი მოაქვს, რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე შესაწირავად და რა მიზნის მისაღწევად ან რა მიზეზით სრულდება ეს შეწირულება.

716. სად, რა ადგილას, დღესასწაულის რომელ მომენტში და რა წესით სრულდება ეს შეწირულება, — როგორ რიტუალს ასრულებენ ამ დროს, ვინ რა ლოცვებს წარმოსთქვამს, ან რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებს (ჩაიწერეთ ტექსტები).

717. სად ინახავენ და რა მიზნით ხდება შენახვა; ხომ არ იციან შეწირული ჯამ-ჭურჭლის დღესასწაულზე მოხმარება ან შეწირული ნივთებით ავადმყოფის წამლობა, ან მათი საშუალებით სახლის თუ სხვა ადგილების ან „უწმინდურის“ პირების განწმენდა, — ვისი ნებართვით ხდება ეს, ვინ ასრულებს ამ საქმეს და როგორ სრულდება ეს შეწირულება.

718. ხომ არ იციან შეწირული საგნების გაყიდვა ან გადაცვლა და მისი საფასურის ხატისათვის ან დღესასწაულზე მოხმარება, — რომელი საგნების გაყიდვა ან გადაცვლა შეიძლება, ვის ევალება ეს საქმე, როდის და რა შემთხვევებში გაყიდიან თუ გადაცვლიან მათ, რაში გასცვლიან და გაყიდული საგნების საფასური რა სახით რომელ ხატს თუ დღესასწაულს მოხმარდება; ხომ არ იციან მათი გადაცვლის თუ გაყიდ-

ვისა და საფასურის ხატისა თუ დღესასწაულის სახელზე მოხმარების დროს გაწსაკუთრებული რიტუალის შესრულება; აღწერეთ ეს რიტუალი, ვინ ასრულებს მას, რა ლოცვები წარმოითქმის ამ დროს, რა ეწოდება ამ რიტუალს და სხვ.

719. რა ძალას მიაწერენ ხელოვნური საგნების თუ ნივთების შეწირვას და ამ შეწირულებათა თითოეულ სახეს, ვინ დააწესა ხალხის წარმოდგენით ამგვარი შეწირულება და რა მიზეზით.

§ 87. თოვლის ზვინის დადგმა, ან თოვლის კოშკის აგება

720. როგორ, რა სახისა და რა ზომის ზვინს დადგამენ ან კოშკს ააგებენ თოვლისაგან დღესასწაულზე და რა ეწოდება თოვლის ამ ზვინს ან კოშკს.

721. სად, რა ადგილზე (რომელიმე მოსახლის ეზოში, კალოზე, ყანაში, ან შუაგულ სოფელში, გზაჯვარედინზე, წმინდა ხესთან, ხატში ან ეკლესიის ეზოში თუ სხვაგან) და როდის (დღესასწაულის რომელ მომენტში) აგებენ თოვლის ზვინსა თუ კოშკს.

722. ვინ აგებს მას, — თემი, სოფელი, გვარი, სოციალურ-რელიგიური სქესობრივ-ასაკობრივი, ან პროფესიული დაჯგუფება, თუ ხატს მსახურნი ან სხვა და რა ეწოდება თოვლის ზვინისა თუ კოშკის ამგებთ დღესასწაულზე.

723. რა წესით ხდება მისი აგება, — თოვლს უბრალოდ დააგროვებენ, წყლით გაგლესავენ, ქვებს ჩააყოლებენ თუ სხვა. რა იარაღს ხმარობენ ამ დროს, რას ჩაატანენ შუაში თოვლის ზვინსა თუ კოშკს. — გარკვეული (და სახელდობრ რომელი) ჯიშის ხის კეტს თუ სხვას (რას ეძახიან ამ კეტს), დაამაგრებენ თუ არა თოვლში მოყოლებული კეტის წვერზე ჯვრის ან სხვა (სახელდობრ რა) სახის გამოსახულებას: რა ეწოდება წვერის ამ სამკაულს: ხომ არ იციან თოვლისაგან ადამიანის გამოსახულების გაკეთება, როგორ აკეთებენ მას და რა ეწოდება თოვლისაგან გაკეთებული ადამიანის გამოსახულებას.

724. დღესასწაულის რომელ მომენტში რა წესებს ასრულებენ თოვლის ზვინთან, კოშკთან თუ ადამიანის გამოსახულებასთან: როგორ ნაწილდება ხალხი ამ წესების შესრულების დროს; ვინ არის ამ წესების მთავარი შემსრულებელი და რა ეწოდება ამ პირს (თუ პირებს); რა და რა ნაწილებისაგან შედგება ეს წესები: რა ეწოდება თითოეულ ნაწილს: რა იარაღი იხმარება ამ წესების შესრულების დროს (აღწერეთ დაწვრილებით, მიუთითეთ მათი სახელწოდება და თუ შესაძლებელია ჩახატვა ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ მათი სურათები), რა სიმღერებს, ცეკვა-თამაშს და შებრძოლების თუ შეჯიბრის სახეებს ასრულებენ თოვლის ნაგებობასთან ან მის გარშემო და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

725. რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის შეხედულებით დღესასწაულზე აგებულ თოვლის ზვინს, კოშკს ან ადამიანის გამოსახულებას და მასთან თუ მის გარშემო შესრულებულ წესებს, ვინ დააწესა ან როდის და რა მიზეზით დაწესდა ეს ჩვეულება.

§ 88. ხატის თუ დღესასწაულის სახელზე შეთქმა ან შეთქმულის შესრულება

726. ვინ რას შეუთქვამს დღესასწაულზე და რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელზე შეუთქვამენ.

727. როდის (დღესასწაულის რომელ მომენტში) და სად, რა ადგილას ხდება შეთქმა, ან შეთქმულის ასრულება.

728. როგორ ასრულებენ შეთქმულებას, — ქუდმოხდილი, მუხლმოყრილი, ფეხშიშველი, თავზე თეთრებით შემოსილი, ან წითელი თავშლით თავგაკრული, ყელზე შარნადადებული ან ჯაჭვჩამოკიდებული თუ სხვაგვარად ეკლესიას გარს უვლიან, ამა თუ იმ (სახელდობრ რომელ) შესაწირავს სწირავენ, თუ სხვა; რომელ წმინდანს თუ ღვთაებას რას ევედრებიან, რა ლოცვებს წარმოსთქვამენ და სხვ., — ჩაიწერეთ ლოცვების ტექსტები.

729. რა შეხედულება არსებობს შეთქმის ძალასა და მნიშვნელობაზე.

§ 89. ავადმყოფის მკურნალობა

730. რა სახის ავადმყოფობით შეპყრობილს რა წესით მკურნალობენ დღესასწაულზე, ვინ მკურნალობს, სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ხდება მკურნალობა.

(მაგალითად, ხევსურეთში დღესასწაულებზე ხატში მიიყვანდნენ ავზნიან ავადმყოფს, ხატიონი გამოაბრძანებდა დროშებს და ავადმყოფს თავთან დაუსვენებდა ან დაუბერტყავდა გარკვეული სიტყვების წარმოთქმით).

§ 90. დროშისა და ხატის გამოსვენება

731. იციან თუ არა ხატის და დროშების ან ერთ-ერთი მათგანის გამოსვენება დღესასწაულზე და რა ეწოდება ამ ხატს და დროშას (თუ დროშებს).

732. საიდან და როდის (დღესასწაულის რომელ მომენტში) ხდება მათი გამოსვენება, სად მიასვენებენ ან დაასვენებენ მათ და რა წესით; სრულდება თუ არა ამ დროს რაიმე რიტუალი, სასულიერო სიმღერები, ლოცვები ან სხვ. (აღწერეთ დაწვრილებით, ჩაიწერეთ ტექსტები, აღ-

ნიშნეთ წესების ან მათი სხვადასხვა მომენტების თუ ნაწილების საზეპწოდებანი).

733. ვინ არიან მათი გამომსვენებელნი, ვის მიაქვს ხატი და ვის დროშები, რა ეწოდებათ ამ პირებს.

734. ვინ მიჰყვება პროცესიას და რა მონაწილეობას იღებენ ისინი ხატისა და დროშების გამოსვენებასთან დაკავშირებული რიტუალის თუ სხვა წესების შესრულებაში.

735. რა მიზნით ან რა მიზეზით ხდება ხატისა და დროშების გამოსვენება და რა ეწოდება დღესასწაულზე მათ გამოსვენებას.

736. როგორ ტანისამოსში არიან გამოწყობილი და რა ატრიბუტები ამკობთ ხატისა და დროშის გამომსვენებლებს და პროცესიის მონაწილეებს.

737. რა თქმულებები არსებობს ხატისა და დროშების ძალასა და მნიშვნელობაზე.

§ 91. ხატისა თუ დროშის შემკობა და სხვადასხვა რიტუალი მათ მიმართ

738. დღესასწაულის რომელ მოენტში, სად და რა ადგილას ამკობენ ხატს თუ დროშებს, ან ასრულებენ მათ მიმართ განსაკუთრებულ რიტუალს.

739. ვინ ამკობს დროშებს, ან ვინ ასრულებს რიტუალს მათ მიმართ და რა ეწოდება ამ პირს (თუ პირებს).

740. რითი ამკობენ ხატებსა თუ დროშებს და რა ეწოდება ამ სამკაულებს, როგორ ხდება მათი შემკობა, ან რა რიტუალი სრულდება ხატ-დროშების მიმართ.

(მაგალითად, სვანეთში უშგულის საზოგადოებაში ბზობა დღეს ასრულებდნენ მაცხუარის ხატების ქორწილის რიტუალს. სოფელ ჟიბიანის, უფალის სახელობის ეკლესიის მსახური (მომზგრი) ამ დღეს დილით აავსებდა პატარა გოდორს (ლალაშს) რიტუალური პურებით, წამოკიდებდა მას ზურგზე ე. წ. „მგკლათი"-ს (ბიჭს) და მისი თანხლებით მიდიოდა უფალის ეკლესიაში. ეკლესიაში ის ჩამოასვენებდა მაცხუარის ჯვარის სახის ხატს და გამოაწყობდა მას ამავე ეკლესიაში დაცულ ტანისამოსში (ჩააცმევდა „კაბ"-ს, „ჟიბე-ტან"-ს, შემოარტყავდა წელზე „ლარტყ"-ს თავზე „ლაჩაქ"-ს დახურავდა და შუბლზე „ლაკუცანს"-ს მოაკრავდა). შემდეგ დაიჭერდა ცალ ხელში მაყარის სიმბოლოს „ჭაურგან"-ს (ყავარჯენს), მეორე ხელში დედოფლად გამოწყობილ მაცხუარის ხატს და „მეკლათი"-ს თანხლებით გაუდგებოდა გზას სოფელ ჩაჟაშის მაცხუარის ეკლესიისაკენ. ამავე დროს სოფელ ჩაჟაშის მაცხუარს ეკლესიის მომზგრი თავის მაცხუარის ხატს აწყობდა სადედოფლო ტანისამოსში ისევე, როგორც ზემოთ ჟიბიანის მომზგრი და

ყავარჯენით და მგკლათითურთ ხვდებოდა ჟიბიანელ მომზგრს. ორივე მა. ყარი თავთავისი დედოფლებითა და მგკლათ'ებით მიეშგზავრებოდნენ სო- ფელ მურყველის მაცხუარის ეკლესიისაკენ. გზაში ამ პროცესიას ხვდე- ბოდა მოსახლეობა, — ცალ-ცალკე პირები, ან ოჯახები, მაყრებს წინ მუხლს იყრიდნენ და ხატების სახელზე სწირავდნენ საჩუქრებს — მძი- ვეებს, სანთელს, თეთრს (ფულს) და სხვას, სოფლის საზღვარზე მათ მიე- გებებოდა მურყველის ხატის მომზვრი, გაუღებდა თავისი ეკლესიის კა- რებს, შეასვენებდნენ დედოფლებს ამ ეკლესიაში, ხმამაღლა ლოცვა- ვედრებით დაასვენებდნენ აქაურ მაცხუარის ხატთან და შემდეგ დამხ- ვდური მომზგრის მიწვევით მის სახლში შევიდოდნენ მაყრები თავისი ძღვენით და მგკლათ'ებით. მასპინძლის ოჯახში მათ ხვდებოდნენ მასპინ- ძლის ახლო ნათესავები და ყველანი ერთად სმა-ჭამა-ქეიფს და მოლ- ხენას მიეცემოდნენ. დედოფლები მურყველის ეკლესიაში აღდგომამდე რჩებოდნენ, ხოლო აღდგომა დღეს მათ კვლავ თავ-თავის ეკლესიებში უბრუნდებოდნენ მაყრები).

741. რა ძალას და მნიშვნელობას მიაწერენ ხატ-დროშების შემკო- ბას ან მათ მიმართ განსაკუთრებული წესის თუ რიტუალის შესრულე- ბას.

§ 92. ქადაგად დაცემა

742. როგორ აცვია და რა ატრიბუტები ამკობს ქადაგს დღესასწა- ულზე. — აღწერეთ დაწვრილებით და აღნიშნეთ სამოსის და ატრიბუ- ტების აღგილობრივი სახელწოდება.

743. როგორ უპირავს თავი და რა ზნეს იჩენს ქადაგი დღესასწა- ულზე ქადაგად დაცემამდე.

744. სად, რა ადგილას და დღესასწაულის რომელ მომენტში ეცე- მიან ჩვეულებრივ ქადაგად. როგორ ხდება ქადაგად დაცემა და რას ქა- დაგობენ. აღწერეთ ქადაგის მოქმედება და ჩაიწერეთ ქადაგობის ნი- მუშები.

745. რა გავლენას ახდენს მოსახლეობაზე ქადაგად დაცემა და რა ძალას მიაწერენ მას.

§93. სადღესასწაულო პურობა

746. რა ეწოდება დილის, შუადღის, სამხრისა და საღამოს პუ- რობას დღესასწაულზე.

747. სად იმართება თითოეული მათგანი, — მორიგე მოდღესასწა- ულის, კოლექტივის წარმომადგენლის ან სხვათა სახლში, კალოზე, ეზო- ში, ყანაში, ეკლესიის გალავანში გარკვეულ ადგილას, ხატში წმინდა ხესთან, ხევნარში, შუაგულ სოფელში თუ სხვაგან.

748. თუ სადღესასწაულო პურობა სახლში იმართება, მაშინ სახლის რომელ ადგილზე გამართავენ, — კერიას წინ, აღმოსავლეთის კედლის პირას თუ სხვაგან.

749. როგორი დგამ-ჭურჭელი იხმარება პურობის დროს (ჩამოთვალეთ თითოეული მათგანი, აღწერეთ მათი მასალა, ფორმა, სახე, აღნიშნეთ მათი ადგილობრივი სახელები და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ).

750. რა და რა საჭმელ-სასმელია პურობის თითოეული მომენტის დროს. ჩამოთვალეთ დაწვრილებით მათი ადგილობრივი სახელწოდებების აღნიშვნით.

751. ხომ არ იციან ხატის მსახურთა ან სხვა საპატიო პირთა თუ სტუმართათვის განსაკუთრებული საჭმელ-სასმელის დამზადება და მირთმევა, ან სქესობრივ-ასაკობრივი თუ სხვა პრინციპის მიხედვით საერთო სანოვაგის ცალ-ცალკე ულუფებად დანაწილება: როგორ ხდება ეს დანაწილება. ვის რა ულუფა ერგება და რა ეწოდება ამ ულუფას.

752. ერთ სუფრად სხდებიან დღესასწაულის პურობის დროს, თუ ცალკე ოჯახების, სოფლების, გვარების, სოციალურ-რელიგიური, სქესობრივ-ასაკობრივი დაჯგუფების, თუ სხვა პრინციპის მიხედვით და რა ეწოდება თითოეულ ამგვარ სუფრას.

753. როგორ იშლება დღესასწაულის სუფრა — წრედ, ნახევარწრედ, თუ გაბმულად სიგრძეზე ან სხვაგვარად, რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის აზრით ამა თუ იმ ფორმით გაშლილ სუფრას და რა ეწოდება მას.

754. როგორ სხდებიან სუფრის გარშემო, უფროს-უმცროსობით, თუ სხვაგვარად.

755. რა წესითა და თანამიმდევრობით ლაგდება სუფრაზე საჭმელ-სასმელი; რას მიიტანენ პირველად, მეორედ და ასე შემდეგ, ან რომელი სადღეგრძელოს თუ რაიმე წესის შესრულების შემდეგ. რომელ საჭმელ-სასმელს მიიტანენ.

756. ვინ არიან სადღესასწაულო პურობის მომსახურენი, რა ფუნქციებს ასრულებს თითოეული მათგანი და რა ეწოდება მათ.

(მაგალითად, სვანეთში სადღესასწაულო სუფრასთან პურების გამოცხობა გარკვეულ მანდილოსანს (ან მანდილოსნებს) ევალებოდა, რომელსაც „მერბიელს"-ს უწოდებდნენ, ხორცის მოხარშვა გარკვეულ მამაკაცს (ან მამაკაცებს) ევალებოდა და მას „ჭელუღუ"-ი ერქვა, სასმელის მარაგი სხვა პირს ებარა, მის მოვალეობასვე შეადგენდა სასმელის სუფრაზე ჩამორიგება და მას „წდა" ანუ „მეწდი" ეწოდებოდა და ასე შემდეგ).

მომსახურება მათ ევალებათ როგორც გარკვეული (და სახელდობრ რომელი) ოჯახის წევრებს, ან ოჯახის (ოჯახების) გარკვეულ წევრებს,

თუ ამ ფუნქციების შესასრულებლად საგანგებოდ არიან ამორჩეულები.

757. ვინ არის სუფრის უფროსი დღესასწაულის პურობის დროს (დილით, შუადღეზე, საღამოს), რა მოვალეობას ასრულებს და რა ეწოდება ამ პირს.

758. რა ლოცვით, დალოცვით თუ სადღეგრძელოთი ან სხვა წესის შესრულებით იწყება პურობა და რა ეწოდება პურობის დასაწყის ნაწილს.

759. რომელ ღვთაებებს თუ წმინდანებს როგორ (ფეხზე ამდგარი, ქედმოხრილი, ჩოქმოყრილი, ნათავედი არყით სავსე ქათხით თუ პურით ხელში, ან სხვაგვარად) და რა თანამიმდევრობით ახსენებენ.

760. რა თანამიმდევრობით რა შინაარსის სადღეგრძელოებს სვამენ სადღესასწაულო პურობის დროს და რა ეწოდება წესით გათვალისწინებულ სადღეგრძელოებს.

(მაგალითად, სვანეთის ზოგიერთ საზოგადოებაში ამგვარ სადღეგრძელოებს „სახსიგელ"-ს ეძახდნენ).

761. პურობის რომელ მომენტში რა წესები სრულდება, ვინ ასრულებს ამ წესებს და რა ეწოდება ამ წესებს და მათ შემსრულებლებს.

(მაგალითად, თუშეთში ერთ-ერთ დღესასწაულზე შუა პურობის დროს სუფრიდან წამოვარდებოდა განრისხებული მანდილოსანი და მირბოდა გორაკისაკენ; მას დაედევნებოდა მდევარი, დაეწეოდა, არკვევდა გაქცევის მიზეზს და დიდი ხვეწნის შემდეგ საგანგებოდ მორთმეულ ცხენზე შესვამდა და ზეიმით აბრუნებდა უკან. სვანეთში ზოგიერთი დღესასწაულის პურობის დროს იმართებოდა ე. წ. „ლიჭაჭი", ანუ „ჰაჭილარ", „ლისარტინა", ანუ „სარჭაშ", „ლისყანი" ანუ „სასყან" და სხვ.).

რა თქმულებებია გავრცელებული ამ წესების წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ.

762. პურობის რომელ მომენტში რა სიმღერებს იტყვიან, რა ცეკვა-თამაში ან შაირობა გაიმართება, ვინ მონაწილეობს მათში და რა ეწოდება თითოეულ ამგვარ გართობას.

763. როგორ და რა წესის შესრულებით, ან რომელი სადღეგრძელოს თქმით ბოლოვდება პურობა.

(მაგალითად, სვანეთში უკანასკნელად სუფრაზე ღვთაება ლამარიას ახსენებდნენ; ზოგიერთი დღესასწაულის პურობას აბოლოებდნენ საყიანით და სხვ.).

764. თუ დღესასწაული ხანიერია, ხომ არ იციან სუფრის აუშლელად დატოვება მთელი დღესასწაულის განმავლობაში, — გაუნძრევლად დატოვებენ გაშლილ სუფრას, თუ გადადგამენ რომელიმე გარკვეულ კუთხეში, ან რაიმე სიმაღლეზე ადგამენ; რა საჭმელ-სასმელს წაამა-

ტებენ ძველ სუფრას დღესასწაულის მეორე და შემდგომ დღეებში და სხვა.

765. იციან თუ არა დღესასწაულის პურობის დროს რამდენიმე სუფრად გაშლილმა ჯგუფებმა ერთმანეთის სუფრაზე გადაწვევა, ან მოსაკითხავის გაგზავნა; ვინ, ვის და რა მოსაკითხს უგზავნის და რა მნიშვნელობა აქვს ხალხის წარმოდგენით ამ ჩვეულებას.

§ 94. მიცვალებულის სულების გამასპინძლება

766. ხომ არ არსებობს წარმოდგენა, რომ დღესასწაულის დღეებში მიცვალებულთა სულები მოდიან და რომ მათ ესაჭიროებათ დახვედრა და გამასპინძლება. როგორ ხვდებიან მათ და რითი უმასპინძლდებიან, აღწერეთ დაწვრილებით შეხვედრისა და გამასპინძლების წესები, ვინ ასრულებს ამ წესებს (თემი, სოფელი, გვარი, ოჯახი თუ სხვა), რა საჭმელებით გაუმასპინძლდებიან (ხაშლამა, ხაჭაპური, ჩამოთვალეთ საჭმელ-სასმელი), რა ლოცვებსა და დალოცვებს წარმოთქვამენ ამ დროს (ჩაიწერეთ ტექსტები); სად ხდება ამ წესების შესრულება (სახლში, სასაფლაოზე თუ სხვაგან); ხომ არ იციან ამ დროს განსაკუთრებული მაგიური თუ რელიგიური ცერემონიალი, — როგორია, რა ეწოდება და ვინ ასრულებს მას; ხომ არ მკითხაობენ, — ვის სახელზე, ვინ და როგორ მკითხაობს (ჩაიწერეთ მკითხაობის ნიმუში).

767. რა სახის დიფერენციაცია არსებობს მოსახლეობის წარმოდგენით მიცვალებულთა სულებისა. განასხვავებენ წინაპრის, უხუცესის, ქალის, კაცის, ბავშვის, კოჭლის სულებს და რა გამასპინძლება-ცერემონიალი არსებობს ამ დიფერენციაციისდა მიხედვით.

768. როგორ საქციელს ამჟღავნებს სული მოსახლეობის წარმოდგენით დღესასწაულზე ხალის მიმართ; ხომ არ მართავენ ბჭობას ცოცხლების საქმეებზე, — სად, როდის, და ვისთან იმართება ეს ბჭობა, რა შინაარსისაა იგი; რა ეწოდება ამ ბჭობას და ბჭობის დღეს.

769. ხომ არ იციან სულების გამასპინძლების შემდეგ მათი გასტუმრების ცერემონიალის მოწყობა. დღესასწაულის რომელ მომენტში ასრულებენ ამ ცერემონიალს; ვინ არის შემსრულებელი (ოჯახის უფროსი ქალი, კაცი თუ სხვა); რა ეწოდება ამ ცერემონიალს.

770. რა თქმულებები არსებობს მიცვალებულთა სულების, მათი ცოცხლებთან ურთიერთობის, მათი მოსვლის, ბჭობისა და გამასპინძლების შესახებ (§-ში აღნიშნული კითხვებისათვის მაგალითს წარმოადგენს ცნობილი სვანური დღესასწაული „ლიფშნალ“).

771. რა და რა სახის გართობები ეწყობა დღესასწაულზე, — სიმღერები, სხვადასხვაგვარი ფერხული, ყაბახი (მშვილდისრის ან თოფით სროლა), სირბილში, გადახტომაში, ან ქვის სროლაში შეჯიბრი, ჭიდაობა, ერთმანეთის დათრევა, დაბორკვა, დაბმა ან დატყვევება და გამოსყიდვის, გაპარვის თუ სხვა გზით განთავისუფლება, სამტრო ბანაკებად დანაწილება და ბრძოლის გამართვა, ან სხვაგვარი ინსცენირების მოწყობა, თუ თამაშობანი; რა ეწოდება სადღესასწაულო გართობას საერთოდ და თითოეული სახისას ცალკე.

772. დღესასწულის რომელ მომენტში რა გართობები სად, რა ადგილას იმართება და რა ეწოდება ამ ადგილს.

773. ხომ არ არსებობს ცალკე ქალების, კაცების, მოხუცების, ახალგაზრდების, ბავშვების, ან მონადირეთა თუ სხვა პროფესიის ადამიანთა გართობები და რა ეწოდება თითოეულ მათგანს.

774. როგორ სრულდება თითოეული გართობა, რა და რა ნაწილებისაგან შედგება და რა ეწოდება გართობის თითოეულ ნაწილს.

775. ვინ არიან გართობის მონაწილენი, ვინ მეთაურობს მას და რა ეწოდება ამ პირს (თუ პირებს).

776. რა სახის ტანისამოსი აცვიათ და რა ატრიბუტები ამკობთ გართობის მეთაურს და მონაწილეებს; აღწერეთ დაწვრილებით, აღნიშნეთ თითოეული მათგანის ადგილობრივი სახელწოდება და თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ მათი სურათები.

777. რა იარაღი იხმარება სადღესასწაულო გართობების დროს, — რა მასალის, ფორმისა და სახისაა ეს იარაღი და რა ეწოდება თითოეულ მათგანს (თუ შესაძლებელია ჩახატეთ ან ფოტოგრაფიულად გადაიღეთ).

778. ხომ არ იციან ამა თუ იმ გართობაში გამარჯვებული პირების დაჯილდოება, — რა სახის ჯილდო ეძლევა გამარჯვებულს. აღწერეთ და აღნიშნეთ მისი (ან მათი) ადგილობრივი სახელწოდება.

779. ვინ არის ჯილდოს გამომღები და რა მიზნით გამოიღებს ეს პირი (თუ პირები) ჯილდოს გამარჯვებულისათვის (მიცვალებულის სახელზე, ოჯახის კეთილდღეობისათვის თუ სხვა).

780. ვინ ანაწილებს ჯილდოს და რა ეწოდება ამ პირს (თუ პირებს).

781. რა ეწოდება გამარჯვებულ-დაჯილდოებულ პირს და როგორ აფასებს მას მოსახლეობა.

782. ხომ არ იცის დღესასწაულზე გარკვეულმა ჯგუფმა თუ პირმა ოჯახ-ოჯახ სიარული და რაიმე წესის შესრულება, — დღესასწაულის რომელ მომენტში სრულდება ეს წესი (დილით, შუადღეზე, საღამოს, ნავახშმევს თუ სხვა დროს), ვის დაუვლიან (მთლიანად თემის, მხოლოდ სოფლის ან თავისი ან გარკვეული გვარის მოსახლეებს თუ სხვა), ვინ

დადის (ქალები, კაცები, ბავშვები თუ სხვა), ვინ მეთაურობს პროცესიას და რა ეწოდება ამ პირს; ხომ არ ამკობს მას რაიმე (სახელდობრ, რა ამკობს ან რა უჭირავს ხელში); რა წესს ასრულებს ეს ჯგუფი და პირი. რა ლოცვებს, დალოცვებსა და სიმღერებს წარმოთქვამენ, რომელი ღვთაების თუ წმინდანის სახელს ახსენებენ (ჩაიწერეთ ტექსტები); ხომ არ ასაჩუქრებს მათ მოსახლეობა, — რით დაასაჩუქრებს, როგორ ინაწილებს ჯგუფი ამ საჩუქარს და როდის, რაში და როგორ მოიხმარს, რა ეწოდება ამ წესს და რა მნიშვნელობას მიაწერენ მის შესრულებას (აღნიშნულ კითხვებზე პასუხს იძლევა ისეთი დღესასწაულები, როგორიცაა მაგალითად, სვანეთში: „ლიკურიელ", „ბობშრე ლამპრობ", „ბამბღუ" (განსაკუთრებით ჩუბეხევური ვარიანტი) და სხვა).

783. რა თქმულებები არსებობს სხვადასხვა გართობების წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ, რომელი ღვთაება თუ წმინდანი ითვლება საზოგადო გართობათა ან მათი ცალკეული სახეების მფარველად.

§ 96. ბუკით ძახილი

784. ხომ არ იციან (თუ იცოდნენ) დღესასწაულზე ბუკით ძახილის წესი. — ვინ ასრულებს (ასრულებდა) მას, დღესასწაულის რომელ მომენტში, სად (რა ადგილზე) და რა მიზნით სრულდება ეს წესი.

§ 97. სადღესასწაულო გაზრობა

785. ვინ მართავს გაზრობას დღესასწაულზე (რომელი თემებისა თუ ტომების წარმომადგენლები), რა მოაქვთ გაზრობაზე. სადღესასწაულო გაზრობის ადგილობრივი სახელწოდება.

§ 98. სტუმარმასპინძლობა

786. კიდევ როგორი წესები, შეწირულებანი და გართობები სრულდება დღესასწაულზე; ხომ არ იციან თემის, სოფლის, გვარების თუ სოფლების წარმომადგენლებმა, ან მეზობლებმა თუ ნათესავებმა დღესასწაულზე ერთმანეთის გადაპატიჟება, როგორ ხვდებიან და როგორ უმასპინძლდებიან სტუმრებს; ხალხის შეხედულება სტუმარმასპინძლობაზე.

§ 99. გჯობა საზოგადო საქმეებზე

787. იციან თუ არა დღესასწაულზე საზოგადო საქმეებზე ბჭობა და გადაწყვეტილების გამოტანა (როდის შეუდგნენ თიბვას, მკას, ძვე-

ლად იმაზეც თუ ვისზე როდის გაელაშქრათ და სხვა), ქალის გასინჯვა და სხვა კერძო ცხოვრების მომენტების გამომეღავნება.

788. რითი ბოლოვდება დღესასწაული და როგორ ხდება ხალხის დაშლა.

789. თუ დღესასწაული ხანიერია, საჭიროა პროგრამის სათანადო კითხვების გათვალისწინების ნიადაგზე აღწერილ იქნას დღესასწაულის დანარჩენი დღეები, კვირეები, თუ თვეები და აღინიშნოს თითოეული დღისა თუ კვირის ადგილობრივი სახელწოდება

§ 100. დღესასწაულის ძველებური წესები

790. რა თავისებურებები ახასიათებდა დღესასწაულს ძველად ხალხში დაცული გადმოცემების მიხედვით, შესაძლებლობის ფარგლებში აღწერეთ ეს ძველებური წესები.

ДУХОВНОЕ БЫТИЕ И КУЛЬТУРА ГРУЗИНСКОГО НАРОДА

(программа-вопросник)

Резюме

Представленная работа по существу является построенной по определенным научным принципам программой-вопросником по истории религии. Охватывая широкий круг вопросов, она предназначена для освещения важных сторон материальной культуры и общественного строя различных исторических эпох, отображенных в грузинских народных верованиях, а также для сбора материалов, содержащих информацию о ранних формах народных верований.

Программа-вопросник является научным документом особой важности, поскольку это не анкета для опроса, а пособие, которым следует руководствоваться при сборе материалов в период полевых работ.

Программа-вопросник охватывает следующие основные проблемы, которые, в свою очередь, распадаются на отдельные параграфы, касающиеся широкого круга вопросов: I. Окружающая природная среда. II. Материальное производство. III. Социальный быт. IV. Космогония. V. Божества, их пантеон и богослужение. VI. Народный календарь. VII. Празднества.

Вопросник может оказать большую помощь собирателям материалов в планомерной организации полевых работ, он поможет исследователю представить динамику культуры как в синхронном, так и диахронном разрезе, что, в свою очередь,

сделает возможным поставить борьбу с вредными традициями на прочную научную основу и сделать ее более целенаправленной, а также приобщить новое поколение к прогрессивным национальным традициям.

Анализ материала, собранного на основе программы-вопросника, даст возможность научной разработки такой важной культурно-исторической проблемы, как взаимоотношения грузинского народа с древнейшим населением Кавказа и Передней Азии.

Эта книга предоставляет широкой общественности возможность ознакомиться с традиционными бытом и культурой и глубже разобраться в их взаимосвязи с явлениями современности.

Новая культура, утверждаясь, наследует все ценное культуры прошлого. Поэтому неправомерно ни абсолютизирование старых традиций, ни их отрицание. Забота о культурном наследии одна из важнейших задач, поставленных партией перед нашим обществом, что нашло свое отражение в постановлении XXVII съезда КПСС.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისაგან 3
წინასიტყვაობა 7
ანკეტა მასალების შემგროვებლისა 19
შესავალი 20
რაიონი და მისი მოსახლეობა 20
I. ბუნებრივი გარემოცვა 20
II. მატერიალური წარმოება 28
III. სოციალური ყოფა 46
IV. კოსმოგონია 65
V. ღვთაებები, მათი პანთეონი და ღვთაებათა მსახურება 72
VI. ხალხური კალენდარი 77
VII. დღესასწაულები 80
Духовное бытие и культура Грузинского народа (программа-вопросник). Резюме 126

Вера Варденовна Бардавелидзе

ДУХОВНОЕ БЫТИЕ И КУЛЬТУРА ГРУЗИНСКОГО НАРОДА

(программа-вопросник)

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3872

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 17.7.87; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.87;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობით საბეჭდი თაბახი 8.0;
პირსაღ.-გატ. 8.3; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.9;

უე 09772; ტირაჟი 1400; შეკვეთა № 2554;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19